

გროვეზი

2016
No1(2)

1345 /2
2016



ეროვნული თავდაცვის
სამსახური



საქართველოს თავდაცვის
სამინისტრო



საქართველოს პანათენის ეპიკონისტების სამინისტრო

დავით აგმაშენებელის სახელობის საქართველოს
მროველი თავდაცვის აკადემია

DAVIT AGMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ISSN 1512-0708

შრომები
PROCEEDINGS

#1(2)



2016

სარედაქტო კოლეგია:

1. ერეკლე ჩიგოგიძე (თავმჯდომარე)
2. მანანა მაღრაძე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ქეთევან ქუთათელაძე
4. ალექსი ბურდულაძე
5. იროდი ქადაგიშვილი
6. რიკ კლიფტონი, ამერიკის არმიის ვიცე პოლკოვნიკი
7. რობერტ ჰენდი, ამერიკის არმიის გადამდგარი ვიცე პოლკოვნიკი
8. რომეო გალდავა, სოხუმის უნივერსიტეტი
9. სალომე კაპანაძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
10. რუსულან დალაქიშვილი, გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
11. ლევ ხაზანოვიჩ, ამერიკის მინისოტას უნივერსიტეტი

The Editorial Board

1. Erekle Chigogidze (Chairperson)
2. Manana Maghradze (Deputy Chairperson)
3. Ketevan Kutateladze
4. Aleksi Burduladze
5. Irodi Kadagishvili
6. Rick Clifton, US Army Lieutenant Colonel
7. Robert Hand, US Army Lt. Col.(Ret)
8. Romeo Galdava, Sokhumi State University
9. Salome Kapanadze, Grogol Robakidze University
10. Rusudan Dalakishvili, Guram Tavartkiladze Teaching University.
11. Lev Khazanovoch, University of Minnesota

სარჩევი

შოთა ვეშაპიძე

იღლა ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კეთილდღეობის გლობალურ
კონტექსტში განსაზღვრის პრიორიტეტების შესახებ..... 7

ShotaVeshapidze

Ilia Chavchavadze's Views about Determination of Priorities in the Global 8
Context of Economic Welfare 8

მაია ჭაბრიშვილი. ქეთევან ჭაბრიშვილი

ეკონომიკის ჰუმანიზაცია 16

Maia Chiabrishvili. Ketevan Chiabrishvili

Humanisation Of Economics 17

ნინო რუხაია-მოსემდღდლიშვილი

ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის მიზნები დღევანდელ
ქართულ რეალობაში 24

Nino Ruxaia-Mosegmdvlisshvili

Export-oriented agricultural policy goals in Georgia..... 25

თამუნა ვანიშვილი. თამაზ გეგელია

მართვის თამამედროვე მოდელის დანერგვა ორგანიზაციებში „მეხუთე დონის
მენეჯერი“ - სა და „ახალი ტიპის ლიდერი“-ს თვისებების გათვალისწინებით..... 38

Tamuna Vanishvili. Tamaz Gegelia

The Implementation of Modern Management Model in Organizations with Taking into
Account the Properties of “Fifth-Level Manager” and a “New Kind of Leader” 39

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

მომსახურების მარკეტინგის თავისებურებები ჯანდაცვის სფეროში..... 49

Rusudan dalaqishvili-Chichinadze

Features of marketing services in the health sector 49

ირაკლი ქვარაია. ქეთევან ქუთათელაძე

მონოლითური რკინაბეტონი მშენებლობაში და მისი განვითარების
ხელშეწყობი პირობები საქართველოში 55

Irakli Kvaraiia. Ketevan Kutateladze

Monolithic Reinforced Concrete in Construction and its Development 55

Situation in Georgia 55

მანანა მაღრაძე. ლეიტენანტი გირგი ელიაშვილი საქართველოს კიბერბარომეტრი	61
Manana Magradze. Lieutenant George Eliashvili Georgian cyber barometer	62
მაიორი ვასილ სისაური საქართველოს სამხედრო მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდისათვის ..	74
Major Vasil Sisauri Importance of Military Industry Development of Georgia to Improve Capabilities and Effectiveness for the Armed Forces	74
ვიცე-პოლკოვნიკი კობა ჭიჭინაძე. ნუნუ ოვსიანიკოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების შესახებ	83
(1918-1921 წლები)	83
Lieutenant colonel Koba Chichinadze. Nunu Ovsianikova On Formation of Georgian Armed Forces	83
(1918-1921)	83
გოგი ცხოვრებაძე სტრატეგიის სამხედრო განსაზღვრებები და სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში	96
Gogi Tskhovrebadze Military definitions of strategy and sample of its establishment	96
მანუჩარ შიშინაშვილი ფრეზირებული მსალისა და ბიტუმის ემულსის გამოყენების	108
ეფექტურობა საგზაო მშენებლობაში	108
Manuchar Shishinashvili Efficiency use of mild materials and bitumen emulsion..... in road construction	108

ნელი ჭამპურიძე

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ძირითადი ასპექტები.....	114
Neli Wampuridze	
Main aspects to Implement Georgian Language	114
Education training Programme	114

ოთარ ჯანელიძე

ქართული სოფელი საუკუნეთა გასწერივ.....	121
Otar Janelidze	
Georgian Villages Throughout the Centuries.....	122

რომეო გალდავა

ცვლადოპერატორიანი აბსტრაქტული ევოლუციური.....	137
განტოლებისათვის პარალელური ტიპის დეკომპოზიციის.....	137
ალგორითმის ცდომილების შეფასების შესახებ	137
Romeo Galdava	
On the Estimates for Error of the Parallel Decomposition.....	137
Scheme for Abstract Evolutionary Equation	137

შალვა კვეზერელი. მერაბი ცინცაძე

როგორ ვიშოვოთ ფული.....	144
Shalva Kvezereli. Merabi Tsintsadze	
How to earn money	144

ზაალ მიქაძე. თემურ ჭუმშურიძე. ირაკლი შურლაა. ნანი არაბული

განათლების სფეროში სტანდარტების შექმნის და გამოყენების	151
მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის განვითარების მთავარი ფაქტორი	151

Zaal Mikadze. Temur Chumburidze. Irakli Shurgaia. Nani Arabuli

Creation of world standards educational system as one of the main factors	152
of sustainable development of the country.....	152

დრ. რობერტ ჰენდი

რუბიკონის გადალახვა: არგუმენტები ჯიპადისტური ტერორიზმის კლასიფიკაციის დახვეწის აუცილებლობის შესახებ	159
---	-----

Dr Robert Hand, DSSM

Crossing the Rubicon: Making a Case for Refining the Classification of Jihadist Terrorism	159
---	-----

გ/პ-კი. დავით ჩხეტანი

„ტეტ“-ის თავდასხმა: დაზვერვის ფიასკო?	178
---------------------------------------	-----

LtCol David Chkhetiani

The Tet Offensive: An Intelligence Failure?	178
---	-----

შოთა ვეშაპიძე

დავით აღმაშენებლის სახელობის „საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი
shota46@yahoo.com

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კეთილდღეობის გლობალურ კონტექსტში განსაზღვრის პრიორიტეტების შესახებ

რეზიუმე. ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური წარმატების აუცილებელ გზად ეკონომიკის კარგაბენილობას (ღია ეკონომიკას) თვლიდა და გადამწყვეტ როლს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სპეციალიზაციას, იაფი და მაღალხარისხიანი საქონლის წარმოებას და საგარეო ვაჭრობის წარმატებით განხორციელებას ანიჭებდა.

ილიას მიაჩნდა, რომ საჭიროა ხელი მოვკიდოთ ჩვენი რეალური ეკონომიკის განვითარებას, ყველაფრის მოყვანას, რის მოცემაც შეუძლია ჩვენს მდიდარს ქვეყანას, რისთვისაც პავა და მიწა ხელს გვიმართავს. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვალინოთ, მივაღწიოთ და დავინახოთ ჩვენი შედარებითი უპირატესობები. მხოლოდ ასე ვისწავლით ერთი და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე მევრად შეტი გამოვალებინოთ მიწას, ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მივიყვანოთ იმისთანა, რომელსაც ყოველთვის მუშარი ჰქონას ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. სწორედ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი საქონელი ვაწარმოოთ, რაც ქვეყანას შეუძლია, მივაღწიოთ ქვენის მდგრად განვითარებას, შევინარჩუნოთ მისი “თვითარებულობა” და ამასთან ერთად, მაქსიმალური ეფექტურობით ჩავერთოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ილია ჭავჭავაძემ დაასამუთა, რომ გლობალიზაციის შედეგად ლიბერალური სამაზრო ეკონომიკის საყველოთაოდ განვითარების პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის ზომის ზუსტად მიგნება განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული, ერთს საერთო ინტერესების კონტექსტში გადაწყვეტა, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა.

საკვანძო სიტყვები: ღია ეკონომიკა, სპეციალიზაცია, შედარებითი უპირატესობა.

ShotaVeshapidze
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Doctor of Economic Sciences. Professor

Ilia Chavchavadze's Views about Determination of Priorities in the Global Context of Economic Welfare

Abstract. *Ilia Chavchavadze considers the openness (open economics) as a necessary factor for economic success. For him, productive labor, specialization, production of cheap and high-quality goods, as well as successful external trade, are essential.*

Ilia thinks that it's necessary to begin the development of real economy and cultivate everything that is possible in our rich country in view of climate and soil. Only in this way we can detect, understand and use our advantages. Only in this way we can learn to get richer and more valuable harvest with the same labor and expenses; the harvest that will always have consumer in our country and abroad. So we will have opportunity to manufacture any product that is possible in our country, achieve sustainable development, protect its "identity" and participate in international distribution of labor with maximum efficiency.

Ilia Chavchavadze proved that in the face of universal distribution of liberal market economy as a result of globalization, priority task of society is to correctly determine its absolute and relative advantages and reasonably solve the problems in the context of nation's general interests.

Keywords: open economy, specialization, relative advantage.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ერთი ქვეყნის კეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ჭვეულა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ ილია თავისი დროის ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას“, მის „კარგად ყოფნას“ დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად ვი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც, რომელსაც ილია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კარად განიხილავს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ აზიის დამაკავშირებელ კარად განიხილავს, რომლის ურთიერთხელსაყრელი ყოველთვის საჭირონი ვართ აზიასა და ევროპას შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განსამტკიცებლად. 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში, ეხებოდა რა რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას აზიაში „მფლობელობისათვის“,

შრომები N1(2)

ავტორი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მსოფლიო მასშტაბით განიხილავდა და წერდა: „პირველი ნიშნები ინგლისის მხრით საცივილიზაციო ღონისძიების ხმარებას მოასწავებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ეგ ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა, – აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს. და რადგანაც ერთის ჭეშმარიტი და უცოდველი სარგებლობა მარტო იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც კარგად იყოს, ამიტომაც ინგლისი, რომლის საქმენი ხალხის თვითმოქმედებით იმართებან, ეცდება თავისი ჭეშმარიტი სარგებლობა ჭეშმარიტს საძირკველზედ ამოიყვანოს, ესე იგი, ეცდება ძალუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ზინადრად დახვდება... აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ჭეშმარიტობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწისყვლი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც“ (1, 242).

ილია ჭავჭავაძე შექმნა მოძღვრება, მეცნიერული სისტემა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის წარმატების გზების მსოფლიო კონტექსტში განსაზღვრის შესახებ. ნაშრომში „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“ ავტორი მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფარივო და საქარხო წარმოების გასამღიერებლად ჩვენ გვპირდება დავაგროვოთ „საჭირო ცოდნა და გამოცდილება“, აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი ნიში, ანუ როგორც ილია უწინდებდა „მოცლილი და სხვისგან დაუჭირელი ადგილი“. ეს არის ყველაზე უმთავრესი გზა. XVII-XVIII საუკუნეებისაგან განსხვავებით, საჭირო იყო აქტიურად ჩავრთულიყავით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს იყო საუკუნის მოთხოვნა. ილია წერდა: „კიდევ ვიტყვით: მტერთაგან და უგზობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოყვანა, ის ემუშავნა თავისს მიწაზე, რასაც დღეს უფრო იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდამ მოვიტანთ. იგი ძვირფასი ჭირნახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებრივ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აურებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქენებით და არა მოგებაში? ამას წინათ ერთს გაზიეთში დაბეჭდილი იყო, რომ თრიმლს დიდი მუშტარი ჰყავს რუსეთშიონ და

შრომები N1(2)

კაი ფასადაც გავაო. აბა ჯერ თრიმლი რა არის, ჩვენებური ტყეები სავსეა მაგითი, და გამოდის, რომ მაგასაც-კი შესძლებია ქონების ღონე მოგვცეს, თუ ხელს მოვიყებთ. სხვას წუდარ ვიტყვით, რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოიღოს ბაზარში გასატანად“ (2, 41).

ილია ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. მისი ნააზრევი სავსებით ეხება დღევანდელ დღესაც. იგი აღნიშნავდა: „ლამის მიწაზე ხელი ავიღოთ, რადგანაც იგი ჭირნაბული, რომელსაც დღეს შევტერებივართ და მოგვყავს და რომელზედაც ამოდენა შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიფედა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ამ გაიეფებას იმისთანა მიზეზი აქვს, რომელსაც არამც თუ ბოლო ოდესმე მოედება, არამედ დღედადღე გაძლიერდება და გადიდება. დღეს პურზე, ქერზე და სხვა ამისთანა მარცვლეულობაზე შელეული ამაგი და ხარჯი მიწათმოქმედს ხელს არ მისცემს, რადგანაც იშვიათს შემთხვევათა გარე, ეგ მარცვლეულობა, სხვიდამ მოტანილი, უფრო იეფად უჯდება აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვიჯდება, და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამაგარი, ან ორმოებში დავალპოთ. რუსეთის პური ბევრად იეფია, ვიდრე ჩვენი, ჩვენის შრომისა და ხარჯის კვალობაზე, და აյ ცილობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე ან არ ვისწავლით ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვადებინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვალებინოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და საზღვარგარეთაც. კიდევ ვიტყვით: იმას, რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნებიდამ ეზიდება და რასაც ზედა ალევს არა ერთსა და ორს მიღიონს მანეთსა, ის ყოველისფერი თუ არა, ბევრი მანაც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს“ (2, 46-47).

როგორც ირკვევა, ილიას მიაჩნდა, რომ საჭიროა ხელი მოვიდოთ ჩვენი რეალური ეკონომიკის განვითარებას, ყველაფრის მოყვანას, რის მოცემაც შეუძლია ჩვენს მდიდარ ქვეყანას, რისთვისაც ჰავა და მიწა ხელს გვიმართავს. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვალინოთ, მივაღწიოთ და დავინახოთ ჩვენი შედარებითი უპირატესობები. მხოლოდ ასე ვისწავლით ერთი და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვალებინოთ მიწას, ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვიყანოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს საქართველოს ჰავა და მიწა, რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. ეს კი ნიშნავს, რომ ილია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევას აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ერთიანობის კანონის მოთხოვნების გამოყენებით მიიჩნევდა შესაძლებლად.

სწორედ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი საქონელი ვაწარმოოთ, რაც ქვეყანას შეუძლია, მივაღწიოთ ქვეყნის მდგრად განვითარებას, შევინარჩუნოთ მისი თვითარებობა” და ამასთან ერთად, მაქსიმალური ეფეტიანობით ჩავერთოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ გზად იღიას მიაჩნდა ეკონომიკის კარგაბენილობა (ღია ეკონომიკა), სხვა ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური კაშშირების დამყარება. XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ტრადიციული დარგები კრიზისს განიცდიდა, ეს სფერო მეტად შეზღუდული გვქონდა და ჩვენი ხალხი ავტარკიულ მუსურნებას, მხოლოდ წვრილმან საოჯახო მრწველობას მისდევდა. იღია საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო და საშინაო ვაჭრობა მოითხოვს მშვიდობიან, იაფ, სწრაფ გზას და თვლიდა, რომ ეკონომიკაში ყოველგვარი წარმატების საფუძველი არის მხოლოდ იაფი და მაღალხარისხიანი საქონლის წარმოება. იღია დღესავით ნათლად გვისწინიდა შემდეგს: „მაშინ, როცა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტრეთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო, არამც თუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი ოვალს და ხმას ძლივ მიაწვდიდა ხოლმე, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უზდა ძალაუნებურად მიქცეულ ყოფილიყო მასზე, რომ ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა სააღმიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და შეწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად.

ამ გარემოების ძალომორეობით ჩვენი მართლადა მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებული იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოედო, თუ არა და, მშეირი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არამცთუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც-კი. გავისხენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც თუ ოცდაათ წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგნახათ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თითქმის თვითეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთობის საღებავად, და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი.

აღებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, აღებ-მიცემობის სახსარი მისცა უფრო იეფის,

შრომები N1(2)

უფრო კარგის საქონლის მოტანისა, და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ოჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ რომ საკონომიო სფეროში წინამდღვრობს მარტო სიიცე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა“ (3,62-63).

როგორ უნდა დავსპეციალდეთ, რას, ანუ რის მოყვანას უნდა მიექცეს ყურადღება, ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში? იღიას პასუხი ამ კითხვაზე ის არის, რომ მთავარი ყურადღება მივაქციოთ სამხრეთ კავკასიურ კულტურებს, ისეთ საგნებს, რომელზედაც მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა და რომელსაც დიდი ფასი აქვს. ავტორი წერდა: „რადგანაც ჩვენი შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიცეცულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებ-მიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოუიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახერიებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში.

სადაც ჩაი, სორო, აღისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგველო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური, – რუსეთს აღარ ვიტყვით, – უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით“ (3, 64-65).

რა არის საბილოო მიზანი ამ საქმეში? ის არის, რომ ჩვენ მოგვეცეს საშუალება უფრო იაფად შევიძინოთ სხვა ჭირნახული, რომელიც გვჭირდება. რომელ ქვეყნებთან უნდა დავამყაროთ ამ მიზნით კავშირი? რა თქმა უნდა, იმათთან, ვისგანაც უფრო მეტ სარგებელს მივიღებთ. ამას კი მაშინ მივაღწევთ, თუ პარტიიორი ქვეყანაც უფრო მეტ სარგებელს მიიღებს ჩვენთან კავშირით. ლაპარაკობდა რა სპეციალიზაციის აუცილებლობაზე, იღია ჭავჭავაძე

დასაბუთებულად აღნიშნავდა: „ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის-იქით დავადგეთ, ჩვენ საქვეყნო თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირფასს ჭირნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გვიჯდება, როცა ჩვენვე მოგვყავს შინ. მაგალითებრ, წელს ოდესაში პური ფუთი თითქმის 26 კაპეიკად იყიდებოდა. ნუთუ ოდესიდამ პურის მოტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც, თუ რიგიანად ვაინგარიშეთ, შინაური პური ერთი-ორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ. თუმცა იშვიათი ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი შინაური პური ფუთი სამ-ოთხ აბაზზე ნაკლები იყოს, მაგრამ მაინც მოჰკირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება-რა“ (3, 65).

როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, საგარეო ვაჭრობის სარგებლიანობა, მოგება მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო იაფად შევიძენთ ჩვენთვის საჭირო საქონლის და გასაყიდ პროდუქციას კი – მეტად, უფრო ხეირანად მიყიდით სხვას. ილია გვმოძლვრავდა: „სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც, რუსეთის ჰავასა და მიწის მიზეზით იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასაყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვემდა, უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ, უკეთ ვსთევათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქენებით.

ამ ეკონომიკურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდამ ის ჰავიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია, სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისის ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა, მაშინ როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება“ (3, 65-66).

ილია ჭავჭავაძის მიერ ლოგიკურად და საინტერესოდაა დასაბუთებული მოსაზრებანი საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზების შესახებ. იმას თუ რატომ ვაჭრობენ ქვეყნები ერთმანეთთან, ავტორი სხნის რესურსების მეტ-ნაკლებობით, მისი უთანაბრობით. იგი საგარეო ვაჭრობის მეშვეობით მოგების მიღებისათვის განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებს სავაჭრო ბალანსის სარგებლიანობას, „წმინდა მოგების“ მიღებას, რადგან „ვაჭრობას შეულია ყველას მდგომარეობის გაუმჯობესება“. ამისათვის კი ქვეყანამ ისე უნდა განავითაროს თავისი რეალური კუნომიკა, რომ თავისი ნაჭარბი საქონლით რაც შეიძლება იმის მეტის შემენის

შრომები N1(2)

შესაძლებლობა ჰქონდეს, რაც აკლია. ეს საკითხი მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკასთან. 1887 წელს დაწერილ ნაშრომში „სატამოქონო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი“; ილია წერდა: „ქვეყანა ისეა განვითარებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებულ ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთაშორისი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა.

რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰქონილობას, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალის, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოს. ეგრეთწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოა.

აქედამ აშკარად სჩანს, რაზედ უნდა მიეცეული იყოს მეღადინეობა ყოველის სახელმწიფოს საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი სწორედ აქ და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან...“ (4, 390-391).

ილია ჭავჭავაძის ნაზრევი ყოველი ხელისუფ ლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ განვრ ცობის პირობებში აბსოლუტური უპირატესობის, ანუ იმის წარმოების რაც სხვაზე ნაკლები ფაქტორების დანახარჯით შეგვიძლია და შეფარდებითი უპირატესობის, ანუ იმის წარმოების რაც სხვაზე ნაკლები ატერნატიული დანახარჯით შეგვიძლია, ზომის ზუსტად მიგნება განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული, ერის საერთო ინტერესების კონტექსტში გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული სტრატეგიული ამოცანა.

ლიტერატურა

- ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. თხზულებათასრული კრებული ოც ტომად, ტომი 6. “ილიას ფონდი”, 2006. გვ.241-262.
- ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზულებათასრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროვას რედაქტორობით. ტომი 7. 1956, გვ. 36-55.
- ჭავჭავაძე ი. ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე. თხზულებათასრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროვას რედაქტორობით. ტომი 7. 1956, გვ. 61-66.
- ჭავჭავაძე ი. სატამოენო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერომა და პროტექციონიმა. თხზულებათასრული კრებული ოც ტომად, ტომი 9. “ილიას ფონდი”, 2006. გვ. 385-401.

მაია ჭიაბრიშვილი
ამერიკული უნივერსიტეტი
ახლო აღმოსავლეთში (ქუვეითი)
პროფესორი
maia.chiabrishvili@aum.edu.kw

ქეთევან ჭიაბრიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ასოცირებული პროფესორი
chiaberit25@gmail.com

ეკონომიკის ჰუმანიზაცია

რეზიუმე. მიზნების წარმოების და მოგების მიღების მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ნელ-ნელა უკან იხევს და ეკონომიკა შორდება ზნეობის და ეთიკის პრინციპებს.

ეკონომიკა, როგორც სახელმწიფოს ერთიანი სისტემის ნაწილი, უნდა იყოს ძლიერი და განმავითარებელი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მკაფიოდ და მკაცრად იქნება განსაზღვრული მამოძრავებელი წესები. სოციალური ენერგია მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ ადამიანი ბუნებას „მოუსმენს“ და რესურსების გამოყენებას წინასწარ განსაზღვრულ წესებს და რეგულაციებს დაუქვემდებარებს.

აკადემიური სფეროს წარმომადგენლური კუონომიკის, სოციალურ მცნიერებათა და სხვა დარგებიდან წუხილს გამოხატავენ მიზნების დეპუმანიზაციის მდგომარეობაზე. მირითადად ყურადღებას ამახვილებენ ბიზნესისადმი არაეთიკური მიდგომის საფრთხეებზე, რომლებმაც უკვე დაარღვია, ან შესაძლოა დაარღვიოს სოციალური, ზნეობრივი და კულოგიური წინასწორობა.

მიზანიც და გამოსავალიც კუონომიკის ჰუმანიზაციაა. ამის მისაღწევად კი ადამიანები სასკოლო ასაკიდან უნდა მოემზადონ, რომ ზომიერება მოხმარებაში, თავისუფლება და ქველმოქმედება კვლავ იქცეს ფასულობებად და განიდევნოს ჩაგვრა, ეგოიზმი და სიხარბე.

Maia Chiabishvili
American University
Middle East (Kuwait)
Ketevan Chiabishvili
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Associate Professor

Humanisation Of Economics

Resume. *Moral-psychological factors of managing business and gaining profit gradually step back and delineate from moral and ethical standards and principles.*

The economics as an integral part of the state system should become developmental and sustainable. This may happen only in case if driving rules are working fairly and strictly. Social energy is efficient only if human being 'listens' to the nature, uses resources under the strategic considerations and predetermined regulations.

Academia from economics, social and other fields express their considerations about the current conditions of de-humanization of business. The main stress is made on the threats coming from unethical approaches to the business, what already has destructed or may destruct social, moral and ecological balance.

Humanization of business is a goal and solution at the same time. Schools should care about young generations' so that moderate, reasonable consumption, freedom and charity become the highest values and 'banish' oppression, selfishness and greediness.

შინაარსი

ქვეყნის საზოგადოების სიძლიერეს, ეკონომიკურ ზრდას, ზრდის ფაქტორების გამოვლენას და მათ ეფექტიანად გამოყენებას თეორიულ მიებებსა და პრაქტიკული საქმიანობების გააქტიურებას უკავშირებენ. ამავე დროს, ტრადიციულად, ეკონომიკური ზრდის წყაროებს წარმოების რესურსებთან კავშირში წარმოადგენენ და ყურადღების გარეშე რჩებათ, ან გაკვრით ეხებიან მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ამ უკანასკნელი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ვერც ეკონომიკური ზრდის ღინამიკის სრულ სურათს მოგვცემს და თვით ეკონომიკური საქმიანობაც, ეკონომიკური ქცევაც ვერ იქნება სრულყოფილი.

შესავალი

როცა ვიზილავთ საკითხს ეკონომიკური ზრდის მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ, მხედველობაში გვაქვს:

1. ეკონომიკური ზრდის კავშირი სისტემასთან: ადამიანი - მოთხოვნილება - შრომა - კეთილდღეობა ანუ შრომასთან დაკავშირებული მორალურ-ფსიქოლოგიური

ფაქტორებისა და ადამიანის აქტივობის სტიმულები, მოთხოვნილებები. შრომასა და ეკონომიკას შორის კავშირურთიერთობა;

2. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერგია შეერთებული ზნეობრივ-ეკონომიკურ ქცევასთან ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასთან და კეთილდღეობასთან;

3. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერგია შეერთებული უზნეობასთან იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ჩავარდას;

4. ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და მოთხოვნილებების განუსაზღვრელობის გამო ბუნების „ნაჩუქარ რესურსებზე“ სახელმწიფოს, თითოეული ჩვენთაგანის, ბიზნესის გავლენა და ზემოქმედება არამარტო წმინდა ეკონომიკური, არამედ მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისითაც;

5. პიროვნების ზნეობრივი სახე რეალურ ეკონომიკურ სინამდვილესთან მიმართებაში ვლინდება. ზნეობრივ-ეკონომიკურ ქცევას განაპირობებს მისი დამოკიდებულება შრომისადმი, შრომის შედეგებისადმი, ეკონომიკური დოკუმენტის მოხმარებისადმი, სიმდიდრისა და სიღარიბისადმი, „გერცხლისმოყვარეობისა და ნაყროვანებისადმი“.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ზნეობრივ ფაქტორთა ერთობლიობა ეკონომიკურ კულტურაში ვლინდება და პირიქით, ეკონომიკური კულტურა გავლენას ახდენს ადამიანთა ზნეობრივ ფასეულობებზე.

მოსაზრებები ეკონომიკის მორალურ-ფსიქოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ ფაქტორებზე

მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს პროფესორი გ. მალაშეია „ურესურსო ფაქტორებს“ უწოდებს და შენიშვნავს: „ურესურსო ფაქტორების როლი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საზოგადოების სოციალური ენერგიის დოკუმენტების გადატენვით ან შემცირების წყარო ხდება, მოქმედებს მისი გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით, ან უმოქმედობის თუ დაბალი ეფექტიანობის მიზანად გვევლინება. მორალურ-ფსიქოლოგიურ ურესურსო ფაქტორთა თავისებურება და განსაკუთრებულობა ისაა, რომ ისინი მოქმედებენ რაიმე დანახარჯის (ინვესტიციების) გარეშე, არსებული რესურსების ბაზაზე და წარმოადგენენ ამ უკანასკნელთა ეფექტიანობის გადიდების ან შემცირების პირობას, იმპულსს აძლევენ არსებული რესურსების გაძლიერებას ან მირს სწევენ მათ ეფექტიანობას“ (მალაშეია, 2001).

საბაზო ეკონომიკის პირობებში მორალურ-ეთიკურ ფაქტორებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ე. მეგვაბიშვილი: „საკითხის ასე დაყენება საკუთრივ ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზთან ერთად გულისხმოს ტრანსფორმაციის პოლიტიკური, სოციალური, მორალურ-ეთიკური ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლასაც... ადამიანები იქვემდებარებენ მატერიალურ-ნივთობრივ

ფაქტორს (სიმდიდრეს) ჭეშმარიტად ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად” (მეგვაბიძევილი, 1999). ავტორი აქვე ახსენებს ცონბილი ეკონომისტების პ.სამუელსონის და ვ. ნორდჰაუსის მოსაზრებას: „მარტინ ლუთერ კინგის მსგავსად ჩვენც გვაქვს ოცნება. იგი იმაში მდგომარეობს, რომ გაზრის მნიშვნელოვანი ეფექტიანობა გამოვიყენოთ ჰუმანური მიზნით საზოგადოების ინტერესებისათვის“.

მსოფლიო პრობლემათა ყოველმხრივ გადაჭრას პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ეკონომიკური და სულიერი ზრდის პროცესთა ერთმანეთთან შეხამებას უკავშირებენ. ეხებიან რა ეკონომიკური თავისუფლების პრობლემას, აუცილებლად მიიჩნევთ ხელისუფლების მაქსიმალურ შეზღუდვას და თავისუფლების ასევე მაქსიმალურ დატვირთვას პასუხისმგებლობით, ზნეობით, ეკონომიკური კულტურით.

მრავალი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მატერიალურმა უზრუნველყოფამ საზოგადოებას სანუკვარი ბედნიერება ვერ მოუტანა.

„განატონებულმა ქონების კულტმა ერთმანეთში არია მიზანი და საშუალება - ქონება მიზნად იქცა, ყოფიერება კი მასზე დამოკიდებული გახდა. ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება დაიკავყოფილონ, მაგრამ ამით ვერ შეავსეს ის სიცარიელე, მდიდრული ცხოვრების წესმა რომ წარმოშვა“ (ცოდნა, 1995).

მოხმარებისაგან მინიჭებული სიხარული და სიამოვნება მოსახლეობის უმრავლესობამ განიცადა და ასეთთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, მაგრამ ხალხი ხვდება, რომ ბევრის ფლობა ბედნიერებას არ ანიჭებს. „ნივთომანია“ იმდენადაა გამატონებული, რომ ყოფიერების არს ფლობა წარმოადგენს. ასეთ საზოგადოებაში ადამიან არარაობაა, თუკი მას არაფერი გააჩნია. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სფეროს (ცოდნას, წმენას, სიყვარულს). ე. ფრომი ფლობას ყონას უპირასპირებს და დაასკვნის, რომ სწორედ ყონაა ადამიანის ცხოვრების საზრისი, რომელიც გაგებულია, როგორც ორიენტაცია ადამიანზე, მის სულიერ სრულყოფაზე და არა ნივთზე.

„თუ ფლობა ჩემი თვითცნობიერების საფუძველს შეადგენს - „მე ვარ ის, რაც მაქს“, მაშინ ფლობის სურვილი უფრო და უფრო უნდა ძლიერდებოდეს. სხვა სიტყვებით - ფლობაზე ორიენტირების ბუნებრივი შედეგი - სიხარბეა. ეს შეიძლება კრიქანგის და მევახშის, ანდა ხორციელი ტკბობის მოყვარულის სიხარბე იყოს. მაგრამ რაც არ უნდა იწვევდეს ამ გრძნობას, ხარბს ყოველთვის რაღაც აკლია, ვერასდროს ვერ გრძნობს თავს ბოლომდე დაკავყოფილებულად. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისაგან, მაგალითად შიმშილისგან განსხვავებით, სულიერ სიხარბეს (ხოლო სიხარბის ყველა ნაისახეობა სწორედ სულიერია, თუნდაც მთლიანად ფიზიოლოგიურად კმაყოფილდებოდეს) არა აქვს საზღვარი, რადგან ასეთი სიხარბის დროებითი დაცხრომა ვერ შველის შინაგან სიცარიელეს, მარტობას, დეპრესიას (ფრომი, 1986).

რეკლამა განუწყვეტლივ გვახსენებს, იყიდე! იყიდე!.... ამით ცდილობები ადამიანებზე მუდმივ ზეწოლას. „შეძენა ცხოვრების თითქმის ერთადერთი მიზანი ხდება. ადამიანი კარგავს თავის სახეს, ხდება ნივთის მონა, მორალური ინვალიდი“ (კასისი, და სხვ., 1983).

„ნივთთა ტირანია“ კულტურულ-იდეურ ზემოქმედებასაც ახდენს და ცალკეულ ერებს თავიანთ თვითმყოფადობას ართმევს. ამიტომ უწოდა ამ მოვლენას ე. ფრომმა „ტვინის რეცხვა“. ე. ფრომმა ადამიანისთვის მიყენებულ ასეთ ზიანს უფრო მწვავედ აფასებს, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენას.

ე. ფრომმის აზრით, ყველაზე გამაონებელი ისაა, რომ ადამიანმა საკუთარი თავი ღმერთად, ყოვლისშემძლედ წარმოიდგინა. ეს იმაში გამოიხატება, რომ მან ტექნიკური საშუალებების მეოხებით მეორე სამყარო შექმნა, ნაცვლად იმ სამყაროსი, რომელიც ტრადიციული რელიგიის მტკიცებით, ღვთის შექმნილია (ფრომი, 1986).

აშშ-ს ემორის უნივერსიტეტის პროფესორი, ანთროპოლოგი ჩარლზ ნუქლოზი აღნიშნავს: „ჩვენ ისეთ ღირებულებებს ვაქციეთ ზურგი, რომლებიც ჩვენს წინაპრებს უმთავრესად მიაჩნდათ - რელიგიასა და ოჯახს. ადამიანებს კი იმის შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს მათ ძალზე მნიშვნელოვანი დაკარგეს... და აი, ისინი ამ დაკარგულს... სხვადასხვა სექტებთან თუ გურუებთან, „მასწავლებლებთან“ თუ „ოსტატებთან“ ეძებენ... (ნუქლოზი, 1999)

ნ. ბერდიავევი შენიშნავს: ეკონომიკური ცხოვრება საბოლოოდ წყდება და ეთიმება სულიერ ცხოვრებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ბერებ კუნჯულში ემწყვდევა და არსებობის მართვასა და წარმართვაში მონაწილეობა ეკრძალება. აქვე ბერდიავევის აზრით, სოციალური პრობლემა უწინარეს ყოვლისა, ადამიანის, პიროვნების, ნებისმიერი პიროვნების სახელით სულიერსა და მორალურ რევოლუციას მოითხოვს. ამ რევოლუციამ უნდა აღადგინოს ფასეულობათა სრულიად დარღვეული იქრარქია (ბერდიავევი, 2006).

პროფესორი გიორგი მალაშია სიმდიდრისადმი მიღრეკილებაში გლობალურ საფრთხეებს ხედავს, მათ შორის: 1. სოციალურს - სიმდიდრის წონასწორობის დარღვევის გამო; 2. ზენობრივს - წრეგადასული მოხმარებისა და უხეში ჰედონისტური მისწარფებების გამო, ადამიანის საბაზო ხასიათის ცხოვრებასთან შეუთავსებლობის გამო; 3. ეკოლოგიურს - წარმოების უზომო ზრდისა და გარემოს დაბინძურების გამო (მალაშია, 1995).

შესაძლო გამოსავალი

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზომიერების პრინციპის დაცვა და საყოველთაოდ დამკვიდრება დიდი მეტამორფოზის საწინდარია. კაცობრიობა თანდათანობით უფრო კეთილშობილი, ალტრუისტული, უკეთესი განვება. „ოქსფამი“ ჩვიდმეტამდე ორგანიზაციის საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც სიღარიბის პრობლემებზე მუშაობს. მის მიერ მომზადებული ანგარიშის

მიხედვით, მსოფლიოს ასი ყველაზე მდიდარი ადამიანის შემოსავალი საკმარისია იმისთვის, რომ მსოფლიოში არსებული სიღარიბის პრობლემა გადაიჭრას, მეტიც - მათი შემოსავალი არსებულ სიღარიბეს ოთხჯერ ფარავს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის ბენ ფილიპსის აზრით „უკიდურესი სიღარიბის პრობლემის გადაჭრა უკიდურეს სიმდიდრეს შეუძლია“. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების შემოსავლები ბოლო ოცი წლის განმავლობაში 60%-ით გაიზარდა. „ჩვენ ადარ შეგვიძლია თავი მოვიტყუოთ, რომ სიდიდრის მცირე რაოდენობის ადამიანებში კონცენტრირება დადებით გავლენას ახდენს ყველა ადამიანზე“. (ჯერემი ჰობსი - „ოქსამის“ აღმასრულებელი დირექტორი). „ოქსამის“ გაფრთხილებით - „უზარმაზარი სიმდიდრე და შემოსავალი დღეს უვავე არა მხოლოდ არაეთიკურია, არამედ უკონომიკურად - არაეფექტური, პოლიტიკურად - კოროზიული, სოციალურად - დამყოფი და გარემოსთვის - დესტრუქციული“.

გაეროს 1998 წლის მოხსენების - „ადამიანის პოტენციალის განვითარების შესახებ“ პირველ გვერდზე აღნიშნულია: „XX საუკუნეში მოხმარების უპრეცედენტო მასშტაბით ზრდას ახასიათებს განაწილების ნაკლოვანებათა სიმრავლე, აღმაშენებლები უსამართლობასთან ერთად“.

მაგრამ ადამიანები აცილობირებენ იმას, რომ თანასწორობა (გათანაბრება შრომის ანაზღაურებისას) არასოდეს არ ითვლება სამართლიანად, რადგან ისინი თავიანთი შესაძლებლობებით, უნარებით, კომპეტენციებით, მონადომებით, მოტივაციით განსხვავებულები არიან.

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს სრული თანასწორობის იდეის ხორცებს სხმას. აქ საქმე ეხება უთანასწორობის შემცირებას. თანასწორობის იდეა უსაფუძვლო და მავნეა. რადგან ამისთვის არ არსებობს არც ბუნებრივი და არც სოციალური წარმადლებრი. უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება სამართლიანობას, როგორც ფუნდამენტურ ფასეულობას. „თანასწორობა (არადიფერენცირება) ცივილიზაციის მოსპობის ტოლფასი იქნებოდა“ (მალაშვია, 2003).

თავისუფალი ეკონომიკა ავლენს ადამიანთა ინდივიდუალობას, უნიკალურობას, მის სპეციფიკას განვითარებაში, საქმიანობაში, მოქმედებაში, მოთხოვნილებებში, შრომასა და ქცევაში. ამის შედეგად იგი იღებს იმდენს, რამდენიც ამ სპეციფიკურობით სურს და შეუძლია, რომ აწარმოოს და მიიღოს. ასეთების გამდიდრება კანონზომიერია. თავისუფალი ეკონომიკის მთავარი აღტერნატივა თანასწორობასა და სამართლიანობაშია. რამდენად სამართლიანია სიმდიდრის ზღვარგადასული მოხვეჭა თავისუფალი ეკონომიკის წარმოქმნილი ბაზრული ფსიქოლოგიკით? - როგორც ამას ე. ფრომი აღნიშნავს.

ზემოთქულიდან გამომდინარე აუცილებლობით ნათლად ჩანს მოთხოვნილებათა და მოხმარებისაზოგადოებრივი რეგულირების ობიექტივაციის პრობლემა, აუცილებელია მექანიზმი, რომლის გამოყენებით ადამიანთა მასტბი

შრომები N1(2)

საყოველთაო მასშტაბით ღრმად გააცნობიერებენ მოთხოვნილებებისა და მოხმარების ჭეშმარიტ აზრს.

ასეთი რეგულაცია, ვფიქრობთ, სკოლიდან უნდა დაიწყოს და ახლაგაზრდებმა სასკოლო ასაკიდანვე უნდა გააცნობიერონ ეკონომიკური ჰუმანიზმის არსი და მნიშვნელობა. ვინაიდან ეკონომიკის ჰუმანიზაცია განიხილება როგორც კაცობრიობის გადარჩენისა და პროგრესის პირობა. ცხადია, იგი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ არ გაფართოვდა და არ გაძლიერდა ინტერდისციალინარული ხედვა, მისი კავშირი ფსიქოლოგიასა და პედაგოგიასთან.

ადამიანი სასკოლო ასაკში უფრო კარგად ჩასწევდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჰუმანიზმის გამოვლენის არსს. მთავარია რა მეთოდებით ვასწავლოთ და დავარწმუნოთ რაში, რისთვის და როდის დასჭირდება ეს ცოდნა. ამავე პერიოდიდან უნდა ექცეოდეს ყურადღება ისეთ ტრადიციულ და ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა: სამართლიანობა, ალტრუიზმი, სულგრძელობა, მზრუნველობა და ადამიანის სხვა მსგავსი თვისებები. კარგი იქნება, თუ სამოქალაქო განათლების, როგორც სასკოლო-სასწავლო დისციპლინის შინაარსში ცალკე ადგილი დაეთმოს ამ საუკუნის ეკონომიკის ჰუმანიზაციას, სადაც გამოყენებული იქნებოდა ქართველი და უცხოელი კლასიკოსი მოღვაწეების მოსაზრებები, მიდგომები და ნაწარმოებები.

ვაჟა-ფშაველას მოთხოვნაში „დედამიწაშა რა სთქვა“ მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ჰუმანიზმის კანონზომიერების აუცილებლობა.

მაქსიმ გორგაში ამერიკაში იმოგზაურა და დაწერა მოთხოვნა - „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“. ყვითელ ეშმაკში ოქროს გულისხმობს. მოთხოვნაში ავტორი ერთ გამხდარ, ჩია ტანის კაპიტალისტ ებაასება, კაპიტალისტის სიმდიდრის შესახებ სურს გაიგოს. „რა უნდა გააკეთოთ მაგ ფულით?“ - ეკითხება მწერალი. „ფული“ - პასუხობს კაპიტალისტი. „იმ ფულით რაღა უნდა გააკეთოთ?“ - „ისევ ფული“ - მიუგებს კაპიტალისტი. „მერადა რად გინდათ ამდენი ფული?“

ამ კითხვაზე ამერიკელი ალმუნოთდება - „თქვენ გიჟი ხომ არ ხართ“? ... „და თქვენ?“ კითხვას უბრუნებს მწერალი.

დასკვნა

ადამიანმა სასკოლო ასაკიდანვე უნდა გააცნობიეროს ისეთი უნივერსალური ზნეობრივი ფასულობები, როგორიცაა ზომიერება, თავისუფლება, ალტრუიზმი და ანტიფასულობები - ჩაგვრა, ეგოიზმი და სიხარბე.

დღეს, საჭიროა არა, ჰუმანურობის ქადაგება, არამედ მოქმედება, ვინაიდან სიკეთე და ჰუმანურობა - მეცნიერება კი არ არის, არამედ მოქმედებაა. თუ აინშტაინის დროს მისაღები იყო მისი სენტენცია „კაცობრიობას ყველაზე მეტად სჭირდება სკამი, რომელზედაც ჩამოჯდება და დაფიქრდება“, დღეს, ჩამოჯდომისა და ფიქრის დრო აღარ არის, საჭიროა მოქმედება. მოქმედების დროს პროფესიული

კომპეტენტურობა გამაგრებული უნდა იყოს კომპეტენტურობით ჰუმანიტარულ სფეროში.

„XXI საუკუნე უნდა იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საუკუნე, ადამიანისა და ადამიანურობის, ჰუმანურობის, ეკონომიკის ჰუმანიზაციის საუკუნე“ (ჭაბრიშვილი, 1999).

ლიტერატურა

1. ბერდიავი, ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. თბ., 2006, გვ. 66-67
2. Кассис, В., Колосов, Л., Струя, М. Тирания вещей. М., 1983, ст. 3
3. კოდუა, ე. სოციოლოგია, ნაკვეთი 1, თბ., 1995, გვ.120
4. მალაშხია, გ. ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები; „ეგრისი“, თბ., 2001, გვ. 210
5. მალაშხია, გ. მეტაეკონომიკა (ეკონომიკის ფილოსოფია) თბ., 1995, გვ. 145
6. მექვამიშვილი, ე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის შექმნის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი, კრებულში „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, თბ., 1999, „უფლება“ გვ. 7-11
7. Фромм, Е. Иметь или быть. М., 1986, ст.33
8. ჭაბრიშვილი, თ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1999, გვ. 27
9. ქურნალი „შპიგელი“, N52, 1999, 26 დეკემბერი

ნინო რუხაია-მოსემდვდლიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ეკონომიკის აკადემიური დოკტორი
ninorukhaia@gmail.com

ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის მიზნები დღევანდელ ქართულ რეალობაში

რეზიუმე. დამოუკიდებლობის დამტუნების დღიდან აგრარული სექტორი განიცდიდა რეცესიას. სახელმწიფო მესკეურნი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის დახმარებებს სთავაზობდნენ გლეხურ მეურნეობებს, მაგრამ ქაოტურად და ერთჯერადად გაწული დახმარებებით არ მოხერხდა ქართული სოფლის მეურნეობის განვითარება. მხოლოდ კარგად გათვლილი და ეფექტური აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ კონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შევძლებთ ქვეყანაში. კვლევის მიზნად დავისახეთ ქართული აგრარული პროდუქციის ექსპორტან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მისი მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა. დარგში არსებული პრობლემების, ჩვენს მიერ გამოკვლეული მიზეზების და სხვადასხვა ქვეყნების განვითარების მაგალითების შესწავლის შედეგად, ჩამოვაყალიბეთ კონცეფცია, რომელიც მოიცავს ავტორის ხედვას დღევანდელ ქართულ რეალობაში აგრარული პოლიტიკის მიზნების ფორმულირების შესახებ. გამოყოფილია 4 მირითადი სტრატეგიული მიზანი, რომელიც თავისი თავში მოიცავს ტაქტიკურ მიზნებს. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია, აგრარული პოლიტიკა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამურნეო ან ფერმერული მეურნეობების განვითარების სტარტეგიას, არამედ იყოს რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რამდენადაც სწორედ ფორმირებულმა რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა მოახდინოს აგრარული სექტორის ისეთი რესურსებით მომარაგება, როგორიცაა: ახალგაზრდა და ნოვატორი სამუშაო ძალა, საწარმოო ინფრასტრუქტურა, ენერგო და წყლის რესურსები და სხვა.

საკვანძო სიტყვები: აგრარული პოლიტიკა; აგრარული პოლიტიკის მიზნები; ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკა.

Nino Ruxaia-Mosegmdvlisshvili

Davit Agmashenebeli

National Defence Academy of Georgia

Export-oriented agricultural policy goals in Georgia


Abstract. Georgian agricultural sector is in such a condition that only the thoughtful and properly selected comprehensive agrarian policies can stimulate its development. The aim of the study is to analyze the problems of the Georgian agricultural sector and provide the major objectives of export-oriented agricultural policy.

According to our research, we have provided the concept about main goals of agricultural policy. The paper gives the four key strategic objectives, which comprise tactical goals in it.

The article highlights the need for agricultural policy to be included in it not only agricultural and farming development strategies but also, it must be integrated with regional policy, to be supplied with resources such as : young and innovative labor force, manufacturing infrastructure, energy and water resources, and more.

დამოუკიდებლობის დაბრუნების დღიდან აგრარული სექტორი განიცდიდა რეცესიას. დავით აგმაშენები ბატონ ლადო პაპას და ვიტყვი, რომ ძველის განურჩევლად ნგრევის და ახლის გაუაზრებლად შენების ტენდენციამ, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, აგრარულ სექტორშიც გამოიწვია წარმოების უფექტურობების შემცირება, დარგის დეპარტალიზაცია და მოსახლეობის გადარიცხვა. სახელმწიფო მესკეურნი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის დახმარებებს სთავაზობდნენ გლობურ მეურნეობებს. მაგრამ ქაოტურად და ერთჯერადად გაწეული დახმარებებით არ მხოერდა ქართული სოფლის მეურნეობის განვითარება. მხოლოდ კარგად გათვლილი და უფექტური აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შევძლებთ ქვეყანაში. მნიშვნელოვანია, რომ აგრარული პოლიტიკა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ან ფერმერული მეურნეობების განვითარების სტარტეგიას, არამედ იყოს რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

ჩატარებული კვლევებისა და ეკონომული გამოცდილების საფუძველზე მოვახდინეთ აგრარული პოლიტიკის ოთხი მირითადი სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ტაქტიკურ მიზნებს, როგორც ეს I.I დიაგრამაშია მოცემული:



დიაგრამა 1.1. საქართველოს აგრარული პოლიტიკის მიზნები

მოსახლეობის ცნობიერების და ჩართულობის ამაღლება რეფორმების განხორციელებაში.

რაც არ უნდა ბევრი კანონი დაიწეროს მთავრობაში, რაც არ უნდა ეფუძნობოს შეიქმნას განვითარებისთვის, აუცილებელია რომ არსებობდეს ძალა, რომელსაც სურს ამ გეგმაში მონაწილეობა და მისი განხორციელება. სამწუხაროდ დღეს მსგავსი მზაობა არ შეინიშნება. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დღემდე არსებული მხარდაჭერი პროექტით სარგებლობენ, უკვე არსებული ფერმერები. ანუ ისინი, ვისაც ქონდა გარკვეული ბეზნეს-საქმიანობა და მათი გაფართოება სურდათ. თეორიულად, ეს სულაც არაა ცუდი და შესაძლოა ერთა მხრივ კარგიც იყოს, მაგრამ რეალური შედეგი მხოლოდ მასტაბის ეფუძნებოდა და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად ჩაერთოს წარმოებაში.

მიწის რესურსის გამსხვილება.

ქართული აგრარული სექტორის ყველაზე დიდი პრობლემაა მაღლიან ფრაგმენტირებული მიწები, რომელზეც ფაქტიურად შეუძლებელია მოგების მომტანი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. შესაბამისად აგრარული პოლიტიკის აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს ფერმერების კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება და განვითარება.

ბიო-წარმოების განვითარება.

წარმოების სტიმულირებისათვის მეტად დიდ როლს თამაშობს გასაღების ბაზრის არსებობა. შესაბამისად დეკან საჭიროება, რომ მოხდეს სტაბილური ბაზრების კიდევ უფრო განვითარება და გაზრდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA რეჟიმზე გადასვლა შესაძლოა ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობაა.

ევროპელი მომხმარებელი გარკვეულია პროდუქციის ხარისხის სტანდარტებში და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება ევროლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებზე მოთხოვნა. ეს კი არც თუ ისე სწრაფად ათვისებადი ბაზარია, რადგან სუფთა პროდუქციის მოყვანის რესურსი შეზღუდულია. რაც შესაძლოა კონკურენტულ უპირატესობად იქცეს საქართველოსათვის.

სოფლიად ახალგაზრდების დაბრუნება.

რეგიონებში ცხოვრების დონის გაზრდითა და ინფრასტრუქტურის მოწყობის საშუალებით, ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ყველა სხვა რეფორმა აზრს დაკარგავს, რამდენადაც მას უზრალოდ არ ექნება მიზნობრივი სეგმენტი. დღესათვის შეიმჩნევა სოფლების მკვეთრად "დაბერების" პროცესი.

ახალგაზრდობა ვერ ჩერდება რეგიონში, სადაც არ არის საყოფაცხოვრებო და განვითარებისა თუ გართობისათვის საჭირო ელემენტარული პირობები და გადადის რაიონულ ცენტრებში ან დედაქალაქში. შედაგად ვიღებთ თბილის, როგორც გიგანტურ მეგაპოლისს, სადაც ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 40% და დაცლილ რეგიონებს.

ფასების სტაბილურობის ხელშეწყობა (სუბსიდირებული ფასი). ხილის, ბოსტნეულისა თუ სხვა ნედლეულის წარმოება, თავისთავად ქმნის ნოყიერ ნიადაგს აგრარული მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ აյ წარმოშობა ინტერესთა კონფლიქტი ნედლეულის მიმწოდებელსა და გადამამუშავებელ საწარმოს შორის: გლეხის ინტერესია რაც შეიძლება მაღალ ფასად ჩააბაროს მოსავალი, რათა მის მიერ გაწეული შრომა დაფასდეს და შეძლოს ღირსეული ცხოვრება, მის მიერ გამომუშავებული ფულით, ხოლო მწარმოებელს სურს რაც შეიძლება ნაკლებ ფასად მოიპოვოს მაღალხარისხიანი ნედლეული, რათა საბოლოო პროდუქტის ფასი კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე და მისცეს მოგება.

კონკურენტული ჯიშების გამოვლენა/გამოყვანა.

აგრარული სექტორის ანალიზი მოსავლიანობის და რეგიონული სპეციალიზაციების მიხედვით პერიოდულად ტარდება აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე. მათ შორის, პროფესორი ომარ ქეშლაშვილი განიხილავს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სქემებს და მოიცავს აგრარული სექტორის ანალიზს მოსავლიანობის და რეგიონული სპეციალიზაციების ფორმით. თუმცა არც ამ და არც სხვა ნამრობებში არაა განხილული თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტებისა და ჯიშების განვითარების პოტენციური რესურსები და შესაძლო ზონალობები. მათი მოყვანის მაქსიმალური შესაძლო მოცულობა და სხვა პარამეტრები. სწორედ ამ ტიპის კვლევის ჩატარება უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ, რათა მოხდეს ისეთი ტიპის მოთხოვნადი და საქართველოს კლიმატთან კარგად ადაპტირებადი კულტურების გამოვლენა, რომელთაც მაღალი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ.

სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

მიწა და ბუნებრივი რესურსები მოითხოვს საკმაოდ ფაქტი მიდგომას, რადგან შესაძლოა მათთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება, რომელიც წლების შემდეგ გამოიუსადეგარს გახდის მას. გადაჭარბებული ძოვება, ტყის საფარის კარგვა და ტერიტორიების დაუგეგმვი ათვისება ურბანული განვითარების მიზნით - მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია. ნიადაგის ერთზია, რომელიც

რიგ შემთხვევებში ბუნებრივი მოვლენაა, მწვავდება ადამიანის მიერ ნიადაგის არამდგრადი გამოყენებით. ამასთან, საზოგადოებამ უნდა იცოდეს და ესმოდეს რაოდენ მნიშვნელოვანია იმ გარემოს დაცვა, სადაც ცხოვრობს და რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს გარემოს არარენტაბელური გამოყენებით. აუცილებელია კონტროლის მექანიზმების-მონიტორინგის, ინსპექტირებისა და კანონადსრულების სისტემების გაუმჯობესება და მათვის რეალური მაღალუფლების მინიჭება;

აგრარული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

საქართველო ინფრასტრუქტურა გვივლინება როგორც კუონიმიური კატეგორია, საწარმოო ძალების განუყრელი ნაწილი, რომლის გამართულ მუშაობაზე არსებითადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (მიუხედავად საწარმოო მიმართულებისა და საკუთრების ფორმისა) ნორმალური ფუნქციონირება. სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეს (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო), მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობას, სამელიორაციო, საგზაო, აგროქიმიურ, მცენარეთა დაავადებებისაგან დავის, ზორვეტერინარულ და სხვა სამსახურებს, რომელთა როლი პროდუქციის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებასა და მომხმარებლამდე პროდუქციის დროულ მიტანაში გამოიხატება. ორივე ფაქტორი არსებითად ზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

აგრო-დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება.

სადაზღვეო სისტემა მეტად მნიშვნელოვანია აგრარულ სექტორში, რამდენადაც ძალიან დიდია არასასურველი კლიმატის ან სხვა ბუნებრივი პირობების გამო მოსავლის დაკარგვისა და დაზიანების საშიშროება. დღეისათვის გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა, მაგრამ სტატისტიკა ცხადყოფს, რომ გლეური მეურნეობები ფაქტორივად არ სარგებლობენ ამ შეთავაზებით. საჭიროა მიზეზების კვლევა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ინსტიტუციური მოწყობის დახვეწა, განვითარება.

დღეისათვის აგრარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი სსიპ-ები, რომლებიც ახდენენ სამინისტროს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიციირებული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს. ინფრასტრუქტურულ პროექტებს კი ახორციელებენ რეგიონული თვითმმართველობები. აუცილებელია ამ ორგანიზაციების ეფექტიანობის გაზრდა.

პროექტის განხორციელების კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა ამისა, საჭიროა მაკორდინირებელ დონეზე კერძო სექტორის (არასამთავრობო, არაკომერციული ან კომერციული ორგანიზაციები) განვითარების ხელშეწყობა. ეს საშუალებას მისცემს სამინისტროს, ნაკლები რესურსით მოახდინოს ინდივიდუალური ფერმერების საჭიროებების განსაზღვრა და მიზნობრივი განვითარების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების ჩამოყალიბება.

გამოკითხვები აჩვენებს რომ ფერმერებს არ გააჩნიათ მისაწედომობა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ახალ ცოდნასა და წარმოების მეთოდებზე, რაც მკვეთრად ამცირებს მათი შემოსავლის იდენტობას და უზრდის ხარჯებს. ამიტომ აუცილებელია რეგიონებში ტექნიკური სასწავლებლების და გადამზადების ცენტრების განვითარება.

ტურიზმის განვითარება.

გამოკითხვეს რეგიონებში შემოსავლების დივერსიფიკაციას და მომსახურების სფეროს გაფართოებას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ ასტიმულირებს მცირე ბიზნესისა და საოჯახო მეურნეობების განვითარებას. შედეგად მიიღება ახალი სამუშაო ადგილები და დამატებითი შემოსავალი სოფლად მცხოვრებთათვის.

აკადემიკოსი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ტურიზმის ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით სწრაფი ტემპით განვითარება, ქმნის საფრთხეს, რომ გაღრმავდეს დისბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის და ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკის უარყოფითი მარება კიდევ უფრო გაიზარდოს. სწორედ ამიტომ აუცილებელია პარალელურ რეეიმში მოხდეს რეგიონული განვითარებისა და ტურიზმის წარალისება. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფით ეფექტს მივიღებთ.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კომპლექსური მეურნეობების განვითარება.

ევროპაში ძალიან პოპულარულია რეგიონის კომპლექსურად განვითარების მოდელები, რომლებიც გულისხმობს არა მხოლოდ აგრარული წარმოების განვითარებას, არამედ მოიცავს სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებას, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და საოჯახო მეურნეობებისათვის შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობას გაზრდას.

ვფიქრობთ ჩვენს შემთხვევაში პირდაპირ აუცილებელია მსგავსი მოდელის გამოყენება, რამდენიმე მიზეზის გამო:

1. დღეს სოფლად უბრალოდ აღარ დარჩა ადამიანი, რომელიც მინიმუმ განვითარებს სოფლის მეურნეობას. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი

დეილობს ქალაქში ცხოვრებას. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთან და "ცხოვრებისათვის ნაკლებ სახარბიელო ტერიტორიების" (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ტერიტორი) მცხოვრებლებს.

1. შესაბამისად საჭიროა ასეთი რეგიონების განსაკუთრებული მხარდაჭერა, კერძოდ, ალტერნატიული შემოსავლის, ცხოვრების დონის გაზრდის და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დამატებითი ხარჯების გამოყოფა.

2. დაბალზონიან და შედარებით განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე სოფლებშიც საკმაოდ სერიოზული პრობლემებია გაზიფიცირებისა და წყლის მიწოდების კუთხით. აღარაფერს ვამზობთ ინტერნეტზე და სოფლის ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურაზე, როგორიცაა გზები, სამედიცინო მომსახურება, გასართობი საშუალებები(კინო, თეატრი) და სხვა.

ამ საკითხების მოგვარება ერთი შეხედვით სცდება ვიწროდ აგრარული პოლიტიკის ფარგლებს და უფრო რეგიონული პოლიტიკის ჭრილში მოითხოვს განხილვას, თუმცა ამ პრობლემების გვერდის ავლის გარეშე აგრარული პოლიტიკის რეალური განმახორციელებლების პრობლემა დადგება.

შემოსავლების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა.

აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლები დღეისათვის ძალიან მცირეა და სეზონურობით ხასიათდება, იმის მიუხედავად, აგრარული სექტორის რომელ დარგშია პირი დასაქმებული, თავად ამჟავებს მიწას, თუ კერძო კომპანიაშია როგორც დაქირავებული მუშახელი.

მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოიჩინება ღვინის და წვენების გადამამუშავებელი ქარსნების თანამშრომლების შემოსავლები, თუმცა შეკვეთების რაოდნენობის მიხედვით შესაძლოა ისიც მკვეთრად შეიცვალოს. მაგალითად, გამოკითხვისას იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები ამზობდნენ, რომ ხშირად მათ მიერ გამომუშავებული თვიური ხელფასი 50-60 ლარს არ სცდება.

შედარებით მეტი აქვთ შემოსავალი მეხილეობის სექტორში დასაქმებულ ფერმერებს, რომელთა ბაღების ფართობი 13ა ან მეტია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მათი ერთადერთი შემოსავალია მთელი წლის განმავლობაში, მოყვანის ხარჯების გამოკლებით, მთელ წელზე გადანაწილებისას, თვიური შემოსავალი საშუალოდ 500-800 ლარს გაუტოლდება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ მათ სრულად მოახდინეს თავიანთი მოსავლის რეალიზაცია და ეს კი ყოველთვის არ ხერხდება.

შედარებით უკეთესი სიტუაციაა დასავლეთ საქართველოში, სადაც ციტრუსების და თხილის შედარებით განვითარებული ბაზარია და მიუხედავად რუსული ემბარგოს, ლეგალური თუ არალეგალური გზებით(აფხაზეთის გავლით), ქართული მანდარინი მაინც ხვდება რუსეთის ბაზარზე. თუმცა 2006

შრომები N1(2)

წელს იყო პრეცენდენტი, როდესაც, ფერმერებს ტონობით მანდარინის გადაყრა მოუწიათ.

პრობლემას ამწევებს ისიც, რომ საქართველოში თითქმის არა სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობები, შესაბამისად ფერმერმა დროის მცირე მონაკვეთში უნდა მოასწოროს ხილის რეალიზება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ღირებულება ძალიან მცირდება და ხშირად მოსავალი უფლებათ კიდეც მის რეალიზებამდე. აյ თავს იჩენს მეორე პრობლემაც-აღებულ თანხას ფერმერები არ აბრუნებენ კვლავწარმოების პროცესში შრომის მწარმოებლურობის ან შემოსავლის გაზრდისათვის თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის. თანხა მთლიანად იხარჯება ოჯახის საჭიროებებისათვის.

წარმოების ინტენსიფიკაციისა და ფერმერული მეურნეობების გამსხვილების ხელშეწყობა ისეთი მნიშვნელოვანი აქტივის, როგორიც მიწაა, მცირე ფრაგმენტაციის უარყოფით შედეგებს შეამცირებს და დაეხმარება ფერმერებს ინვესტიციების მოზიდვასა თუ მთი შრომის კომერციალიზაციაში. ფერმერებს აღარ უნდა ქონდეთ განცდა, რომ ისინი არ არიან დასაქმებულები. მათი შრომის შედეგი უნდა უზრუნველყოფდეს მათ დირსეულ ცხოვრებას.

გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

ხელს შეუწყობს რეგიონებში მცხოვრებთა დასაქმებას და მუდმივ შემოსავალს, აგრეთვე უზრუნველყოფს მოწეული პროდუქციის რეალიზაციას. თუმცა თავის მხრივ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის მოსავლის მოყვანა და ჭარბზარმოება შეიძლება გახდეს გადამამუშავებელი წარმოების ჩამოყალიბების სტიმული. დღისათვის რამდენიმე გადამამუშავებელ საწარმოში (მაგ. უნიგრენი) ახდენენ ნედლეულის თითქმის 80% იმპორტირებას, რადგან ქართველი გლეხებისაგან ჩაბარებული პროდუქტის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს წარმოების 20%-საც კი.

კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა.

სახელმწიფოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ერთი მხრივ, არ დაუშვას ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი პრაქტიკა და ქმედებები, მეორე მხრივ, კი ზედმეტი რეგულაციებითადა ბიუროკრატიით ხელი არ შეუშალოს ბიზნესის განვითარებას, ხელოვნურად არ შეაფერხოს კომპანიების ზრდა.

აღნიშნულ გამოწვევასთან გასამცლავებლად აუცილებელია კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკის იმგვარად ფორმირება, რომ კანონის აღმასრულებელს საშუალება მიეცეს, ერთი მხრივ, ეფექტურად ებრძოლოს კონკურენციის შემზღვეველ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა, მონოპოლიები, და მეორე მხრივ, არ შეუშალოს ხელი ბაზრიდან სუსტი კონკურენტების გაქრობას ან განდევნას, როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. თავად

პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებშიც არ უნდა მოხდეს ბაზრის ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ რაიმე ტიპის ქმედებების განხორციელება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ უკავიათ დომინირებული მდგომარეობა. ამასთანავე, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, კონკურენციის მარეგულირებელი პოლიტიკის ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, თავიდან აიცილოს ფორმალური რეგულაციების მიზეზით მნიშვნელოვანი ეფექტის მქონე ბიზნეს ინიციატივების ბლოკირება.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ნებისმიერი სექტორის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ფინანსების უზრუნველყოფა. შესაბამისად, აგრარული პოლიტიკაც უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს დარგში ინვესტიციების მოზიდვის, იაფი კრედიტისა და სახელმწიფო სუბსიდიების განხორციელებისათვის. დარგში ფინანსების მოზიდვის უზრუნველყოფისათვის უნდა შემუშავდეს კონკრეტული, მიზნობრივი პროექტები, რომელშიც სახელმწიფო გამოდის გარანტის ან სესხის პროცენტის თანაგადამზღდელის როლში, რათა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი გახადოს განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი.

დარგობრივი სისტემის რეორგანიზაცია-სრულყოფა.

საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და მისი შესაბამისობის განსაზღვრა თანამედროვე მიზნებთან და სტრატეგიებთან. უნდა განისაზღვროს დარგის ეფექტურობის მაჩვენებლები თითოეული ამ დარგის მიმართ უნდა განხორციელდეს განვითარების შესაბამისი ღონისძიებები.

მეწარმეთა გამსხვილების (კოოპერატივის ან თანამშრომლობის სხვა ფორმების) ხელშეწყობა.

უნდა გაგრძელდეს კოოპერატივების ეფექტურობის გაზრდა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის სისტემაში მოხვედრის სტიმულირება, აგრეთვე მათი საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა. ამ მიზნით უნდა მოხდეს "რეგიონული გაერთიანების" ტიპის ურთიერთანამშრომლობის სტიმულირება, მმართველი და მაკოორდინირებელი ორგანიზაციების შექმნის სტიმულირება. [ეს შესაძლოა იყოს გრანტის დამტკიცება კვლევითი ორგანიზაციისათვის ბაზრების მოსაძიებლად და სხვა. აგრეთვე გერთიანებისათვის სტანდარტიზაციის და სხვა ტიპის გრანტების მოპოვების შესაძლებლობა.

საფასო ხელშეწყობა.

ექსპორტისათვის პრიორიტეტულ დარგებში და გადასამუშავებელ პროდუქტებზე ფასის მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელება, ისევე, როგორც ეს მოხდა წელს ყურძნის ჩაბარების შემთხვევაში, შესაძლებელია ზოგიერთ სტრატეგიულ საქართველო პროდუქტებზე ფასის სუბსიდირება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მწარმოებლები ჩაიბარებენ. ეს ერთგვარად გაზრდის გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტს და ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგა პროდუქტის ზრდას.

სასურსათო უზრუნველყოფისა და სურსათის უვნებლობის დაცვა.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს და ჰერონდეს ხელმისაწვდომი, ჯანსაღი საკვები. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობა მაქსიმალურად მიუახლოვდეს ევროპულს და დაინერგოს შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა, რათა მოხდეს პროდუქტების სერტიფიცირება ევროპელი მომხმარებლისათვის მისაღებ დონეზე. საწყის ეტაპზე ეს უნდა იყოს არასავალდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვოს ქართული წარმოების შემცირება. რამდენადაც ხარისხის მიღწევა როთულია, ის შესაძლოა მხოლოდ მათთვის იყოს აუცილებელი, ვისაც სურს საქონლის ექსპორტირება.

ბიზნესსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის ფორმალიზებული სისტემის შექმნა.

ბიზნესსა და მთავრობას შორის აუცილებელია, არსებობდეს სისტემაში მოყვანილი, ფორმალიზებული კომუნიკაცია. მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურ საკითხებზე ბინზეს სექტორისგან უკუკავშირის მიღება და მისი ჩართვა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქართველო პროდუქციისათვის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შექმნა. აუცილებელი მოთხოვნა, ევროპულ ბაზარზე გასასვლელად, ესაა სურსათის უნდებლობა და გარკვეული სტანდარტების აუცილებელი დაკმაყოფილება. გარდა ხარისხის მოთხოვნების შესრულებისა, თავად ხარისხის ნიშნის მოპოვებაც საკმაოდ როთული და მეტად ძვირი პროცედურაა მცირე ფერმერებისათვის. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდნ გარკვეული მხარდაჭერის განხორციელება აღნიშნული მიმართულებით.

დღეისათვის ევროპული სტანდარტებიდან საქართველოში ცნობილია Global Gapდა HACCP, ეს უკანასკნელი სავალდებულოა იმ კომპანიებისათვის, რომელთა წლიური ბრუნვაც 200 000 ლარს აღემატება. თუმცადა ამ სერტიფიკატების გარეშე პროდუქციის ექსპორტირება ევროპის ქვეყნებში, ფაქტიურად შეუძლებელია.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

მათი მოპოვება კი ინდივიდუალური ფერმერისა და მცირე კოოპერატივებისათვისაც კი საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. ჩვენს მიერ ინიცირებული გაერთიანება ამ შემთხვევაშიც ეფექტური იქნება- გაერთიანების ფარგლებში დაინტერესებული ფერმერები მოახდენენ კოორდინაციას, რაც მკვეთრად შეამცირებს ინსპექტირებისას გაწეულ დანახარჯებს თითოეული მათგანისათვის. აუცილებელია ასევე, რომ სოფლის მეურნეობის ლაბორატორია აღიჭურვოს სურსათის უზნებლობის კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებით, ექსპორტისათვის პრიორიტეტულ სფეროებში. მაგ: (თავლის უზნებლობა, ანტიბიოტიკების შემცველობა და სხვა;) აუცილებელია საკრანტინო წესების შემოღება მეცხოველეობაშიც, რათა არ მოხდეს დაავადებული საქონლის გაყვანა ქვეყნიდან და მისი კეთილსამედო იმიჯის შეღახვა.

ექსპორტთან დაკავშირებული სირთულეების და შიგა ბარიერების კვლევა და მათი გადაჭრა.

არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები, ხელოვნური დაბრკოლებები და სხვადასხვა ბარიერები ამცირებს კომპანიების საექსპორტო პოტენციალს. აუცილებელია სახელმწიფო ორგანოები მჭირდოდ თანამშრომლობდნენ ზიზხესთან, რათა მოხდეს მსგავსი დაბრკოლებების აღმოფხვრა და შიგა საშუალებებით ექსპორტის სტიმულირება.

საექსპორტო პოტენციალის კვლევა.

ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია ახალი ბაზრების მოძიება, ან არსებული ბაზრის გაფართოება. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთთ, საქართველოს ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზრებია დსთ-ს ქვეყნები, თუმცა დღეისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ბაზრები მეტად მყიფე და სარისკოა. მით უფრო ნაკლებია მათი გაზრდის და განვითარების შესაძლებლობა. აუცილებელია რომ, სახელმწიფომ მოახდინოს კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, ბაზარზე მოთხოვნადი და ეფექტური პროდუქტების გამოსავლენად და ქვეყანაში მათი წარმოების სტიმულირებისათვის.

ბიო-სტანდარტების დანერგვა და დაცვის ხელშეწყობა.

წარმოების ბიო სტანდარტების დანერგვა მოითხოვს საკმაოდ სერიოზულ ინვესტიციებს, რომლის განხორციელების შესაძლებლობა ქართველ მცირე ფერმერებს და კოოპერატივებსაც კი, ნამდვილად არ აქვთ. აქ აუცილებელი და საჭირო გახდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება.

რამდენადაც მიწის ეფექტური მართვის საკითხები მჭირდოდაა დაკავშირებული გარემოს მართვასთან და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან, აუცილებელია ამ ფონდებიდან მოხდეს საინფორმაციო სემინარების მოწყობა, ფერმერების ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვით საკითხებში. აგრეთვე მდგრადი განვითარების მსურველი ფერმერებისათვის პროექტების დაფინანსება და წამახალისებელი სუბსიდიების გაცემაც კი, როგორც ეს აპომინებული პრაქტიკა ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს პოზიციონირება ახალ ბაზრებზე.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისება საჭიროებს ძლიერ მარკეტინგულ მხარდაჭერას. კერძოდ, საქართველოს ბრენდის შექმნას და ამ ბრენდის პოპულარიზებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სახელმწიფო პარატში უნდა შეიქმნას ამ მიზნებზე მომუშავე ჯგუფი, როგორიცაა მაგალითად ლინის სააგენტო.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული აგრარული პოლიტიკის მიზნები გამომდინარეობს იმ ფაქტური რეალობიდან, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება და მჭირდოდაა დაკავშირებული არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, არამედ რეგიონულ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროსთან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ აგრარული პოლიტიკა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, ფერმერული მეურნეობების განვითარების სტარტეგიას, არამედ იყოს რეგიონული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რამდენადაც სწორად ფორმირებულმა რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა მოახდინოს აგრარული სექტორის ისეთი რესურსებით მომარაგება, როგორიცაა: ახალგაზრდა და ნივატორი სამუშაო ძალა; საწარმოო ინფრასტრუქტურა; ენერგო-რესურსები და სხვა.

ლიტერატურა

1. ევროკავშირის გენერალიზებულ პრეფერენციათა სისტემის შუალედური შეფასება, 2010 წ.
2. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2010/may/tradoc_146195.pdf
3. ებერლინი რ., ჰერანზი მ., მ. ლ. სილერი, ა. ნილი, ს. ოგრადი, დ. ანგელოვსკი, ზ. ჩეკურაშვილი; სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო"-FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის; 2012წ.

4. "ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო" - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014წ.
5. "აგრარული პოლიტიკის გამტარებელები საქართველოში, პრობლემები, შესაძლებლობები და აღტერნატივები". საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა". N 5-6
6. "რეგიონული კლასტერი" ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების საუკეთესო გზა ქართველი ფერმერებისათვის. საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა".
7. EVALUATION OF THE STRUCTURAL EFFECTS OF DIRECT SUPPORT; European Commission-2013
8. Gollin, Parente, and Rogerson. 2002. Gollin, D., S. Parente, and R. Rogerson. 2002. The role of agriculture in development. American Economic Review 92 (2) gv. 160-164
9. Gollin, Parente, and Rogerson. 2002. Gollin, D., S. Parente, and R. Rogerson. 2002. The role of agriculture in development. American Economic Review 92 (2)
10. The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission-2013
11. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova Final report; Rotterdam, 27 October2012;
12. <http://faostat.fao.org>

თამაზა ვანიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი.
vanishvilitamuna@gmail.com

თამაზ გეგელია
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
tamazgegelia@yahoo.com

მართვის თანამედროვე მოდელის დანერგვა ორგანიზაციებში
„მეხუთე დონის მენეჯერი” - სა და „ახალი ტიპის ლიდერი”-ს
თვისებების გათვალისწინებით

რეზიუმე. განხილულია, თანამედროვე პრინციპებზე აგებულ ორგანიზაციებში, მართვის ახალი მოდელის დანერგვისათვის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რაც ახალი დონის მენეჯერების ჩამოყალიბებას და ახლებური მიდგომების დანერგვას გვთავაზობს.

უდავო, რომ ძველი სტილის ორგანიზაციები განსხვავდება თანამედროვე ორგანიზაციებისაგან. ისინი უფრო მოქნილები და რაციონალურები არიან ცვლილებების განხორციელების, გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულების პროცესში. ცვლილებების საჭიროება ორგანიზაციული ქცევის თითქმის ყველა ცნებას მოიცავს. ეს ეხება დამოკიდებულებებს, აღქმას, გუნდს, ლიდერობას, მოტივაციას, ორგანიზაციულ მოწყობას, და მსგავს ცნებებს. შეუძლებელია ამ ცნებებზე ცვლილების საჭიროების გარეშე ვიფიქროთ.

ცვლილებების განხორციელების შედეგად მიღებული, თანამედროვე ორგანიზაციების მოდელი შემდეგნაირია: მასში წარმოდგენილია გარემო, სადაც ადამიანებს მოსწონთ მუშაობა, რადგან არ არიან შეზღუდულები და დამატულები; მინიმუმამდეა დაყვანილი კონფლიქტური და სტრესული სიტუაციები; მენეჯერი მუდმივად ზრუნავს სტრესული მდგომარეობის თავიდან აცილებაზე, ხოლო არსებობის შემთხვევაში, მის აღმოფხვრაზე; ადამიანები ერთი მთლიანი გუნდის წევრებად აღიქვამენ თავს, ერთად წყვეტენ და იაზრებენ ორგანიზაციის სტრატეგიას და გამოკვეთებ პრიორიტეტებს მიმართულებებს, რომელიც უმნიშვნელოვანესა საბოლოო შედეგის მისაღწევად და განსაკუთრებულ ძალისხმეულად და ყურადღებას მოითხოვს.

წარმოდგენილი ახალი ტიპის ორგანიზაციები გვთავაზობს: „მეხუთე დონის მენეჯერი” - სა და „ახალი ტიპის ლიდერი” - ს თვისებების გათვალისწინებას

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

მართვის ახალი მოდელის მისაღებად, რადგან ადამიანები, რომლებიც ამ თვისებებს
ითვალისწინებენ, უკეთესი მენეჯერები და ღიძერები არიან.

Tamuna Vanishvili
Davit Agmashenebeli,
National Defence Academy of Georgia

Tamaz Gegelia
Davit Agmashenebeli,
National Defence Academy of Georgia

The Implementation of Modern Management Model in Organizations with Taking into Account the Properties of "Fifth-Level Manager" and a "New Kind of Leader"

Abstract. Is considered for introducing and implementing of new management model for
based on modern principles organizations, necessity of changes implementation for the new level
managers formation and suggestion for the introduction of new approaches.

There is no doubt that old-style organizations differs from modern organizations, they are
more flexible and rational for implementation of the changes, decision-making and
implementation process. The necessity of changes includes almost all the concepts in
organizational behavior. This refers to the attitudes, perceptions, team, leadership, motivation,
organizational arrangement and similar concepts. It is impossible to think about these concepts
without the necessity of change.

The obtained as result of changes implementation the modern organizations model is as
follows: in it is presented an environment where people like to work, because there are not
limited and stressed; up to minimum are reduced the conflict and stressful situations; manager
always takes care to avoid stressed state, and, in case of its elimination of its; persons
perceive themselves as members of the team, jointly makes decisions and comprehend the
organization's strategy and can outline priority areas that are crucial to the achieving of final
outcome and requires the special effort and attention.

The new types of presented organizations suggests for obtaining of the new management
model with taking into account the "fifth-level manager" and a "new kind of leader" properties,
because persons who have into account these properties are better managers and leaders.

1. შესავალი

გამწვავებული კონკურენცია, გადარჩენის ინსტინქტები და პირველობის მუდმივი დაუოკებელი ამბიცია სულ უფრო მეტ ორგანიზაციას აიძულებს, ეძებოს განვითარების ახალ-ახალი შესაძლებლობები, მიჰყევს ცვლილებებს მართვის საკითხებში. თანამედროვე ორგანიზაცია, მაშინ არის წარმატებული, თუკი ის მუდმივად ახერხებს, იყოს საინტერესო - საზოგადოებისთვის, სასარგებლო - მომუშავებისთვის, ეფექტიანი - გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

თანამედროვე პრინციპებზე აგებული ორგანიზაციები მოითხოვენ ცვლილებების განხორციელებას ორგანიზაციულ ქცევაში, კერძოდ კი ორგანიზაციის მართვაში, მენეჯმენტში, რაც ახალი დონის მენეჯერების ჩამოყალიბებას და ახლებური მიდგომების დანერგვას გვთავაზობს.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე ორგანიზაციების განსხვავება ძველი სტილის ორგანიზაციებისგან სულ უფრო მკაფიო ხდება: მოქნილობა ცვლილებების განხორციელებაში, ორიგინალობა იდეებში და რაციონალურობა გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულების პროცესში, იმ ფაქტორების მუდმივი გადახედვა და გადახალისება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის განვითარებაზე და სრულყოფილებაზე, კერძოდ, მართვის მეთოდების სწორად ჩამოყალიბება და მათი შექმნისა და დანერგვის პრინციპების შესწავლა [1].

გაეროს ოფიციალური მონაცემებით, კაცობრიობის წინაშე დადგა ახალი, პლანეტარული პრობლემა - მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის 70% ჩამორჩება ცვლილებებს. ეს კი იწვევს სტრესებს, დეპრესიას, ჯანმრთელობის გაუარესებას და ა. შ [2].

თანამედროვე პირობებში, ცვლილებები ორგანიზაციულ ქცევაში კერძოდ კი, ორგანიზაციის სტრუქტურებში ინდივიდუალური და განსხვავებულია, რადგან ეს ცვლილებები კომპანიის მიზნებისგან, ამოცანებისგან და სპეციფიკური გარემოდან გამომდინარეობს.

ქვეყნისება ჯერ კიდევ ამოუცნობი და საინტერესოა, რადგან ხვალინდელი დღე სავსეა მიღწევებით თუ აღმოჩენებით. ყოველდღიური რუტინა, ერთგუროვანი ცხოვრება რომ არ დაემლიათ ჩვენს წინაპრებს, ქვეყნისება არ განვითარდებოდა. ორგანიზაციაში საჭიროა ყველა თანამშრომელს მიეცეს მეტი თავისუფალი აზროვნების საშუალება. თითოეული იდეა განხილულ იქნეს და ჩაითვალოს უკეთესი მიღწევების წინაპირობად. ორგანიზაციის წევრებმა ყველა საკითხთან დაკავშირებით უნდა შეძლონ საკუთარი სუბიექტური აზრის გამოხატვა. ინდივიდი უნდა გრძნობდეს, რომ მისი პიროვნება ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, თვლიდეს საკუთარ წარმატებას - ორგანიზაციის წინსვლის პირდაპირპორციულად.

მმართველები ძირეულ ცვლილებებს იწყებენ ეფუქტიანობის ამაღლებისა და ახალი სტრატეგიის დანერგვის მიზნით, მაგრამ აღნიშნული წინსვლა გრძელდება იქამდე, სანამ ხელქვეითები თვლიან, რომ ეს სასარგებლოა. მაშასადამე, მენეჯმენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს კულტურაზე, მხოლოდ მაშინ, როცა ვითარება მესაბამისია და წევრები დადებითად ეკიდებიან სიახლეებს. ადვილი მისახვედრია, რომ ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურის შექმნა საკმაოდ რთული პროცესი უნდა იყოს. თანამედროვე ცხოვრების სტილი და ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია გვიჩიძებებს ავყვეთ ტენდენციებს და ავირჩიოთ ორიდან ერთი - ვითამაშოთ სხვისი თამაში, ან შევთავაზოთ მასებს საკუთარი თამაშის წესები [3].

2. მირითადი ნაწილი

„მეხუთე დონის მენეჯერი“ და „ახალი ტიპის ლიდერი“

ორგანიზაციების მართვის ტრადიციული მოდელი უკანასკნელ დღეებს ითვლის. სულ უფრო ხსადი ხდება, რომ ის მიღებომები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციებს მართავენ, არსებით ცვლილებებს ითხოვს. ადამიანთა მოტივირება, მათი უნარებისა და შესაძლებლობების ორგანიზაციის მიზნებისთვის გამოყენება უფრო რთული, მაგრამ, ამავე დროს, მუდმივად კრიტიკული ხდება.

თანამედროვე, კომუნიკაციული, გამართული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მართვის სფეროში მრავალი სიმძლივისა და პრობლემის გადაჭრა. ამისათვის უამრავი ფაქტორის და პრინციპის გათვალისწინებაა საჭირო, რომელზე დაყრდნობითაც საუკეთესო ორგანიზაციების შექმნა იქნებოდა შესაძლებელი.

ორგანიზაციები იძულებული არიან, რაღაც ძალიან სიღრმისეულად შეცვალონ, რათა იყვნენ ნოვატორები და მოქნილები ახალი საბაზრო რეალობების საპასუხოდ. ორგანიზაციული მოწყობის ახალი მოდელის მირითადი მოთხოვნების შესრულება არც თუ ისე ადვილია, ის ორგანიზაციულ ქცევაში, კერძოდ კი მართვის მოდელში, ბევრი ძირეული ცვლილების განხორციელებას მოითხოვს, რაც დაეხმარება ორგანიზაციას სრულყოფაში და მისცემს მას რეგულირების, სხვადასხვა პრინციპების შემუშავების და გამოყენების საშუალებას. კოკო შანელის შეხედულებით - „იმისათვის, რომ შეუცვლელი იყო, უნდა განსხვავდებოდე სხვებისაგან“. განსხვავებული მიღომა სხვებისაგან გამორჩეულს გვხდის და ხშირად წარმატებაც მოაქვს, თუმცა სიახლის შემოტანა და დანერგვა ხშირად შიშთან ასოცირდება. საინტერესო და გასათვალისწინებელი ფაქტია, თუ რით მოახერხა კოკო შანელმა ასეთი პოპულარობა. მას შეეძლო დაბრკოლებებში დადგებით მხარეები დაენახა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, დარწმუნებული იყო თავის თავში და შეეძლო საკუთარი იდეების ერთგული დარჩენილიყო, იყო მიზანდასახული, ისრაფოდა დამოუკიდებლობისაკენ, გულით უყვარდა საკუთარი საქმე. მტკიცე ხასიათი,

მიზანდასახულობა, ინოვაციურობა, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფა, საკუთარი საქმის სიყვარული, ეს ის თვისებებია, რომელიც წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე, ყველა მიზანდასახულ ადამიანს გამოადგება. ბუნებრივია, ამ თვისებების გამომუშავება გარკვეულ სირთულეს წამოადგენს და ყველასათვის იოლი არ არის. მხოლოდ ერთეულები ახერხებენ იპოვონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ძირეულად შეცვლიან მათ ადრინდელ მდგომარეობას, მხოლოდ ერთეულებს ყოფნით გამშედაობა - გადადგან გადაწყვეტი ნაბიჯები ახალი, თამამი ცვლილებების განსახორციელებლად. ყოველდღიურ, მცირე და მუდმივ გაუმჯობესებას, არაჩეულებრივ შედეგებამდე მიყვავართ. თუმცა, ორგანიზაციაში არსებული სირთულეების გადაჭრისათვის, მხოლოდ ცოდნა არ კმარა.

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯიმ კოლინზისა და მისი თანამოაზრების ხუთწლიან კვლევების შედეგაზე დაიწერა რამდენიმე წიგნი, რომლებიც მართვის სფეროში ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგად გაკეთებულ აღმოჩენებს მიეძღვნა. მასში მოცემულია, თუ როგორ და რატომ უნდა გახდეს კარგი ორგანიზაცია საუკეთესო.

„მესუთე დონე“ - ეს ტერმინი კოლინზის მკვლევართა ჯგუფის მიერაა მოფიქრებული და, რასაც იმუშავებია, თავისი ახსნაც მოეძებნება. საქმე ისაა, რომ მკვლევარებმა შემოიტანეს მათთვის სხვადასხვა უნარების მქონე ადამიანების ცნება და ხუთ სხვადასხვა დონეში გაურთიანეს. მართვის ყველაზე გამორჩეულ და მაღალი უნარების მქონე ხელმძღვანელს კი მესუთე დონის მენეჯერი უწოდეს.

მეოთხე დონის მენეჯერის მიერ შექმნილი ღირებულება ჯიმ კოლინზმა და მისმა თანამოაზრებმა, ასე დაინახეს: მეოთხე დონის მენეჯერი ქმნის მომავლის ხედვას და იყენებს ყველა საშუალებას, რათა ორგანიზაცია მისი მმართველობის პროცესში ასეთი გახდეს. ცდილობს, უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების, რაც შეიძლება მაღალი ხარისხი და მიღწეული შედეგები ყველას აცნობოს. მეოთხე დონის მენეჯერს ნამდვილად შეუძლია გახადოს ორგანიზაცია წარმატებული და რევოლუციური გარდაქმნებით, მოკლე დროში, მიაღწიოს განვითრების განსაკუთრებულ ტემპებს, თუმცა ეს მხოლოდ მისი მმართველობის პერიოდში. მისი წასულის შემდეგ კი, მის მიერ შექმნილი სარგებელი მკვეთრად კლებულობს, ან საერთოდ ქრება. აღმოჩნდა, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საუკეთესო შედეგების შენარჩუნება ვერ შეძლეს, სწორედ ასეთი სახის მენეჯერები ედგნენ სათავეში, ხოლო მესუთე დონის მენეჯერის მმართველობა, მკვლევართა მოსაზრებით, განაპირობებს საუკეთესო და ამასთან გრძელვადიანი შედეგების მიღწევას. პიროვნება, რომელშიც გაერთიანებულია მეოთხე დონის მენეჯერებისაგან გამორჩეული ადამიანური თვისებები და დიდი პროფესიული პასუხისმგებლობის

გრძნობა, მიისწრაფვის იმისკენ, რათა შექმნას არა კარგი, არამედ საუკეთესო ორგანიზაცია [4].

ახალი დონის მენეჯერისათვის მნიშვნელოვანია ინტელექტუალური უნარები - შემცირებითი თვისებების ერთობლიობა, რომლის მწვერვალიც - აზროვნებაა. მენეჯერი ჭირიანი ადამიანი უნდა იყოს, მისი ინტელექტუალური უნდა გამოიჩინოდეს სოციალური და საბაზო სინამდვილის გაგების სიღრმით და სიფართვით (სისტემურობით, პანორამულობით, კომპლექსურობით, ზესიტუაციურობით), მასში თავისი საქმიანობით, პრაქტიკულობით, ანალიტიკური უნარით, ლოგიკურობით, კრიტიკულობით, გარკვეულობით, ხატოვნობით, დამაჯურებლობით, პრივნოზულობით, სისწრაფით, მობილურობით, გულადობით (ზრის დაშვებისა და სერიოზულად განხილვის უნარი ისეთი რამის, რაც სხვას წარმოუდგნია შეუძლებლად), სიმტკიცით გაურკვევლობისადმი, რადგან ორგანიზაცია და მენეჯერები არ არიან დაზღვეულნი ფორს-მაჟორულ, კრიტიკულ სიტუაციაში მოხვედრისაგან. ისინი ხასიათდებიან დიდი სირთულეებით და დატვირთვებით, მათ შორის ფიქოლოგიურითაც.

მაღალი კლასის პროფესიონალიზმი მუდამ დაკავშირებულია მაღალანიჭიარებულ ნიჭითან, ორ მენეჯერს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი განათლება, პროფესიული ოსტატობა, მაგრამ განსხვავდებოდნენ ნიჭით, შესაბამისად, მათი შრომის შედეგებიც იქნება განსხვავებული [5].

თუ ორგანიზაცია შეძლებს შეგროვოს იმ ნიჭისა და უნარების ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად არის საჭირო საქმისთვის, გაზრდის მათში ზრუნვის შეგრძებას კლიენტებზე, ორგანიზაციაზე, კოლეგებზე და მისცემს სრულ თავისუფლებას - მიიღებს ჯუფს, რომელიც შეძლებს მიაღწიოს ყველაზე დიდ შედეგებს, იმდენად სწრაფად, რამდენად სწრაფადც ისწავლინ ისინი საქმის კეთებას. ამისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც ახალი რეალობა ითხოვს ორგანიზაციებისაგან არის მართვის ახალი სტილი. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა პრინციპულად ახალი ტიპის ლიდერი, რომელიც უნდა ზრუნვადეს თანამშრომლებზე, კლიენტებზე და მთლიანად საზოგადოებაზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს რწმენა ხვალინდელი დღის, საკუთარი თავის და ადამიანების; უნდა იყოს მშვიდი საუბარში, მოქმედებებში და ფიქრებში. ამერიკელი ბიზნეს ტრენერი, ორატორი ჯიმ რონი თვლის: „ლიდერობის მთავარი გამოწვევაა, იყო მკაცრი, მაგრამ არა უსეში; იყო კეთილგანწყობილი, მაგრამ არა სუსტი; იყო თავდაჯერებული, მაგრამ არა თამამი; იყო მოაზროვნე, მაგრამ არა ზარმაცი; იყო თავმდაბალი, მაგრამ არა მორიდებული; იყო მტკიცე, მაგრამ არა ამპარტაციანი; გჭინდეს იუმორი, მაგრამ არა სულელური“ [6]. ფიქოლოგები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ლიდერი გამოიჩინა ინიციატიურობით, ენთუზიაზმით, რიტორიკული უნარ-შესაძლებლობებით, დასახული მიზნების მიღწევაში დაქინებულობით, სოციალური ურთიერთობებისადმი მისწრაფებით და ა.შ. გარდა ამისა, როგორც წესი, ლიდერი

შრომები N1(2)

უნდა იყოს პატიოსანი, კეთილსინდისიერი, ჰქონდეს კარგი განათლება და მაღალი თვითშეფასება [7].

ლიდერობას და მენეჯმენტს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან. როგორ განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან?

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის, ჯონ კოტერის მტკიცებით, ლიდერობა - სირთულისთვის თავის გართმევას წარმოადგენს [8]. კარგი მენეჯმენტი წესრიგსა და თანმიმდევრულობას ამყარებს ფურმალური გეგმების შექმნით, მტკიცე ორგანიზაციული სტრუქტურის დაგეგმვით და დაგეგმილთან შედეგის შედარებით. ლიდერობა კი პირიქით, ცელილებებთან გამკლავებაა. ლიდერები მომავალზე ხედვის ჩამოყალიბებით გარკვეულ მიმართულებას ამკვიდრებენ, შემდეგ ისინი თავიანთ შეხედულებებს გადასცემენ ხალხს და მათ დაბრკოლებების გადალახვის სტიმულს აძლევენ.

ყველა ლიდერი არ არის მენეჯერი და არც ყველა მენეჯერი არის ლიდერი. ორგანიზაციის მიერ მენეჯერებისათვის გარკვეული ოფიციალური უფლების მინიჭება არ არის იმის გარანტია, რომ ისინი ეფექტურ ლიდერობას შეძლებენ [16].

ოპტიმალური ეფექტურობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ორგანიზაციებს ძლიერი ლიდერობა და ძლიერი მენეჯმენტი სჭირდება.

ნამდვილ ლიდერებს შეუძლიათ სული შთაბერონ ადამიანების იმედებსა და ოცნებებს; დაარწმუნონ ისინი, რომ მომავალი მათ სარფიან შესაძლებლობებს სთავაზობს. ლიდერი არ იზიარებს პრინციპს - „გათიშე და იბატონე“ და არასდროს მიმართავს ამ უკიდურეს გზას, მან ზუსტად იცის გუნდის ერთიანობის ძალა და ფასი, ყველას აფიქრებინებს, რომ სწორედ მისი ძალისხმევა საჭირო გუნდისთვის და რაც უფრო ბევრი იფიქრებს ასე, მით უფრო დიდი და ძლიერი გუნდი ეყოლება მას. ამ თვისებების დაუფლება და გამომუშავება შესაძლებელია, მაგრამ არა იოლი, ამ თვისებების ერთიანობა, უზრუნველყოფს ლიდერის გარშემო სასურველი გარემოს შექმნას.

ლიდერებად არ იბადებიან, ლიდერობა ცხოვრების სტილია, რასაც განაპირობებს გარემოებები და ინტერესები. ლიდერობის სწავლა შესაძლებელია, ლიდერის თვისებების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენება იძლევა საშუალებას გავხდეთ ავტორიტეტული როგორც პირად, ასევე პროფესიულ საქმიანობაში.

ლიდერებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი ხასიათდებიან საერთო თვისებებითა და უნარ-ჩვევებით. წარმატებული ლიდერი ცვლის ქცევას და არა მიზანს. ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიული საქმიანობა. ლიდერები აკეთებენ იმ საქმეს, რომელიც უყვართ და ანიჭებთ სიამოვნებას. მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგი - რეალიზებული მიზანია.

ლიდერის პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი გამორჩეული, არაორდინალური თანამშრომელია პროფესიულ სფეროში, ის ერთი სიტყვით „ადამიანი წარმატება“.

ლიდერი უბრალოდ - ლიდერია, ის „დიდია“ და მისაბაძი, ასეთი ლიდერები ყველანაირ კრიტიკას, დროს და ღირებულებათა რღვევას უმღებენ და დიდხანს რჩებიან ლიდერებად, შემთხვევით ლიდერები კი მოდიან და მიდიან.

ლიდერები ხასიათდებიან პერსპექტიული ხედვით. მათ აქვთ უნარი დაინახონ მოვლენები მთლიანობაში, შექმნას ერთანი სურათი. შეუძლიათ დაინახონ რა გზებითა და სასუალებებით არის შესაძლებელი დასახული მიზნის მიზნევა და რა გავლენას იქონიებს ის, მათზე და გარშემომყოფების ცხოვრებაზე, შემდეგ ზრუნდებიან „აქ და ამაგად“ და მოქმედებენ შესაბამისად.

ლიდერების საერთო მახასიათებელია რეალიზმი. ისინი არიან მამაცები, სამართლიანები საკუთარ თავთან და სხვებთან მიმართებაში, აქვთ ღირსეული ადამიანის რეპუტაცია, არიან უკომპრომისო და ცხოვრობენ აბსოლუტურ რეალობაში. შენაგანი ჰარმონია - ლიდერის ყველაზე სასურველი მახასიათებელია.

ლიდერებისთვის დამახასიათებელია პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი სრულ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავსა და გარშემომყოფებზე. „იყო ლიდერი ეს არის ხასიათი და არ სტრუს“ [9].

1990-იანი წლებისათვის, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩატარებული უამრავი კვლევისა და ანალიზის შემდეგ, ყველაზე კარგი, რაც კი ითქვა იყო ის, რომ „ლიდერების უმეტესობა სხვა ადამიანებს არ ჰგავს“ [10]. მკვლევარებმა წარმატებას მიაღწიეს, როცა მათ დაიწყეს თვისებების ორგანიზება დიდი ხუთეულის პიროვნული თვისებების ჩარჩოში [11].

კვლევების, თვისებებისა და ქცევითი თეორიების განხილვა იძლევა თანამედროვე ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებებისა და ქცევების სურათს. კერძოდ, ქარიზმატული ლიდერობა პირველად სოციოლოგმა მაქს ვებერმა განიხილა. საუკუნეზე მეტი წენის წინ მან განსაზღვრა ქარიზმა¹ (ბერძნული სიტყვა „საჩქარი“), როგორც „ინდივიდუალური პიროვნების გარკვეული თვისება, რის გამოც ის გამორჩეულია ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. მას ეპყრობიან, როგორც ზებუნებრივი, ზეადამიანური და გამორჩეული ძალითა და თვისებებით დაჯილდოებულს. ეს ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია, მაგრამ მათ ღვთიური წარმომავლობის მქონედ ან სამაგალითოდ მიიჩნევენ და იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობენ მასზე ადამიანები, ეპყრობიან, როგორც ლიდერს“ [12]. ვებერი ამტკიცებდა რომ ქარიზმატული ლიდერობა ძალაუფლების ერთ-ერთი იდეალური ტიპია.

პირველი მკვლევარი, ვინც ქარიზმატული ლიდერობა განიხილა ორგანიზაციული ქცევის თვალსაზრისით, იყო რომერტ ჰაუსი. ჰაუსის

¹ ინგ. Charisma ღვთის ნიჭი, ღვთის წყალობა: ინტელექტუალური, სულიერი ან სხვა რაიმე თვისებებით გამორჩეული, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ქარიზმატული ლიდერობის თეორიის მიხედვით, დაქვემდებარებული პირები, როცა ლიდერის გარკვეულ ქცევას აკვირდებან, მას ლიდერობის გმირულ ან არაორდინაციურ თვისებებს მიაწერნ. რამდენიმე კვლევა ეცადა, ქარიზმატული ლიდერის თვისებები განესაზღვრა. ლიდერობაზე არსებული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მიმოხილვაში აღნიშნულია ოთხი ასეთი ნიშან-თვისება: ხედვა, პირადი რისკის გაწევა ამ ხედვის მისაღწევად, მომხრეთა საჭიროებებზე რეაგირება და უჩვეულო ქცევების გამოვლენა [13].

კვლევის მეორე მიმართულება ტრანსფორმაციულ ლიდერს ქარიზმატულისაგან განასხვავებს [14]. ტრანსფორმაციული ლიდერები შთააგონებენ თავიანთ დაქვემდებარებულებს, ორგანიზაციის კეთილდღეობა ამჯობინონ თავიანთ ინტერესებს. მათ შეუძლიათ თავიანთ მომხრეებზე ძლიერი და განსაკუთრებული გავლენის მოხდენა.

თუ ჩვენ ვეძებთ საუკეთესო შესაძლო ლიდერს, არ არის საკმარისი, რომ იგი იყოს ქარიზმატული ან გონიერი. ის უნდა იყოს ასევე ეთიკური, რომელსაც მომხრეებში რჩების ჩანერგვა შეეძლება. ეთიკისა და ნდობის გათვალისწინება აუცილებელია ეფექტური ლიდერობის სურათისათვის დასრულებული სახის მისაცემად. ჩვენ ამ ორ ცნებას ჭრამარიტი ლიდერობის კატეგორიაში განვიხილავთ [15]. ჭრამარიტმა ლიდერებმა იციან, ვინ არიან ისინი, რისი სჯერათ და რას აფასებენ და ამ ფასეულობებისა და რჩების მიხედვით ღიად და გულწრფელად მოქმედებენ. არსებობს ასევე: ლიდერობის ავტორიტარული (ავტოკრატული) სტილი, დემოკრატიული ლიდერი, მიშვებული ლიდერი, სოციოემოციური ლიდერი, საქმიანი ლიდერი [7, გვ. 126].

3. დასკვნა

- ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც თანამედროვე ორგანიზაციების ჩამოყალიბება ითხოვს, არის მართვის ახალი სტილი, რომელიც ეფექტური მმართველის ჩამოყალიბებას გვთავაზობს, სადაც მენეჯერული და ლიდერული თვისებები თავისებადობაშია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მენეჯერი შეიძლება იყოს ან არ იყოს ლიდერი, ასევე შესაძლებელია როგორც მენეჯერის, ასევე ლიდერის თვისებები იყოს ერთ ადამიანში გაერთიანებული. როდესაც ორგანიზაციას ჰყავს კარგი ლიდერი და არ აქვს შესაფერისი მენეჯმენტი ეს წაგებული სიტუაცია, რადგან ყველა ერთსულოვან და ჯანსაღ იდეას სჭირდება მიზანმიმბართულ საქმიანობად გადაქცევა.

- მთავარი მიზეზი, რის გამოც თანამედროვე პრინციპებზე აგებული ორგანიზაციები აღწევენ წარმატებას არის სწორედ ის, რომ ადამიანებს მოსწონთ მუშაობა გარემოში, სადაც მაქსიმალურად ახერხებენ თვითორეალიზებას და მათ

მინიჭებული აქვთ თავისიუფლება, შეუძლიათ, საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ და ცხოვრებაში რამე საინტერესო და მნიშვნელოვანი შექმნან. ასეთ ორგანიზაციებში ადამიანები მათივე, ან მათი მონაწილეობით შემუშავებული იდეების სწორად და ეფექტუანად განხორციელებისკენ თავდადებით ისწრაფვიან. ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, ორგანიზაციის ეფექტუანი ფუნქციონირების გადამწყვეტი ფაქტორია.

• ნიშან-თვისებების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს **ლიდერობის პროგნოზი**. ოცი წლის წინ ფაქტები სხვას გვიჩვენებდნენ, მაგრამ, ეს, ალბათ, გამოწვეული იყო თვისებების კლასიფიკაციისა და ორგანიზაციებისათვის სათანადო ჩარჩოს არარსებობით. როგორც ჩანს, ეს **დიდმა ხუთეულმა** (და სხვ მსგავსმა მოდელებმა) გამოასწორა.

• ორგანიზაციები უფრო და უფრო მეტად ეძებენ მენეჯერებს, რომელთაც აქვთ იდეები და ქარიზმა, გონიერება და ეთიკა, ნდობა, რათა ეს იდეები განახორციელონ. ნამდვილად ეფექტური ლიდერობის შედეგი შეიძლება იყოს - საჭირო დროს, საჭირო თვისებების გამოვლენა [16].

• მენეჯერებმა, რომლებიც დაინტერესებულები არიან თავიანთ ორგანიზაციებში მირითადი თანამდებობები ეფექტური ლიდერებით შევსონ, სასურველია აირჩიონ ინდივიდები, რომელთაც კონკურეტული თვისებები და ქცევები ახასიათებთ. ჩვენ ასევე ვარენეთ, რომ ადამიანები, რომლებიც ამ თვისებებს გამოავლენენ, უკეთესი ლიდერები გახდებან.

• განსილეული ფაქტორები დაეხმარება მენეჯერებს, მართვის თანამედროვე და ეფექტური მოდელის ფორმირებასა და ეფექტური ლიდერების გამოვლენაში.

ლიტერატურა

1. ქურნალ „სტრატეგია და ორგანიზაციის“ საუკეთესო სტატიების კრებული. თანამედროვე ორგანიზაციების მართვა. თბ., 2012.
2. <http://mebonia.com/>
3. <http://www.ideahub.ge/5-steps-for-innovative-organizational-culture/>
4. ქურნალ „სტრატეგია და ორგანიზაციის“ საუკეთესო სტატიების კრებული. ლიდერობის ხელოვნება. თბ., 2012, გვ. 39-45.
5. ერიაშვილი ნ.დ., სტოლიარენკო ა. მ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014. გვ. 269-350//კარპოვი ა.ვ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია, თავი 18.

6. <http://www.4motivi.com/%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%93%D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91/>
7. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ., 2012.
8. რობინსი ს.პ., ჯაჯი ტ.ა. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბ., 2009, გვ. 226// J.P.Kotter, "What Leaders Really Do," Harvard Business Review, 1990, p. 103-11; and J.P Kotter, A Force for Change: How Leadership Differs from Management (New York: Free Press, 1990).
9. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=429023257288160&id=168996046_624217
10. S. A Kirkpatrick and E. A. Loke, "Leadership: Do Traits Matter?" Academy of Management Executive, 1991, p. 48-60; and S.J. Zaccaro, R.J. Foti, and D. A. Kenny, "Self-monitoring and Trait-Based Variance in Leadership: An Investigation of Leader Flexibility Across Multiple Group Situations," Journal of Applied Psychology, 1991, p. 308-315.
11. ვანიშვილი თ.ა. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ორგანიზაციულ კულტურასა და მენეჯმენტში. ურნალი „ეკონომიკა“ № 7-9, თბ., 2015, გვ. 145-155.
12. M. Weber, Max Weber: The Theory of Social and Economic Organization, A.M. Henderson and T. Parsons (New York: Free, Press, 1947).
13. J.A. Conger and R.N. Kanungo, Charismatic Leadership in Organizations (Thousand Oaks, CA: Sage, 1998); and R. Awamleh and WL. Gardner, "Perceptions of Leader Charisma and Effectiveness: The Effects of Vision Content, Delivery, and Organizational Performance," Leadership Quarterly, 1999, p. 345-73.
14. B.M.Bass, Leadership and Performance Beyond Expectations (New York: Free Press, 1985); B.M. Bass, "From Transactional to Transformational Leadership: Learning to Sharethe Vision," Organizational Dynamics, 1990, p. 19-31.
15. B.J. Avolio, W.L. Gardner, E. O. Walumbwa, F.Luthens, and D.R. May, "Unlocking the Mask: A Look at the Processby Which Authentic Leaders Impact Follower Attitudes and Behaviors," Leadership Quarterly, 2004, p. 801-23.
16. რობინსი ს.პ., ჯაჯი ტ.ა. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბ., 2009.
17. <http://www.smart-edu.com/leadership-vs.-management.html>

რუსულან დალაჭიშვილი-ჭიჭინაძე
დავით აღმაშენებლის სახელმწიფო
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ასოცირებული პროფესორი
rdalakishvili@yahoo.com

მომსახურების მარკეტინგის თავისებურებები ჯანდაცვის სფეროში

ანოტაცია. ჯანდაცვა ისეთი მომსახურებაა, რომელსაც გააჩნია მრავალფეროვანი მიზნობრივი აუდიტორია, მგრძნობელობა პრომოუშენისა და ფასის მიმართ. მომსახურების შესრულება დიდწილად არის დამოკიდებული, როგორც ტექნოლოგიურ მიდგომებსა და გამოყონებებზე ასევე მომსახურების შემსრულებლის ნიჭისა და ოსტატობაზე. იგი მოიცავს როგორც არახელშესახებ (მაგალითად, სწავლება), ისე შედარებით ხელშესახებ მომსახურებას სამედიცინო მომსახურებას შემთხვევიდან შემთხვევამდე იძენენ, ამიტომ მომხმარებელთან დამოკიდებულება, მათთან სწორი მარკეტინგული მიდგომების ფორმირება და განხორციელება, ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

Rusudan dalaqishvili-Chichinadze

Davit Agmashenebeli

National Defence Academy of Georgia

Features of marketing services in the health sector

Abstract. A health care is the service which has a wide variety of the target audience, sensitivity towards promotion and price. Service performance is largely dependent on the approaches and technological innovations, as well as service performer's talent and skill. It includes not tangible(Eg, teaching), and as well as more tangible services. Medical service is gained from the experience of the event, so consumer attitude, formation of the right marketing approach and implementation, is one of the most important factors for successful operation of a company.

მომსახურების სფერო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ფორმირებაში. იზრდება მისი ხევდრითი წილი ეკონომიკაში. იგი წარმოადგენს ახალი სამუშაო ადგილების წყაროს.

ჯანდაცვა, მომსახურების განსაკუთრებული სფეროა, მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავის თავში მოიცავს, სამედიცინო მომსახურებას, და



შრომები N1(2)

ამავე დროს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში, განაპირობებს შრომითი რეზურვების კვლავწარმოებასა და ხარისხს, ქმნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ბაზას. სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემა ეროვნული უსაფრთხოების გარანტია. ამდენად, ჯანდაცვის სისტემის გამართული და წარმატებული მუშაობა მნიშვნელოვანია, არა მარტო ამ სფეროში შექმნილი ზედმეტი ღირებულების რაოდენობის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის კეთილდღეობის მაჩვენებლის გაზრდის მხრივაც.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვას არ შეუძლია არსებობა მხოლოდ სახელმწიფოს დაფინანსებაზე დაყრდნობით. ადამიანთა მოთხოვნები ჯანდაცვაზე დღითიდღე სულ უფრო მზარდი ხდება. ამას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, ცვლილებები ეკოლოგიაში, ცვლილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სექტორში. სახელმწიფოს მიერ, ყველა ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ადრე თუ გვიან გამოიწვევს ქვეყნის კონომიკურ კოლაფს.

ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მომხმარებლებმა და სადაზღვეო ორგანიზაციებმა თავისთავზე აიღონ დანახარჯების და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი წილი. აუცილებელია, დარგში შეიქმნას კონკურეტული გარემო, რაც უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებას. მთავრობამ თანდათან უნდა მოახდინოს ჯანდაცვაზე, სახელმწიფო დოტაციის შემცირება და ხარჯების სულ უფრო მეტი ნაწილის გადატანა კერძო დაზღვევის სისტემაზე, რაც რასაკვირველია გამოიწვევს ცვლილებებს სამედიცინო დაწესებულების დაფინანსებაში. ჯანდაცვის დაწესებულებათა მართვის სისტემაში.

სადაზღვეო ორგანიზაციებს, როგორც კერძო კომპანიებს ცხადია დანახარჯების კონტროლის განსაკუთრებული მექანიზმები გააჩნიათ, რაც განაპირობებს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვას და ხარჯების ეფექტურად გამოყენებას. მაღალი სტანდარტები, შესაბამისად მეტ დანახარჯს საჭიროებს, ჩნდება მოთხოვნა დამატებით ინვენტიციაზე. დაწესებულება ცდილობს მეტი პაციენტი მოიზიდოს, მეტი მომსახურება გაყიდოს. ეს ყოველივე კი მარკეტინგის გამოყენებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მხოლოდ სწორი მარკეტინგული სტრატეგია იძლევა ბაზრის თვითრეგულაციის დადგებით ეფექტს ჯანდაცვის პროდუქტის წარმოებაში და მოხმარებაში ჩართული ყველა მხარესთვის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი მიიღებს უმაღლესი სტანდარტის სამედიცინო მომსახურებას, გაიზრდება ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების ანაზღაურება, სამედიცინო დაწესებულებისა და სადაზღვეო კომპანიების შემოსავლები, რაც თავის მხრივ დადგებით გავლენას მოახდენს ქვეყნის კონომიკაზე.

მომსახურებას საქონლისგან განასხვავებს ის, რომ მას ახასიათებს არამატერიალურობა; ჰეტეროგენულობა, ანუ მომსახურების ხარისხი

დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, როდის და როგორ ახდენს მომსახურებას; განუყოფელობა, ანუ შეუძლებელია მომსახურების და მისი მიმწოდებლის განცალკევება და მაღლუქებადობა, ანუ შენახვას არ ექვემდებარება. ამის გამო მომსახურება, ჩვეულებრივ, დაფუძნებულია მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირ კონტაქტებზე. მისი ხარისხი უფრო ცვალებადია, ვიდრე მატერიალურ-ნივთიერი საქონლისა. მომსახურების განმახორციელებელი, როგორც წესი, არ არის მომსახურების შედეგის მესაკუთრე; ეს ყოველივე განაპირობებს მომსახურების მარკეტინგის თავისებურებას.

ეკონომისტების ნაწილი ვარაუდობს, რომ მომსახურების მარკეტინგი არ განსხვავდება მატერიალური საქონლის მარკეტინგისაგან. ისინი ამტკიცებენ, რომ საქონელსა და მომსახურებას შორის არ ისე დიდი სხვაობაა, რომ საჭირო იყოს მისი გათვალისწინება მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავებისას და ჩატარებისას. ვინაიდან, განსხვავება დგინდება განსაკუთრებით საკამათო კრიტერიუმის (პროდუქტის მატერიალურობის) მიხედვით; პრაქტიკაში რეალიზებული გასაღების პროცესების უდიდესი ნაწილი წინასწარ არის ორიენტირებული მომსახურებაზე, ანდა ხასიათდება მომსახურების მარკეტინგის ნიშნებით, რაც გამოიხატება, მაგალითად, წარმოებისათვის განკუთვნილი და არა მზა პროდუქტის გასაღებით, სადაც ხდება კლიენტის მიერ მოწოდებული სურვილების ანდა სხვა ფაქტორების გათვალისწინება. არ შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგის სამსახური უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ კომპანიებში, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან მატერიალურ პროდუქტებს, ვიდრე ისეთ კომპანიებში, რომლებიც თავიანთ კლიენტებს მომსახურებას სთავაზომენ. მომსახურების მარკეტინგმა უნდა უზრუნველყოს კორპორაციული კულტურის შექმნა და ბაზრის წილის გაზრდა.

მომსახურების მიღებისას შეიძლება მინაწილეობს მომსახურების გაწევის პროცესში, რაც მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი. ეს განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს პერსონალისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ. მომსახურების შენახვის შეუძლებლობა მოითხოვს საწარმოთა შესაძლებლობების ზუსტ გაანგარიშებას მომსახურების სფეროში. მარკეტინგის მეშვეობით შესაძლებელია შემკვეთისათვის იმ მომსახურების უმაღლესი ხარისხის დემონსტრირება, რომლის შეძენასაც ის პირებს.

ჯანდაცვა ისეთი მომსახურებაა, რომელსაც გააჩნია მრავალფეროვანი მიზნობრივი აუდიტორია, მგრმნობიარობა პრომოუშენისა და ფასის მიმართ. მომსახურების შესრულება დიდწილად არის დამოკიდებული როგორც ტექნოლოგიურ მიდგომებსა და გამოგონებებზე, ასევე მომსახურების შემსრულებლის ნიჭა და ოსტატობაზე. იგი მოიცავს როგორც არახელშესახებ (მაგალითად, სწავლება), ისე შედარებით ხელშესახებ მომსახურებას. სამედიცინო მომსახურება ისეთი მომსახურებაა, რომელსაც შემთხვევიდან შემთხვევამდე იძენენ.

მარკეტინგული კვლევა შესაძლებელს გახდის იმ მექანიზმის გაგებას, რომელსაც მომხმარებლები იყენებენ მომსახურების პროცესის შესაფასებლად მისი შეძენამდე, მომსახურების გაწევისა და მოხმარების შემდეგ.

მომსახურების ბაზრის მარკეტინგული კვლევა მოიცავს: მომხმარებელის მოთხოვნილებათა კვლევას და ასევე იმ მოთხოვნილებების გამოვლენას, რომლებიც ამჟამად არ არის დაკმაყოფილებული; მომხმარებელის მოლოდინების კვლევას; მომსახურების კონტროლს; მომსახურების მიწოდების საოპერაციო მეთოდებისა და მათზე კლიენტის რეაქციის შესწავლას; ფასეული ინფორმაციის მიღებას, მომსახურების ხარისხისა და კლიენტის მოლოდინის შესახებ;

კვლევის მეთოდების შერჩევა (თვისობრივი ან რაოდენობრივი კვლევა) დამოკიდებულია ჩასატარებელი კვლევის მიზანზე, ასევე ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებზე.

მარკეტინგული კვლევების ჩატარების ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების შეძენისას.

მედიცინის საჭიროებისათვის ინერგება სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ტექნიკური, ელექტრონული, ულტრაბგერითი, ოპტიკური, რადიაციული აპარატურა. მეცნიერებისა და ტექნიკის ამგვარი განვითარების შედეგად შეიქმნა უზუსტესი კვლევითი ექსპერიმენტული აპარატურა, რომელიც განაპირობებს მეცნიერული კვლევის განვითარებას. მარკეტინგული კვლევა მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებაში ტექნოლოგიების დანერგვაზე გაწეული დანახარჯების განსაზღვრისათვის, რასაც უნდა მოჰყვეს კონკრეტული შედეგი - დაწესებულების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მარკეტინგის გამოყენება აქტუალურია არა მარტო ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის, არამედ ჯანდაცვის მართვის სახელმწიფო ორგანოებისთვისაც.

მარკეტინგის დახმარებით შესაძლებელია ჯანდაცვის რეფორმების, მათ შორის, ფინანსური და საინფორმაციო ასპექტების ხელშეწყობა, აგრეთვე პროპაგანდისტული საგანმანათლებლო მუშაობა მოსახლეობასთან, რაც აუცილებელია არა მარტო ჯანმრთელობისადმი ყურადღების მიჰყობის, არამედ ახალი პრეპარატების გაცნობისთვისაც. მარკეტინგის გამოყენება უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და სტრუქტურის ოპტიმიზაციას, როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

ჯანდაცვის სფეროს განვითარების თავისებურებები საქართველოში სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც სამედიცინო ინფრასტრუქტურა დამოუკიდებლობის შემდეგ სავალალო მდგრამარეობაში აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა სახელმწიფო და კერძო ინგენიერიებით ახალი დაწესებულებების მშენებლობა ან რეაბილიტაცია, რაც ეტაპობრივად ხდება, მაგრამ შეიძლება ითქვას,

რომ ამ მიმართულებით შესაძლებლობები ბოლომდე არ არის გამოყენებული. რაც მომსახურების ხარისხსს საგრნობლად ამცირებს.

2006 წელს საქართველოში, დაიწყო ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას და კერძო სადაზღვევო კომპანიებზე დამყარებული სადაზღვევო სისტემის განვითარებას. რეფორმა ნელი ტემპებით ვითარდებოდა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2009 წლის მონაცემებით ავადმის, სიკვდილიანობისა და ინვალიდობის გამო საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მოიღო (როგორც უშუალოდ ჯანდაცვაზე დანახარჯებით, ასევე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დროებითი თუ ხანგრძლივი შრომისუნარობით).

2007-2008 წლებში, გატარებული რეფორმის შედეგად 2011 წლის ივნისის ბოლოსთვის დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი (მოსახლეობის 33%) სარგებლობდა სახელმწიფო, ან კერძო სამედიცინო დაზღვევით. დაზღვეულთა ზრდაში მნიშვნელოვანად გაზარდა ამ ჯგუფის მიერ სამედიცინო მომსახურების მოხმარება და ავადმყოფობისას მათი ფინანსური დაცულობა. თუმცა, სამედიცინო მომსახურების მოხმარების საშუალო ეროვნული მაჩვენებელი არ გაზრდილა და საქართველოში როგორც ჰოსპიტალური, ასევე ამბულატორიული მომსახურების მოხმარება აზერბაიჯანის შემდეგ ყველაზე დაბალი იყო ევროპულ რეგიონში. პრობლემების გადაჭრის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებდა შემდეგ ღონისძიებებს: „სახელმწიფომ უარი უნდა თქვას სამედიცინო დაწესებულებების ყოველდღიურ მართვაზე და ხელი უნდა შეუწყოს ჯანდაცვის სფეროში კერძო ინიციატივებისა და ინვესტიციების მოზიდვას. ამისათვის სახელმწიფოს პასუხიმგებლობაა, შექმნას კონკურენტული გარემო მოსახლეობისთვის უკეთესი ხარისხისა და ფასის სამედიცინო, სადაზღვევო თუ ჯანდაცვითი მომსახურების უზრუნველსაყოფად და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გარანტირებულად დაიცავს ჯანდაცვის სფეროში თითოეული მოქალაქეებს ინტერესებსა და კანონიერ უფლებებს.

ადამიანის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა პროპორციულად უნდა გადანაწილდეს სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და მოქალაქეს შორის.“

სამედიცინო რესურსების (ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის სპეციალისტები) არათანაბარი განაწილება, დასაქმებისა და სიღარიბის ჯერ კიდევ არსებული პრობლემები წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის ძირითად მიზეზებს.

სამედიცინო მომსახურებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობა უნდა იყოს დამცავი მექანიზმი საქართველოს ყველა მოქალაქესთვის, განსაკუთრებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისთვის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე

მცხოვრებთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, სოფლის მოსახლეობისათვის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფთათვის.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვალის 36-ე დადგენილებით ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. მოსახლეობის უმცესობის სოციალური მდგრადირეობიდან გამომდინარე, მთავრობის ამ ნაბიჯს დადებითი შედეგები ჰქონდა მოსახლეობისთვის. ხელმისაწვდომი გახდა პირველადი და გადაუდებელი ჯანდაცვა, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით იკვეთებოდა მთელი რიგი საფრთხეები, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოს როლის ზრდასთან სადაზღვევო კომპანიებში და სამკურნალო დაწესებულებებში, რაც გამოიწვევდა დარგში ინვენსტიციების შემცირებას და მომსახურების ხარისხის გაუარესაბას.

ყოველწლიურად იზრდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება სახელმწიფოს მიერ, ხოლო კერძო სადაზღვევო კომპანიების წილი არ იზრდება იმ მასშტაბით, რაც კონკურენტული გარემოს შექმნისთვის და დარგის სათანადო განვითარებისთვის არის აუცილებელი. უფრო მეტიც, კერძო სადაზღვევო კომპანიები დღითი-დღე კარგვენ მომხმარებლებს, რაც ერთის მხრივ განვირობებულია მათ მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ფასით (არასწორი ფასწარმოქმნით), ხოლო მეორეს მხრივ მარკეტინგული აქტივობების სიმცირით. ამიტომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მარკეტინგის შესაძლებლობების გამოყენება, როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო კომპანიების მიერ, რათა მათი რესურსები მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს გამოყენებული.

ლიტერატურა

- Richard K. Thomas, Marketing Health Services, Health Administration Press, Chicago AUPHA Press, Arlington, VA 2015
- Richard K. Thomas, Marketing Health Services, Second Edition, December 21, 2009
- O. C. Ferrell Marketing Strategy, 6 edition December 20, 2012
- Philip Kotler Marketing Management (14th Edition), February 18, 2011

ირაკლი ქვარაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ქუთათელაძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
პროფესორი
kkutateli@gmail.com

მონოლითური რკინაბეტონი მშენებლობაში და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები საქართველოში

რეზიუმე. მონოლითური მშენებლობის სწრაფი განვითარება საქართველოში შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბაზრო კომონიტეტის პირობებში. ამ მიმართულებით მსოფლიოს მასშტაბით ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის პარალელურად, ქვეყანაში წარმატებით ხდება ინერტული მასალების, ცემენტის, მეტონის, არმატურის და სხვა საჭირო მასალების წარმოების განვითარება. დიდი პერსპექტივები აქვს ბურებრივ შემავსებლებზე დამზადებული მსუმაური მეტონების გამოყენებას.

Irakli Kvaraiia
Georgian Technical University
Professor

Ketevan Kutateladze
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Professor

Monolithic Reinforced Concrete in Construction and its Development Situation in Georgia

Abstract. The rapid development of monolithic construction in Georgia has become possible only in a market economy. Parallel to the technology development, the country successfully produces cement, concrete, and other necessary materials for further development of production. Natural, aggregate-based light concrete seems to have great potential.

მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკაში, რეინაბეტონმა დიდი ხანია წარმატებით ჩაანაცვლა ლითონის, ხის, ქვის და სხვა სახის მასალები. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ კლიმატურ ზოლში, ძირითადად რეინაბეტონისაგან იგება სამოქალაქო, სამრეწველო, საზოგადოებრივი, სატრანსპორტო, ჰიდროსაინჟინრო თუ სხვა დანიშნულების ობიექტები. ბეტონის გამყარებისათვის საჭირო გარკვეული დროის აუცილებლობიდან გამომდინარე, მშენებლობაში რეინაბეტონის გამოყენების დღიდან დგას მშენებლობის ვადების შემცირების საკითხი. ადრეულ წლებში აღნიშნული შედეგების მისაღწევად ფართოდ სარგებლობდნენ ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციებით, რომელთა დამზადება ქარხნული წესით ხორციელდებოდა, ხოლო აწყობა უშუალოდ სამშენებლო მოედანზე მიმდინარეობდა მოკლე ვადებში. განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ეს მეთოდი საბინაო მშენებლობაში. სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს მრავალ დიდ ქალაქში შესაძლებელი გახდა საბინაო პრობლემების გადაწყვეტა. არანაკლებ წარატებული გამოდგა ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება სხვა დანიშნულების ობიექტების რაც შეიძლება სწრაფად მშენებლობისათვის. მიუხედავად ასეთი შედეგებისა, მათი საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ ტიპიური, ერთნაირი არქიტექტურისა და იერ-სახის მქონე შნობა-ნაგებობების მშენებლობა, რაც დროთა განმავლობაში ძალიან მოსახტრებელი და გაუმართლებელი გახდა. ასეთი არასახარბიერო მდგომარეობა ყველაზე მეტად ყოფილ საჭიროა კავშირში და რა თქმა უნდა მათ შორის საქართველოში გამოიკვეთა. შედეგად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აბსოლუტურად ერთნაირი. მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული პროექტის და გაბარიტული ზომის მქონე ტიპიური საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბაზეო ბაღები, სავადმყოფოები, კლუბები, ფამრიკები, ქარხნები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები შენდებოდა. კონსტრუქციების შეზღუდული ზომები არ იძლეოდა ახალი არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

ასაწყობი კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, მონოლითური რეინაბეტონის გამოყენების დროს არანაირი შეზღუდვა არ არსებობს შენობა-ნაგებობების დაპროექტების პროცესში. იგი იძლევა მრავალფეროვანი, შემოქმედების თვალსაზრისით სრულიად თავისუფალი საპროექტო გადაწყვეტების მიღების საშუალებას. შესაბამისად, სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარების მიზნით სწრაფად ვითარდება მონოლითური მშენებლობისათვის საჭირო მანქანები და მექანიზმები, ამწე და გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებები, საყალიბები, ბეტონის მიმწოდებელი და ჩამწყობი მოწყობილობები. განვითარებულმა და ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა გაცილებით ადრე დაიწყეს მონოლითური მშენებლობის დანერგვა. საქართველოში მონოლითური რეინაბეტონის მასიმრივი გამოყენება ძირითადად მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან გახდა შესაძლებელი. ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტების თითქმის აბსოლუტური

უმრავლესობა მონოლიტურ რკინაბეტონში ხორციელდება. მათ ძირითად ნაწილს საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები და სავაჭრო ცენტრების შექნებლობა წარმოადგენს. ამ ობიექტებს შორის აუცილებელია ქვეწის ყველა კუთხეში რთული გუმბათ-თაღლოვანი გადახურვების მქონე მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრების შექნებლობის მასშტაბებიც აღნიშნოს. მათი ასეთი დიდი რაოდენობით აგება მონოლიტური რკინაბეტონის გარეშე თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. არსებული მონაცემების მიხედვით გასული საუკუნის ოთხმოცდაათანი წლების ბოლოს ქვეყანაში არსებული 350 ტაძრის ნაცვლად, უკანასკნელ 20 წელიწადში მათი რიცხვი 10-ჯერ მეტად გაიზარდა.

საქართველოში მონოლიტური შექნებლობის დანერგვის მცდელობა გასული საუკუნის ოთხმოცან წლებშიც იყო, როდესაც ამ მიზნით სპეციალიზირებული სამშენებლო სამართველო ჩამოყალიბდა და თბილისში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდა. საყალიბების ფორმების, სათანადო მანქანა-მექანიზმების უკონლობის გამო ასეთი ობიექტების შექნებლობა საკმაოდ ჭიანურდებოდა. ზოგიერთი მათგანი დღემდე დაუმთავრებელია და მათი შექნებლობის გაგრძელების არყოთარი პერსპექტივა არ არსებობს, რადგანაც ყველა ასეთი ობიექტები თვითნებურად შექრილი მოსახლეობის მიერ არის დაკავშული.

საქართველოში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ფუნდამენტალური ცვლილებების შედეგად მეოცე საუკუნის მიწურულს ყველანაირი შექნებლობა შეჩერდა. შექმნილი ვითარების გამო დაიშალა სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული ყველა სამშენებლო ორგანიზაცია, თითქმის მთლიანად შეწყვიტეს მუშაობა რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებმა, საშენ მასალათა მრეწველობის სხვა საწარმოებმა. ქვეწის ახლობელი მოწყობის პროცესის დაწყებასთან ერთად, თავისუფალი სამაზრი კეონომიკის პირობებში სამშენებლო საქმიანობის ხელსალი წამოწყებისათვის სათანადი ხელისშემწყობი პირობები იყო საჭირო. ამ პერიოდში ყველაზე მოთხოვნადი გახდა ბინათმშენებლობა. ამ ამისათვის კერძო სექტორმა, სავებით სამართლიანად არ დაიწყო მევლი სახლმშენებელი კომბინატების და რკინაბეტონის ქარხნების აღდგენა, მათი სიმძირისა და არარენტაბელობის გამო. ყველაზე მისაღები გამოდგა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მონოლიტური მშენებლობის დაწყება, რასაც შესაბამისად მსარი აუბა ამ სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელმა სხვა სფეროებმა. პირველ რიგში განახლდა ინერტული მასალების მოპოვება, რომლითაც მაღაინ მდიდარია საქართველო და მათი დიდი რაოდენობით დამუშავება დაიწყო განსაკუთრებით საავტომობილო გზების გაყვანის საჭიროებისათვის, რაც ყველაზე ადრე გახდა საჭირო.

მონოლიტური მშენებლობის დაწყებასთან ერთად საქართველოში შემოვიდა მსოფლიოში კარგად ცნობილი გერმანული კომპანია “ჰაიდელბერგცემენტი”, რომელმაც სრულფასოვნად აღადგინა რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნების მუშაობა, პარალელურად განახორციელა ბეტონის წარმოებისათვის საჭირო დიდი და

შრომები N1(2)

მცირე ზომის საწარმოების მშენებლობა. სხვადასხვა ქალაქებში განთავსდა სტაციონარული და გადასატანი ბეტონის მწარმოებელი კვანძები. მათ მიერ ასევე სწრაფად მოხდა ბეტონის გადასაზიდი და მიმწოდებელი თანამედროვე ტიპის მანქანა-მოწყობილობების შემოტანა, რამაც ძალიან დიდად დააჩქარა მონოლითური მშენებლობის ტემპები. საწყის ეტაპზე მონოლითური რკინაბეტონისათვის საჭირო არამატურის შემოტანა ძირითადად რუსეთიდან, უკრაინიდან და თურქეთიდან ხორციელდებოდა, შემდეგ წლებში საქართველოში მყარად დამკვიდრდნენ ლითონის მწარმოებელი ინდური კომპანიები, რომლებმაც რამდენიმე ქარხანა გახსნეს და მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ.რუსთავში არსებული “გეო სტალი”, რომელიც მაღალი ხარისხის არამატურას აწარმოებს და არსებული მოთხოვნილების თითქმის ნახევარს აკმაყოფილებს. აღნიშნული მსხვილი კომპანიების გვერდით აქტიურად არის ჩაბმული ცემენტის, ბეტონის და არამატურის მწარმოებელი მთელი რიგი ადგილობრივი კომპანიები. სულ უფრო მეტი კერძო ბიზნესის წარმომადგენელი არის დაინტერესებული თანამედროვე ბეტონგადამზიდველი, ბეტონჩამწყობი, ბეტონმიმწოდებელი მანქანების და მექანიზმების შემოტანით და რეალიზებით საქართველოს ბაზარზე. ეს ყველაფერი კი მონოლითური რკინაბეტონის გამოყენების ძალიან ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

მონოლითური მშენებლობის ვადების დაჩქარებაში და მათი ხარისხიანად განხორციელების საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყალიბების გამოყენებას. სამწუხაროდ ქვეყნის შეინით ჯერ არ არის დაწყებული ამ ტიპის პროდუქციის გამოშვება. ძირითადად მათი შემოტანა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ხდება. ყალიბების წარმოებამ უცხოეთში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეს საქმიანობა ცალკე დარგად ჩამოყალიბდა და ბევრ ქვეყანაში ყალიბების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო კომპანიებიც კი შეიქმნა. სულ უფრო იხვეწება ყალიბების სახეები. ძირითადი აქცენტები გაკეთებულია მათ შემსუბუქებაზე, ცვეთადობის შემცირებაზე და ადვილად მოწყობა-ტრანსპორტირებაზე. თანამედროვე პლასტრმასის და სხვა პოლიმერული მასალებისაგან დამზადებული ყალიბების ბრუნვადობა, რამდენჯერმე აღემატება ამჟამად გამოყენებაში გავრცელებულ ხის და ლითონის ყალიბებს. ცალკეული სამშენებლო კომპანიები აქტიურად იყენებენ ასეთ, საკმაოდ ძვირადღირებულ ყალიბებს, მაგრამ მათი დაუზიანებლად მრავალჯერ გამოყენების შედეგად ეს დანახარჯები დიდად არ აღემატება ჩვეულებრივი ყალიბების ღირებულებას და ამასთან დაბეტონების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ხშირად აღარ არის შელესვითი და სხვა მოპირკეთებითი სამუშაოების ჩატარება საჭირო. ბოლო წლებში საქართველოში ძალიან ფართო გავრცელება მოიპოვა უნივერსალურმა, წვრილფარებიანმა ხის ყალიბებმა, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა საჭირო დამხმარე მოწყობილობებით. მათი საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი სირთულის და ფორმის რკინაბეტონის კონსტრუქციების საყალიბების სისტემების შედგენა, როგორც სამრეწველო და სამოქალაქო, ასევე სატრანსპორტო,

ჰიდროსაინჟინრო და სხვა ტიპის ობიექტების აგების დროს. ადრე რთული კონფიგურაციის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დასაბეტონებლად ხშირად ქარხნული წესით მზადდებოდა ლითონის სპეციალური ყალიბები, რომელთა საპროექტო მდგომარეობაში დამონტაჟება, ხოლო შემდეგ დაშლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და მნიშვნელოვან დროს მოითხოვდა. თანამედროვე საყალიბები სისტემები ძალიან მარტივად იძლევიან მსგავსი ოპერაციების განხორციელების საშუალებას.

მონოლითური რკინაბეტონის შენებლობის განვითარებასთან ერთად ძალზე დიდი მნიშვნელობა ექცევა ამ სამუშაოების ჩატარებას რთული კლიმატური პირობების დროს. ბეტონმომწოდებელი კომპანიები სპეციალურ დანამატებს უკეთებენ ბეტონებს შესაბამისად ზაფხულის ძალიან ცხელ დღეებში ან ზამთრის ყინვების დროს. არსებული კონკურენციის პირობებში, ყველა საშენებლო კომპანიამ წარმატებით აითვისა, კლიმატური სირთულეების შესაბამისად ბეტონის ნარევის მიღების, ჩადებისა და მოვლის თანამედროვე მეთოდები. ყოველივე ეს საშუალებას იძლება წელიწადის ნებისმიერ დროს ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად უწყვეტად მიმდინარეობდეს საშენებლო პროცესები.

ბოლოს არ შეიძლება არ აღინშნოს, რომ საქართველოს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა მონოლითური შენებლობისათვის გამოყენებული იქნეს ადგილობრივ მსუბუქ შემავსებლებზე დამზადებული ბეტონები. ასეთი ბეტონები სიმსუბუქის გარდა გამოიიჩინებიან კარგი თბო და ბეგრასაიზოლაციო თვისებებით. საწლვარგარეთის ქვეყნებში ამ მიზნით დიდი ხანია იყენებენ ხელოვნურ მსუბუქ შემავსებლებს, რომლთა წარმოება სოლიდურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. საქართველო, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ძალიან მდიდარია ისეთი ბუნებრივი შემავსებლებით, რომლებიც თავისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ბევრად აღემატებიან ხელოვნურ შემავსებლებს. ამასთან რაც მთავარია, აღნიშნული შემავსებლებზე დამზადებული ბეტონები დიდი ხანია ყოველმხრივ კარდ არის შესწავლილი და რამდენიმე ათეული წილის წინ წარმატებით გამოიყენებოდა მშენებლობაში.

ლიტერატურა

1. ი.ქვარაია - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნოლოგია. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2005.
2. ი.ქვარაია. ეკონომიკური კრიზისი და მშენებლობა საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო”. თბილისი, 25 მარტი 2011.
3. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე. ბუნებრივი მსუბუქი შმავსებლების მოპოვების და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თვადაცვის აკადემიის შრომები N1. 2015.
4. ი.ქვარაია, თ.დვალიშვილი, შ.ყანჩაშვილი. დიდი დიამეტრის რკინაბეტონის გუმბათის, ასაწყობი საყალიბე სისტემის აგება და მონტაჟი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”. 3(38), თბილისი 2015.

მანანა მალაძე

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი
mmanana01109@yahoo.com

ლეიტენანტი გირგი ელიაშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საქართველოს კიბერბარომეტრი

რეზიუმე. „ინტერნეტს მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით“ დაახლოებით 3 მლრდ ადამიანზე მეტი მოიხმარს. დღეს თითქმის ყველა სხვა დარგებთან ერთად, სამთავრობო და სამხედრო ონფრასტრუქტურაც ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერული სისტემებით იმართება. ვირტუალურ სამყაროში გადმოიწავლა სოციალური არსებობის მნელმა მხარეები.

გაეროს საერთაშორისო სატელეკომიკაციო კავშირის მიერ ჩატარებული კვლების თანახმად, 2014 წელს ინტერნეტით სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 49%. 2014 წლიდან საქართველომ კიბერდანაშაულის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის წარმოება დაიწყო.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, კიბერდანაშაულის საქმაოდ დაბალი მაჩვენებელია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს წერა-კოსტების ცოდნის თითქმის 100%-იანი მაჩვენებლი აქვს. მხედველობაში თუ მივიღებთ ინტერნეტჩართულობის დომეს ქვეყანაში, რაც მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენს და ინტერნეტტექნოლოგიებზე დამკიდებულების ზრდის ტენდენციებს, სავსებით საკარაულოა, რომ მომავალში კიბერდანაშაულის მაჩვენებელი გაიზარდოს.

2008 წლის შემდეგ გადადგმული ნაბიჯები და მთავრობის ოფიციალურ პირებთან საუბრები, ქმნის მთაბეჭდილებას, რომ კიბერუსაფრთხოება პრიორიტეტული საკითხია საქართველოში.

Manana Magradze

Davit Agmashenebeli

National Defence Academy of Georgia

Professor

Lieutenant George Eliashvili

Davit Agmashenebeli

National Defence Academy of Georgia

Georgian cyber barometer

Abstract. According to the statistics internet is consumed by about 3 billion people. Nowadays government and military infrastructure as well as other branches operated with internet connected computer systems.

The dark sides of social existence also moved to the virtual world. According to the research conducted by the UN international telecommunication, in 2014 approximately 49% of Georgian population used Internet. Since 2014 the official statistics on cybercrime started in Georgia. The cybercrime rate for such a small country as Georgia is quite low. But we should consider the fact that the literacy rate has been almost 100%. Considering Internet involving figure in the country which is half of the population and growth tendency of internet addiction, it is quite likely that cybercrime rate will increase.

Since 2008 some measures and arrangements with the government officials, gives the impression that cyber security is a priority issue in Georgia.

ვერც ერთმა სხვა ტექნოლოგიურმა მიღწევამ ვერ შეძლო ისეთი გავლენის მოხდენა მსოფლიო საზოგადოებაზე, როგორც ბოლოს 20-25 წლის განმავლობაში ელექტრონულად დაპროგრამებული კომპიუტერისა და ფართოდ ხელმისაწვდომი ინტერნეტის ერთობლიობამ. ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიო მასშტაბით იზრდება. მაგალითად სულ 8 წლის წინ რუსეთ-საქართველოს კინეტიკური და კიბერომის შემდეგ, მსოფლიოში ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი გაიზარდა. „ინტერნეტს მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით“ დაახლოებით 3 მლრდ ადამიანზე მეტი მოხსმარს. მსოფლიო მოსახლეობის 45% დღეს ინტერნეტის მომხსმარებელია. 2006-დან 2012 წლამდე ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობა წამში 6.7 ტერაბაიტიდან 92.1 ტერაბაიტამდე გაიზარდა. ექსპერტების პროგნოზით 2018 წლისთვის გამტარუნარიანობა წამში 607 ტერაბაიტამდე, ხოლო 2020 წლისთვის წამში 1100 ტერაბაიტამდე გაიზრდება.

დღეს თითქმის ყველა სხვა დარგებთან ერთად, სამთავრობო და სამხედრო ინფრასტრუქტურაც ინტერნეტთან დაკავშირდული კომპიუტერული სისტემებით იმართება. ინტერნეტ ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის

დაცით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

ზრდას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ინფორმაციის მარტივად წვდომას და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეს უკვე შესაძლებელია ინფორამციისა და სერვისების ონლაინ მიწოდება, კრიზისების ონლაინ მართვა.

ინტერნეტი დღითიდელ იმენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის სწრაფი ზრდა მოწყვლადობის ახალ ასკექტებსაც აჩენს. დღეს კიბერსივრცის გამო ქვეყნებს ახალ მნიშვნელოვან საფრთხეებთან უწევთ მუშაობა. მას შემდეგ რაც ბევრი ჩვენგანის ცხოვრების დიდი ნაწილი კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მოიცავა, სულაც არ არის გასაკირი, რომ ვირტუალურ სამყაროში გადმოინაცვლა სიციალური არსებობის ზნელმა მხარემაც: ნარკოტიკებმა, აზარტულმა თამაშებმა, პროსტიტუციამ, პორნოგრაფიამ და სხვა. ქვემოთ მოცემულია დანაშაულის იმ ტიპების ჩამონათვალი, რომლებიც კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ხდება: ჰაკინგი, მავნე პროგრამების გავრცელება, DDOS შეტევა (distributed denial of service attacks), პირადი მონაცემების ქურდობა, თაღლითობა, ბავშვთა პორნოგრაფია, კიბერდევნა/დაშინება, კიბერგანდალიზმი, კიბერშპიონაჟი.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მომზადებული ანგარიში კიბერკრიმინალის უკეთ გასაგებად გვთავაზობს კიბერდაშაულის დიქტომისას, რომელიც შედგება კიბერდამოკიდებული დანაშაულისა და კიბერშესაძლებელი დანაშაულისგან. ამ ანგარიშში წარმოდგენილი განსაზღვრებით, კიბერდამოკიდებული დანაშაული არის იმ ტიპის დანაშაული რომლის ჩადენაც შესაძლებელია მსოლოდ კომპიუტერის კომპიუტერული ქსელების ან სხვა ინფორმაციული კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. ასეთ დანაშაულთა რიცხვშია ჰაკინგი - მავნე პროგრამების გავრცელება და DDOS შეტევები. კიბერდამოკიდებული დანაშაული იგივეა რაც გამიზნული კიბერდანშული.

კიბერშესაძლებელი დანაშაული, არის ტრადიციული სახის დანაშაული, რომლის მასშტაბი იზრდება კომპიუტერების, კომპიუტერების ქსელების ან სხვა ფორმების გამოყენებით. მაგალითად ქურდობა, თაღლითობა. შეიძლება ითქვას რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და მისი უფლებურობა ზრდის კიდევ ამ დანაშაულთა მოქმედების ძალასა და მასშტაბებს. კიბერშესაძლებელ დანაშაულს ამერიკული ტერმინოლოგიით ინსტრუმენტული კიბერდანშაული ჰქვია.

ბრიტანული დიქტომია იმის საშუალებას გვაძლევს, რომ უკეთ გავიგოთ კიბერდანაშაულის ბუნება. თუმცა წმინდა დიქტომიური მიდგომა ასევე ხაზს უსვამს იმ აღზათობას, რომ ჩანაწერთა შენახვის სისტემაში შეიძლება კიბერშესაძლებელი დანაშაულის აღრიცხვა არასათანადოდ მოხდეს, რაც შესაბამისად, კიბერდანაშაულის შემთხვევების არასაწორ სტატისტიკას მოვცემს. პრობლების მოსაგვარებლად ლონდონის პოლიციამ, ბრიტანეთის ეკონომიკური დანაშაულის წინაღმდეგ სამართალდამცავმა ორგანომ და თაღლითობის

წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული დაზვერვის ბიურომ შექმნეს ვებ-გვერდი Action Fraud (თაღლითობა). ეს ვებ-გვერდი „შეტყობინებას იღებს საზოგადოებისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისგან ისეთ დანაშაულთა შემთხვევების შესახებ რომლებიც კლასიფიცირდება შემდეგნაირად: თაღლითობა, კიბერთაღლითობა, კიბერდანაშაული. Action Fraud - აღრიცხულ შემთხვევებს, HOCR (Home office Counting Rules) საკანონმდებლო დეტულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად აფასებს. როდესაც შეტყობინება არ აღრიცხება მას აღრისხებს როგორც ინციდენტს. Action Fraud იძლევა კიბერდანაშაულის აღრიცხვიანობის ბევრად უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე შესაძლებელი იყო ტრადიციული შეტყობინებებისა და დაფიქსირების სისტემის საშუალებით.

ამერიკელების მიდგომა ოდნავ განსხვავდება ბრიტანულისგან. ის ეფუძნება კიბერდანაშაულის ტრიქოტომიულ მიდგომას, სადაც მესამე კატეგორიად დამატებულია კომპიუტერულ ინციდენტური (შემთხვევითი) კატეგორია. ასეთ შემთხვევებში კომპიუტერის გამოყენება შესაძლოა თავად დანაშაულისგან პერიფერიულად ხდებოდეს. მაგალითად, კომპუტერი შესაძლოა ინახავდეს ნარკოტიკული გამსაღებელის კლიენტთა სიას ან ის შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის ჩასადენად საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის. კომპიუტერული ტექნოლოგიების მოხმარების ზრდა იწვევს ინციდენტური გამოყენების მაჩვენებელის მატებას ლამის ნებისმიერი სახის დანაშაულში. ელექტრონული ვაჭრობის ზრდა 1.6 ტრილიონი დოლარიდან 2.5 ტრილიონ დოლარამდე კიდევ უფრო გაზრდის და მიმზიდველს გახდის ონლაინ დანაშაულს. მიუხედავად ყველაფრისა არიან ორგანიზაციები, რომლებიც დეილობენ სხვადასხვა მეთოდოლოგით რამენაირად დაიანგარიშონ კიბერდანაშაულით გამოწვეული უფლადი ზარალი. მაგალითად 2013 წლის ნორტონის ანგარიში (Norton Report) კიბერდანაშაულით მიღებული ზარალის წლიური ოდენობას 113 მილიარდ დოლარად აფასებს.

გეროს საერთაშორისო სატელეკომიკიაციო კავშირის მიერ ჩატარებული კვლების თანახმად, 2014 წელს ინტერნეტით სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 49%. ანგარიშის მიხედვით 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით ქვეყანაში არის დაახლოებით 100 ინტერნეტსერვის პროვაიდერი და 603000 აბონენტი. ამონენტების რიცხოვნობის მიხედვით საქართველოში 2 კომპანია ლიდერობს: „სილქეტი“ - 234542, „კავკასუს ონლაინი-156458. ანგარიშის თანახმად 2014 წელს აბონენტთა რაოდენობის მიხედვით ინტერნეტის მოხმარება, წინა წელთან შედარებით დაახლოებით 14.4%-ით გაიზარდა. კერძოდ, ოპტიკურ ბოჭკვანანი ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობამ 52.2% შეადგინა, DSL ტექნოლოგიისა - 34.9%, wifi - 11.5%, Wimax - 1.2%, სხვა დანარჩნი 0.2%.

რეგიონებში ინტერნეტკავშირის უფრო მაღალი დონის მისაღწევად ერთ-ერთი გზა შეიძლება მობილური ინტერნეტის განვითარება იყოს. 2014 წელს მობილური ინტერნეტის მოხმარებელთა რაოდენობა 1.88 მილიონი იყო. აქედან 43% -

„მაგთიკომის”, 34% - „ჯეოსელის” და 23% - „ბილაინის”. ამჟამდა მობილური ინტერნეტ ტექნოლოგიებია 2G, 3G, და 4G. 2015 წელს ამ კომპანიებმა ქართველ მომხარებლებს LTE (Long Term Evolution) - მეოთხე თაობის ინტენსიუტი შესთვაზეს.

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2015 წლის სექტემბრის კვლევის, „საზოგადოების განწყობა საქართველოში”, მიხედვით ტელევიზია მოსახლეობის 87%-სთვის ინფორმაციის პირველ წყაროდ რჩება. ინტერნეტი მიიჩნევა ინფორმაციის მიღების მეორე წყაროდ. ამ მხრივ სოციალური მედია ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით კი ფეისბუკი. რომელიც ყველზე პოპულარულია საქართველოში 1.22 მილიონი რეგისტრირებული მომხმარებლით.

ელექტრონული მმართველობა.

ელექტრონული მთავრობა საქართველოში განმარტებულია, როგორც „საჯარო ფუნქციების შესრულება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით”. საქართველოში სახელმწიფო ორგანოებმაც გაზარდეს ინტერნეტ ტექნოლოგიების მოხმარება. გაეროს 2014 წლის კვლევების მიხედვით, ელექტრონული განვითარების ინდექსით საქართველო 56-ე ადგილზეა. 2 წელიწადში ქვეყანა 16 პოზიციით დაწინურდა (2012 წელს 72 ადგილზე იყო). ელექტრონული განვითარების ინდექსი მოიცავს ხელმისაწვდომობის ისეთ მახასიათებლებს, როგორიც არის ინფრასტრუქტურა და განათლების დონე, რომლებიც ასახავს თუ როგორ იყენებს ქვეყანა საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რომ გაზარდოს მოსახლეობის ჩართულობა. ამასთანავე, ის აფასებს ქვეყანაში ტელეკომუნიკაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეს.

კიბერდანაშაული.

2014 წლიდან საქართველომ კიბერდანაშაულის შესახებ ოფიციალური სტატიისტიკის წარმოება დაიწყო. ამ მხრივ უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. 2013 წელს იყო 35 მმიმე დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს არაკავალიფიციურმა ჰაკერებმა (Script-Kiddies). ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს შსს-ის ტერიტორიული და სტუქტურული დანაყოფების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის - 284, 285, 286 მუხლებით რეგისტრირებული და გახსნილი კიბერდანაშაულის რაოდგინობას.

284-ე მუხლით ისჯება კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევა, 285-ე მუხლით დამაზიანებელი კომპიუტერული პროგრამის შექმნა ან გავრცელება, ხოლო 286-ე მუხლით ისჯება კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ან კომპიუტერული მონაცემების დაზიანება, წაშლა და მოდიფიცირება. 255 მუხლით ისჯება პორნოგრაფიული პროდუქციის უკანონოდ დამზადება ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის გამოსახულების შეცველი პორნოგრაფიული პროდუქციის შეძენა, ჩვენებაზე დასწრება შეთავაზება, გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება.

შსს-ის ტერიტორიული და სტრუქტურული დანაყოფების მიერ სსკ-ის 284-ე, 285-ე, 286-ე მუხლებით რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაული

პერიოდი	284-ე, 286-ე მუხლები	284-ე მუხლი	285-ე მუხლი	286-ე მუხლი
	რეგისტრირებული გახსნილი	რეგისტრირებული გამოყენება	რეგისტრირებული გამოყენება	რეგისტრირებული გამოყენება
2014 წელი	163	69	144	62
2015 წლის (I ნახევარი)	79	22	70	22

2014 წელს სულ რეგისტრირებულია 9 ასეთი დანაშაული და გახსნილია მხოლოდ 2. თუმცა ეს სტატისტიკა არ ასახავს 255.1 მუხლით ჩადენილი დანაშაულს, რომელიც ითვალისწინებს არასარულწლოვანნის ჩაბმას პორნოგრაფიულ ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა პროდუქციის უკანონდ დამზადებასა და გასაღებაში. ეს სტატისტიკა ასევე არ ასახავს შემდეგი მუხლებით ჩადენილ დანაშაულს: 180-ე მუხლი, რომელიც არის თაღლითობა, ანუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუების გზით. 189-ე მუხლი, რომელიც არის საავტორო უფლებისა და რამე მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამზადებლის უფლების ხელყოფა. 210-ე მუხლი, ყალბი საკრედიტო ან საანაგრიშებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება. 324.1 მუხლით ჩადენილი დანაშაული, რომელიც ეხება კიბერტერორიზმს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია კომპიუტერულ სისტემაში უწებართვო შეღწევა და იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. თუ ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი ან თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან ამგვარი ქმედებისათვის ნასამართლევი პირისმიერ, იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სუთ წლამდე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324.1 მუხლის თანახმად, დანაშაულია აგრეთვე კიბერტერორიზმი, ეს იგი კანონით დაცული კომპიუტერული

ინფორმაციის მართლ საწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. ეს დანაშაულს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე. თუ იგივე ქმედება გამოიწვევს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლის სამართლრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ასევე იურიდიული პირისათვის და იგი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

კიბერქურდობა.

აღნიშნული სახეზეა, როდესაც საავტორო უფლების დარღვევით ხდება ინტერნეტიდან სხვადასხვა ინფორმაციის გადმოწერა. უმეტეს შემთხვევაში ვებ-გვერდები თავად სთავაზობენ მომხმარებელს პირატულ მასალას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კომპიუტერის საშუალებით საავტორო უფლების დარღვევის სპეციალური მუხლი არ არის გათვალისწინებული. ასეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირის ქმედება კვალიფიცირდება ორი მუხლით: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა) და 189-ე (საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამატებილის უფლების ხელყოფა) მუხლებით. ეს უკანასკნელი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეწლუდვით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების შეწლუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, წარღა, შეცვლა ან დაფარვა და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. თუ ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი ან თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან ამგვარი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ბავშვთა დაყოლება.

დამაშავეები მოცემულ შემთხვევაში "ჩატის" და პირადი მიმოწერის საფუძველზე ცდილობენ ბავშვები დაითანხმონ საბავშვო პორნოგრაფიაზე ან სხვა დანაშაულებრივ/ამორალურ საქციელზე. საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსი პირადი მიმოწერის/ჩატის გამოყენებით არასრულწლოვნის პორნოგრაფიაზე დათანხმების სპეციალურ მუხლს არ ითვალისწინებს. ასეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირის ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255.1 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს მთავარი პროკურატურა ანალიტიკური სამართველო პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში არასრულწლოვნის ჩაბმისათვის. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

კიბერდანაშაულები



შსს-ის მიერ მოწოდებული მონაცემები სრულად ვერ ასახავს არსებულ მდგომარეობას, რაც შესაძლოა 4 ფაქტორით იყოს განპირობებული.

1. კიბერდანაშაულის ცნობიერების დაბალი დონე როგორც მოსახლეობაში ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებში.
2. შესაძლოა ზოგიერთი ბანკი, რეპუტაციის არ შეღახვის მიზნით, ფარავდეს კიდეც დანაკარგებს, და არ ამხელდეს მომხდარ დანაშაულს.
3. კიბერდამოკიდებული დანაშაულის განსაზღვრისას მარტივია მისი გარჩევა.

4. მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანიებს კანონით მოეთხოვებათ, დანაშაულის შესახებ აღნობონ სამართალდა მცავებს, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც შეამოწმებს, დაუმალეს თუ არა კიბერდანაშაული შესაბამის ორგანოებს.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები კარგად ასახავს კიბერდანაშაულის მახასიათებლებსა და ტიპებს საქართველოში.

• ზიანის მომტანი პროგრამები. მავნე პროგრამების გამოყენებით თავდაცსმსხმელებმა საფრთხე შეუქმნეს ინფორმაციის ერთიანობასა და ხელმისაწვდომობოს ქართულ ნიუსპორტალებზე (droni.ge, pressa.ge, news.ge)

• აზარტულ ონლაინ თამაშებზე ჰაკინგი. დამამაცემ შეაღწია „აჭარაბეთის“ ვებგვერდის თერთმეტი მომხმარებლის პირად ანგარიშზე და იქ არსებული თანხა დაახლოებით 3900 ლარი, საკუთარ ანგარიშზე გადაირიცხა. მეორე შემთხვევაში „დაჰაკეს: „ევროპაბეთის“ საიტი და მოხსნეს 3300 ლარი.

• კიბერული გამოყენება. ჰაკერებმა დატოვეს ანიმაციური გამოსახულება და შტყობინება სახელმწიფო მინისტრის აპრატის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომ საიტის გატეხვა მარტივად ხელმისაწვდომი იყო მათთვის.

• ჰაკინგი ფეიბოქსის გამოყენებით. ჰაკერმა შეაღწია „ნოვატექნოლოგიის“ კომპიუტერულ სისტემაში და მიითვისა ნახევარ მილიონზე მეტი ლარი.

• საკრედიტო ბარათის კლონირება. ორმა ქართველმა და ქვესნა უკრაინელმა კიბერდანაშაულ უკანონ გზით დიდი ბრიტანეთის სხვდასხვა ბანკის მომხმარებლის ანგარიშებიდან 170000 ფუნტი სტერლინგის ოდენობის თანხა მოსხნა და 45 მომხმარებლის ანგარიშზე გადარიცხა.

• ბავშვთა ბორნოგრაფია. ინტერპოლმა მიაწოდა კიბერდანაშულის ბრძოლის სამართველოს ინფორმაცია ქართულ სერვერზე მოზარდის ექსპლოატაციის ამსახველი გამოსახულები გაყიდვის შესახებ. დამამაცე აღმოჩნდა ბავშვის დედა.

• თაღლითობა ეწ სიმბოქსების გამოყენებით. დამამაცებმა ავტორიზაციის გარეშე დამონტაჟეს ინტერნეტსიგნალის მიმღები სპეციალური მოწყობილობა. ეწ სიმბოქსი, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთიდან განხორციელებული სატელეფონო ზარი, ინტერნეტ ტრაფიკის გამოყენებით გარდაიქმნებოდა ლოკალურ ზარად და როგორც ქვეყნის შიგნით განხორციელებული ზარი, ისე მიეწოდებოდა საქართველოში მოქმედ კავშირგაბმულობას და კომპანიების აბონენტებს. კომპანიების ზარალმა 95000 ლარი შეადგინა.

ისეთი ჰატარა ქვეყნისოფლისაც კი როგორიც საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ კიბერშემთხვევების შესახებ ინფორმაცია არასრულია, კიბერდანაშაულის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. გასათვალისწინებელია 3 ფაქტორი:

1. საქართველოშო ჩადენელი შემთხვევების უმრავლესობა არ არის შემოქმედებითი.
2. ისინი არ არიან ტექნოლოგიურად დახვეწილი.

3. ისინი არ შეიცავენ ძალიან მაღალ ფინანსურ რისკებს. ზედა ზღვარი შეადგენს დაახლოებით 620000-ს, დანაშაულთა უმტკილობა რამდენიმე ათას ლარს მოიცავს.


საქართველოს წერა-კითხვის ცოდნის თითქმის 100%-იანი მაჩვენებლი აქვს. აյდიდ შესაძლებლობებს ნორმალური დასაქმების და ანაზღაურების დაბალი მოლოდინი ახლავს. მხედველობაში თუ მივიღებთ ინტერნეტ ჩართულობის მაჩვენებელს ქვეყანაში, რაც მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენს და ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ზრდის ტენდენციებს, სავსებით სავარაუდოა, რომ კიბერდანაშაულის მაჩვენებელი გაიზარდოს.

სეკურიტიზაცია და როგორ უყურებს საქართველო კიბერდანაშაულს კიბერშპიონაჟს და კიბერომს? სეკურიტიზაციის კონცეფცია განსაზღვრავს იმას თუ რა ხარისხით აღიქვამს ქვეყანა არსებულ საფრთხეებს. სეკურიტიზაცია არის პროცესი, როდესაც საფრთხე აღიქმება არა მხოლოდ იურიდიული ან ტექნიკური მნიშვნელობით არამედ როგორც ეგზისტენციალური საფრთხე. მაგალითად აშშ-მთავის დროზე მოახდინა საბჭოთა ბირთვული იარაღის საფრთხის სეკურიტიზაცია. ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ-ტერორიზმის საფრთხის სეკურიტიზაცია.

მიუხედავად საქართველოს 2008 წლის გამოცდილებისა და მიუხედავად იმისა, რომ კიბერსაფრთხეები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ აღიქმება, საქართველომ დღემდე ვერ შეძლო კიბერსაფრთხის ამ ხარისხში აყვანა. მაგალითად ესტონეთის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუტომო კიბერუსაფრთხოებას. მეტიც, ჩამოაყალიბა კიბერთავდაცვის ლიგა. 2008 წლიდან მოყოლებული საქართველომ მრავალი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების მაღლიან ბევრი კომპიუტერული სისტემა მუშაობს არალიცენზირებული და მეცობრული პროგრამებით. 2014 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასა და Microsoft-s შორის, რაც ითვალისწინებდა ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების დანერგვას. ამ საკითხის მოუგვარებლობა ფინანსური რესურსების ნაკლებობით აიხსნება.

და ბოლოს, თუკი მხედველობაში მივიღებთ 2008 წლის შემდეგ გადადგმულ ნაბიჯებს და მთავრობის ოფიციალურ პირებთან საუბრებს, იქმნება შთაბეჭდილება რომ კიბერუსაფრთხოება პრიორიტეტული საკითხია საქართველოში, თუმცა სამთავრობო სტრუქტურებში კიბერუსაფრთხოებაზე მომუშავე ვიწრო წრის მიღმა საკმარისად არ ესმით ეს პრობლემატიკა და აქედან გამომდინარე არ არის საკმარისი დაფინანსება უფრო მასშტაბური კიბერპრობლემის მოსაგვარებლად.

ქვემოთ მოცემულ სქემაში შერჩეულია მხოლოს ის სამინისტროები და ქვეუწყებებიც, რომლებიც ჩართულია ქვეყნის ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში.



კრიტიკული ინფრასტრუქტურა:

- მაგთიკომი. ემსახურება მობილური ტელეფონის 1.7 მილიონ მომხმარებელს და მობილური ინტერნეტის 700 000 აბონენტს, ამავდროულად სატელიტური სამაუწყებლო სისტემის მომხმარებლებს. ორგანიზაცია ასევე ემსახურება 64 იუსტიციის სახლს საქართველოს მასშტაბით.
- თიბისი ბანკი. არის სრული სერვისის კომერციული ბანკი რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სააქციო საზოგადოება. ბანკი ემსახურება 700 000 კლიენტს. ასევე ბიზნესცენტრები აქვს აზერბაიჯანსა და ისრაელში.
- APM ტერმინალი. ფუნქციონირებს ფოთის პორტში. კომპანიის სათავო ოფისი არის ჰავაში, თუმცა მისი მფლობელია დანიური კომპანია Danish Maersk. APM ამუშავებს 64 ტერმინალს 39 ქვეყანაში. ფოთის პორტი იღებს არამარტო კონტეინერებს, არამედ გენერალურ ტვირთებს და გადმოტვირთავს 15 ნავსადგომზე 2900 მეტრის სიგრძის ნავსადგომში.

თითოეული ორგანიზაცია მზადაა ითანამაშრომლოს საქართველოს მთავრობასთან. მათი მოტივაცია კიბერუსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, მომდინარეობს მათი ბიზნეს ინტერესებიდან, რაც განაპირობებს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სამივე შემთხვევაში კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მათი ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი არიან.

დასკვნა

2008 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ საქართველო აქტიურად ჩაერთო კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბევრად უსაფრთხო კიბერგარემოს შესაქმნელად, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა ამ საკითხის სეკურიტიზაცია. პრობლემასთან ბროლია მოითხოვს თანმიმდევრული და მიზანმიმართული კიბერპოლიტიკის გატერებას, რომელიც საკითხს მნიშვნელოვან სახელმწიფო დონეზე აიყვანს და პრიორიტეტულად აქცევს. საქართველო ცდილობს არ ჩამორჩის თავის ევროპელ პარტნიორებს და შექმნას ბევრად უსაფრთხო კიბერგარემო. დღესათვის საქართველოსთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც სულ უფრო იზრდება კიბერსაფრთხეების როგორც მოცულება, ისე ხარისხობრივი მაჩვენებელი, მათ შორის იზრდება კიბერდანაშაული მობილურ მოწყობილობებზეც.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
2. მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2014 წლის ანგარიში.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება თავდაცვის სფეროში კრიტიკული ინფორმაციული სისსტემის წუსხის დამტკიცების შესახებ.
4. საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.
5. საქართველოს მთავარი პროკურატურა ანალიტიკური სამმართველო.

მაიორი ვასილ სისაური
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
vasil.sisauri@gmail.com

**საქართველოს სამხედრო მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა
შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის
გაზრდისათვის**

რეზიუმე. დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს სამხედრო მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდისათვის. როდესაც ერთი ქვეყანა არის რამდენიმე კონკრეტული პროდუქციისა თუ მისი მოდიფიკაციის მწარმოებელ-მომწოდებელი, ეს იწვევს არამარტოებლი ქვეყნის დამოკიდებულებას მწარმოებელი ქვეყნის პროდუქციაზე. ალტერნატიული მიწოდების არარსებობა, ძალიან მოუქნელს ხდის ქვეყნის მდგომარეობას, როგორც ფინანსურად, ასევე საიმედოობის თვალსაზრისით.

სამხედრო წარმოებაში გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვება, ხელს უწყობს ქვეყნის შეიარაღებულ ძალების განვითარებას, მისი ეფექტურობის ამაღლებას და რეგიონში კუთნომიკურ და ენერგო უსაფრთხოების სტაბილურობას.

ქვეყანა, რომელსაც ძლიერი სამხედრო მრეწველობა აქვს ანგარიშგასწვევი სხვა ქვეყნების მიერ. სახელმწიფოსათვის, საკუთარი სამხედრო მრეწველობის არსებობა ქვეყანას აძლიერებს, როგორც ფინანსურად ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით.

Major Vasil Sisauri
Davit Agmashenebeli,
National Defence Academy of Georgia

**Importance of Military Industry Development of Georgia to Improve
Capabilities and Effectiveness for the Armed Forces**

Abstract. Today, as never, development of military industry of republic of Georgia is important to increase capabilities and effectiveness of the Georgian Armed Forces. When one state is producer-supplier of production, it causes other countries to depend on it. Not existence of alternate supply sources makes unflexible situation of the state, its finances and reliability.

Achievement of some sort of independence in military industry, helps to the state to progress and development of the Georgian Armed Forces, increase of its effectiveness and creates economical and energetical stability throughout the region.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

The state which holds a strong military industry must be carefully considered by other states and nations. For this kind of state, having own military industry brings financial strength and creates secure environment in the region.

სახელმწიფოსთვის, საკუთარი სამხედრო მწერების განვითარების აუცილებლობა და მისი მნიშვნელობის კვლევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. საქართველოსთვის ამ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია, ისტორიის მანძილზე მიმდინარე პროცესების ანალიზი, რომელთაგან ყველაზე უახლესია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის სამხედრო კონფლიქტი. ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარება აუცილებელია. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ბევრი მიზეზი, რამაც ჩვენი ქვეყნის მარცხი განაპირობა განვითილოთ ამ მიზეზთა ტექნიკური ასპექტებზე. სამხედრო შეიარაღება, როგორც ტექნიკური ასპექტის შემადგენელი ნაწილი, საბრძოლო ფუნქციების მიხედვით, სუსტ რგოლს წარმოადგენდა. ამის ნათელი მაგალითია საპარო და სანაპირო თავდაცვის საშუალებები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტებს თუ რა მიმართულებებიდან განხორციელდა საქართველოზე თავდასხმები, რა თანმიმდევრობით ხორციელდებოდა საპარო დარტყმები და იერიშები, შესაძლებელია ვაღიაროთ საპარო და სანაპირო თავდაცვის მნიშვნელობა საქართველოს უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. საქართველოს, ამ დროისთვის, გააჩნდა საპარო თავდაცვის სხვადასხვა სისტემები, რომლებიც, ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, არასრულად და არაეფექტურად იქნა გამოყენებული. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საპარო თავდაცვის საშუალებებმა მოახერხა და მოწინააღმდეგის 17-მდე სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატის ჩამოგდება შეძლო. საქართველოს ხელთარსებული საპარო თავდაცვის სისტემები მხოლოდ და მხოლოდ იძლეოდა საზღვრის გადაკვეთისა და მარშუტების დადგენის შესაძლებლობას, რომელიც თბილისის მიმდებარედ შდგარი რადიოლოგიაციური სადგურის საშუალებით ხორციელდებოდა. “რუსეთის თვითმფრინავებმა ხუთი დღის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით 400 ზე მეტი საპარო იერიში მიიტანეს 36 სამიზნებზე, ხოლო მარცო 9 აგვისტოს 120 გაფრენა განხორციელდა” [1]. აღნიშნული მონაცემები ცალსახად ცხადყოფს რუსეთის საპარო ძალების აშკარა და უალტერნატივო უპირატესობას. რაც შეეხება საზღვაო სანაპირო ზოლს, საქართველოს საზღვაო საზღვარი 315 კილომეტრია. ასეთი სასაზღვრო ზოლის არსებობის პირობებში, როგორც იმ დროისათვის, ასევე დღესაც, საქართველოს საერთოდ არ გააჩნდა არანაირი საშუალება ზღვის მხრიდან მომდინარე საფრთხეების ასაცილებლად. ომის განმავლობაში რუსეთის საზღვაო და სადესანტო ძალებს ჰქონდათ თავისუფალი მანევრირების და ნებისმიერი სამხედრო

ძალის სანაპიროზე გადმოსხმის შესაძლებლობა, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად, დამატებით უპირატესობას ანიჭებდა ჩვენს მოწინააღმდეგეს.

როგორც ირკვევა, საქართველოს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში არსებული საპარო თავდაცვის საშუალებები არაეფექტური აღმოჩნდა მოწინააღმდეგის საპარო ძალებთან ბრძოლისთვის. მიუხედავად იმისა რომ ქართულმა მხარემ 17-მდე საფრენი აპარატის ჩამოგდება განახორციელა, მოწინააღმდეგის საპარო ძალების ჰეგემონია ჩვენს საპარო სივრცეში არ შეზღუდულა. ის დანაკარგი, რომელიც რუსეთის სამხედრო საპარო ძალებმა განიცადა, მეტწილად განპირობებული იყო ბრძოლის ველის წინასწარი სადაზუერვო მომზადების არ ქონით. დროის სიმცირის გამო რუსებმა ვერ განახორციელეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ჰეგემონია და სისტემების მდებარეობის დადგენა, რაც საპარო იერიშების განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ამის შედეგად რუსეთის სამხედრო საპარო ძალების მიერ ოპერაციები განხორციელდა ისეთ რაიონში, სადაც არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდათ მოსალოდნელ ჰეგემონია და სამხედრო საფრთხეების შესახებ. აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველო არ ფლობდა ქვეყნის თავდაცვისათვის აუცილებელ საპარო და სანაპირო თავდაცვის სისტემებს. ამ სისტემების არქონამ დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი მოახდინა სამხედრო ძალებზე და ზოგადად ომის საბოლოო შედეგზე. მოწინააღმდეგის პირველივე საპარო იერიშისას დაიღუპა და დაიჭრა ბატალიონის და ასეულის დონის ქვედანაყოფების მეთაურები. ამ მოვლენებმა ყველაფერთან ერთად ჯარისკაცთა დემორალიზება გამოიწვია და საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსეთის წინააღმდეგ იმში დამარცხდა.

ეროვნული სამხედრო მრეწველობის არსებობის აუცილებლობისთვის, გარდა აღნიშნულისა, საინტერესოა სხვა ქვეყნის მაგალითი. დღისათვის ისრაელი არის ისეთი ქვეყანა, რომელიც საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებით იქცა თავისი შეიარაღებული ძალების განვითარების, რეგიონში სიმღირისა და უსაფრთხოების გარანტად. ამ ქვეყნის მაგალითზე საინტერესო მისი სამხედრო ინდუსტრიის მდგომარეობა დამოუკიდებლობამდე, დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში და მისი მოპოვების შემდეგ, რათა მკაფიოდ გამოვააშკარაოთ სამხედრო ინდუსტრიის როლი იმ შედეგების მისაღწევად, რომელსაც ისრაელმა ამ დრომდე მიაღწია.

ისრაელი დამოუკიდებლობას მოპოვებამდე (1918 წლიდან 1947 წლამდე), ტერიტორიაზე, სადაც დღეს ისრაელის სახელმწიფო მდებარეობს, დაახლოებით 10% ებრაელი ცხოვრობდა და ეს რიცხვი 1947 წლამდე 1/3-ით გაიზარდა, ანუ ტერიტორიაზე განხორციელდა ებრაელი ხალხის მასიური მიგრაცია. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ებრაელ ხალხს არ გააჩნდა რაიმე ტიპის ძლიერი შეიარაღება, თუმცა ისრაელმა მაინც მოახერხა და დაიწყო მცირე ზომის შეიარაღების წარმოება, რამაც მომავალში სამხედრო მრეწველობის განვითარებას შეუწყო ხელი. ელიგარ სადაცი

თავის ნაშრომში „მილიტარიზაცია და სახელმწიფო ძალა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში“ კონკრეტულად ამბობს, რომ მცირე კალიბრის იარაღის წარმოებამ ისრაელს მიერა მაღალი დონის ავტონომია საკუთარი ქვეყნის შიგნით, რითაც არ იყო დამოკიდებული გარე ბაზარზე. ამ ყველაფერმა კი, თავის მხრივ, ისრაელის სამხედრო ინდუსტრია განავითარა [2]. როდესაც ისრაელმა 1948 წლის მაისში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მათ ამ დროისთვის არცერთი ტანკი და საარტილერიო დანადგარი არ გააჩნდათ. მათ იმ დროისთვის ჰყავდათ მხოლოდ ცხრა ერთეული, მოძველებული თვითმფრინავი [3]. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ისრაელმა დაიწყო სამხედრო ტექნიკის შესყიდვა და ამასთანავე საკუთარი მრეწველობის განვითარება. აღსანიშნვია ისც, რომ ებრაელებმა 1970 წელს შეიმუშავეს ქვეყნის ახალი კონსომიკური მოწყობის მოდელი, რომელსაც უნდა ეპასუხა სახელმწიფო უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევებისთვის, ხოლო დამოუკიდებლობისათვის ომის პროცესში, კონსომიკა სახელმწიფოს სუვერენული არსებობისთვის მრმოლას დაუჭირებარა.

გარდა ისტორიული მაგალითებისა, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა განხილვაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია. სამხედრო პროდუქცია, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გააჩნია, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარე ბაზარზე. რა თქმა უნდა სამხედრო პროდუქციის იმპორტი კარგია და იმპორტიორს საშუალება აქვს აირჩიოს საუკეთესო პროდუქცია, მაგრამ ამ ყველაფერს უამრავი უარყოფითი მხარე გააჩნია. ეს უარყოფითი მხარეები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე. უარყოფით მხარეებში შეიძლება განვიხილოთ პროდუქციის მაღალი ღირებულება, ექსპორტიორ ქვეყანაზე დამოკიდებულება სათადარიგო ნაწილების მოწოდების მხრივ, საკუთარი ქვედანაყოფების მომზადება-გადამზადება ახალი აღჭურვილობის-ტექნიკის-პროდუქციის ასათვისებლად, ტაქტიკისა და დოქტრინების მისადაგება ტექნოლოგიებზე და არა პირიქით, პროდუქციის მოწოდებელი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის არასტაბილურობა, ან მისი ჩაბმა საკუთარი ქვეყნის შიდა კონფლიქტში. ჩამოთვლილ უარყოფით მხარეთაგან თითოეულის განხილვა შესაძლებელი. პროდუქციის მაღალი ღირებულების მაგალითთან მიმართებაში, განვიხილავ ამერიკული წარმოების Patriot(MIM-104) საპარავო თავდაცვის სისტემებს, რომელიც დღეისათვის იყენებს PAC-3 ტიპის თანამედროვე რაკეტებს [4]. ამ რაკეტების ღირებულება დაახლოებით 3-4 მილიონამდე ამერიკული დოლარს შეადგენს. აგრეთვე, ფრანგული საპარავო თავდაცვის სისტემების მაგალითის მიხედვით ქართულმა მხარემ, კომპანია ThalesRaytheon-ის მიერ წარმოებული მიწა-ჰაერი ტიპის საპარავო თავდაცვის ერთი ბატარეიის (ასეულის) აღჭურვა-დაკომპლექტებისთვის გადაიხადა 109,512,305 ეროვნულული რაკეტები ქართული ცის დასაცავად [5]. ეს ყოველივე კი ხდება მაშინ,

შრომები N1(2)

როცა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის წლიური ბიუჯეტი 640 მილიონ ლარს შეადგენს, რაც ამერიკულ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 267 მილიონს შეადგენს.

დღეისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალები ფლობს სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებულ ტექნოლოგიებს, რის შეკეთებაც პროვაიდერი ქვეყნებიდან სპეციალისტების მოწვევას საჭიროებს. უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა კი თავის მხრივ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას სათადარიგო ნაწილებზეც. როდესაც ერთი ქვეყანა არის რაიმე კონკრეტული პროდუქციისა თუ მოდიფიკაციის მწარმოებელ-მომწოდებელი, ეს იწვევს მის მიერ წარმოებულ სათადარიგო ნაწილებზე დამოკიდებულებას. ალტერნატიული მიწოდების არარსებობა, ძალან მოუქნელს ხდის ქვეყნის მდგომარეობას, როგორც ფინანსურად, ასევე საიმედოობის თვალსაზრისით. არსებობს გამონაკლისები მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებში, რომლის წარმოების რესურსიც სულ რამდენიმე ქვეყანას აქვს მსოფლიოში. ასეთ მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას, თავისი წარმოების მასშტაბებითა და სირთულით წარმოადგენს ატომური შეიარაღება. პროვაიდერზე დამოკიდებულება იმპორტიორ ქვეყანას წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. პროდუქციის მიმღები იძულებულია მიიღოს პროდუქცია, რომელსაც სთავაზობენ. ამ ყველაფერთან ერთად, ასევე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ტექნოლოგიების თავისებადობა მათ ტაქტიკურ გამოყენებასთან. სამხედრო დოქტრინები, რომლებიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებობს, საომარ მოქმედებებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული. დოქტრინები განსაზღვრავნ სახელმწიფო პოლიტიკას სამხედრო სფეროში. ეს დოკუმენტები თავის ჩარჩოებში აქცევენ ქვედანაყოფების ტაქტიკურ მანევრებსა და მოქმედებების ხასიათს. ახალი ტექნოლოგიები მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და ამ ცოდნის რელევანტურად გამოყენებას. ტექნოლოგიებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, საჭირო და ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ტაქტიკისა და მოქმედებათა ხასიათის შეცვლა. სამხედრო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების იმპლემენტაციისა და მათი ეფექტურად განხორციელების თვალსაზრისით, აუცილებელია არსებული ტექნოლოგიების ქვეყნის რელიეფთან და სხვა გარემო პირობებთან მისადაგება. ამ ტიპის ტექნოლოგიების მიღება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოს თავად შესწევს უნარი მის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე შექმნას და აწარმოოს ის. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმპორტიორი ქვეყანა იძულებულია შეიძინოს ისეთი ტექნოლოგია, რომელიც ნაწილობრივ პასუხობს ზემოთ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. ასევე მინიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის ცვალებადობა და არასტაბილურობა. არასტაბილურობა შემთხვევებელი ფაქტორია და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია. არასტაბილურობის მაგალითად გამოდგება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის

დაწყებამდე, ისრაელ-რუსეთს შორის განხორციელებული ფარული მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც ისრაელმა რუსეთს გადასცა საქართველოსთვის მიწოდებული საფრენი აპარატების მართვის კოდები. კოდების სანაცვლოდ ისრაელმა რუსეთისან მიიღო ირანისთვის მიწოდებული TOP-MI ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მართვის კოდები [6]. ამ მაგალითის ანალოგიურია უკრაინა საქართველოს ურთიერთობები. უკრაინა წლების განმავლობაში სხვადასხვა ტიპის შეიარაღებას აწვდიდა საქართველოს. რადგან უკრაინა ამჟამად ჩართულია რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში, საქართველოზე შეიარაღების მოწოდების პროცესი მთლიანად შეფერხებულია [7].

ზემოთ მოყვანილი მაგალითებია მაგალითები იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც საქართველოს გააჩნია. ეს კი, ქვეყნის მიერ საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებისკენ აღებული კურსის მნიშვნელობის განსაკუთრებულობას განაპირობებს.

საინტერესოა სამხედრო მრეწველობის განვითარების დადებითი ასპექტები, მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა და ის პოტენციალი, რომელიც საქართველოს ამ დროისთვის გააჩნია.

საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებისთვის აუცილებელია რამდენიმე კომპონენტი, რომელთაგანაც გამოყოფე სამეცნიერო ლაბორატორიებს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. საქართველოს მთავრობამ განახორციელა პროექტი, რომლის მიხდვითაც 2010 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (სსსტც „დელტა“). აღნიშნულ ცენტრს ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტი და თბილისის საავიაციო ქარხანა დაეჭვებარა. ორგანიზაცია ძირითადად ორიენტირებულია თავდაცვითი პროდუქციის მრეწველობაზე და გარკვეულწილად, სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე [8]. დღეისათვის ცენტრმა მოახერხა და უკვე რამდენიმე სფეროში სხვადასხვა ტიპის სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე. მათ შორის არის ჯავშანტექნიკა, საარტილერიო საშუალებები, როგორც ზალკური ცეცხლის წარმოების, ასევე სხვადასხვა მოდიფიკაციის ნაღმდებულობები, ინდივიდუალური შეიარაღება, საავიაციო საშუალებები, სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მასალები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სხვადასხვა ტიპის მოდერნიზაციის პროგრამები, აგრეთვე საპოლიციო და სხვა პროდუქტები. არსებობის მანძილზე „დელტამ“ განახორციელა რამდენიმე წარმატებული პროექტი, მათ შორის სამედიცინო საევაკუაციო შეჯავშნული მანქანა, რომელმაც საუდის არაბეთში ტესტირება წარმატებით დაასრულა. ტესტირების დროს „დელტა“-ს მიერ შექმნილი შეჯავშნული სამედიცინო საევაკუაციო მანქანა კონკურენციას უწევდა რამდენიმე ქვეყნის მიერ წარმოებულ, მსგავსი ტიპის პროდუქციას. საბოლოოდ, აღნიშნული ტესტირების წარმატებით გავლის საფუძველზე, საუდის არაბეთმა ქართულ კომპანიასთან გააფორმა 100 მილიონი

შრომები N1(2)

ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც კომპანია „დელტა“ საერთო ჯამში 100 ერთეულამდე შეჯავშნული სამედიცინო ევაკუაციის მანქანის მიწოდებას კისრულობს [9]. მას შემდეგ რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთმა ჩამოაგდო ორი ებრაული წარმოების უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატი, კომპანია „დელტამ“ შექმნა საკუთარი წარმოების უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატი, რომელიც თავისი კლასით არ ჩამოუვარდება მის უცხოურ ანალოგებს [10]. 2015 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ გამოფენაზე, კომპანია „დელტამ“ წარმოადგინა მრავალფუნქციური უპილოტო ვერტმტფრენი, რომელსაც შეუძლია საზღვრის კონტროლი რადიოლოგიკური, ოპტიკური და ინფრაწითელი სენსორების საშუალებით, დაზვერვა, ელექტრომაგნიტური სიგნალების რეტლანსლირება, მაღალი ხარისხის ფოტო და ვიდეო გადაღებები [11].

ამ რამდენიმე პროდუქტის დახასიათებითა და შესაძლებლობების აღწერით, აშკარად ჩანს კომპანია „დელტას“ პროგრესი სამხედრო ინდუსტრიაში განხორციელებული კვლევითი და წარმოებითი რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია კვლევითი ინსტიტუტების ის ფართო სპექტრი, რომლის აუცილებლობაზეც ზემოთ არის ნათქვამი. კვლევითი ინსტიტუტები სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით მიმართულებებს მოიცავს, როგორიცაა მიკრო და ნანოტექნოლოგიის ინსტიტუტი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, ტექნიკური ოპტიკური ინსტიტუტი „ოპტიკა“, ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, სამთო ინსტიტუტი, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტები.

სახელმწიფო სამხედრო მრეწველობის განვითარების მთავარ შემაფერხებელ პრობლემად რჩება ფინანსური რესურსები. გარდა იმისა, რომ კვლევების წარმოება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე საჭიროა პროდუქციის სერიული წარმოება. რაიმე კონკრეტული პროდუქტის სერიულ წარმოებამდე მიყვანა, ტექნოლოგიური დახვეწა, გაუმჯობესება და საბოლოოდ სერიულ წარმოებაში ჩაშვება, რთული და ხანგრძლივი პროცესია. სერიული წარმოებისთვის, სულ მცირე, საჭიროა შიდა ბაზრის ათვისება, ბაზრის გაჯერება საკუთარი პროდუქციით, რაც საერთაშორისო ბაზარზე გასვლასა და საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს ზრდის. სერიული წარმოების არსებობით, ჩნდება ფინანსური რესურსები, რომლებიც ახალი სერიის წარმოებას, უკვე არსებული პროდუქციის ტექნოლოგიურ დახვეწას, ან სულაც, ახალი პროდუქციის კვლევის შესაძლებლობებს წარმოშობს. სერიული წარმოების შემაფერხებელ საფრთხეებში შეიძლება განვიხილოთ სხვა, სამხედრო პროდუქციის მასიურად მწარმოებელი სახელმწიფოების ზეგავლენა საერთაშორისო სავაჭრო სივრცეზე. ამ ტიპის ქვეყნების მიერ საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე მიწოდებული სამხედრო საქონელი უფრო მეტად ცნობილია საერთაშორისო ბაზარზე. საკუთარი პროდუქციის წარმოების

მასირებით, ცდილობენ ხელი შეუშალონ ახალი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოჩენას. კონკურენტული საქონელის გამოჩენა ბაზარზე, საფრთხის ქვეშ აყენებს მასიური წარმოების მქონე ქვეყნების პროდუქციის რეალიზაციას და მომხმარებელზე დამოკიდებული ბაზრის შემთხვევაში, იწვევს არაკონკურენტული პროდუქციის განდევნას ბაზრიდან. ამის მაგალითთა თუ როგორ ჩაიშალა სხვადასხვა ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოების არაპირდაპირი ჩარევის შედეგად, მათ შორის საქართველო-კონგოს შორის მიღწეული შეთანხმება რამდენიმე ათეული ჯავშანტრანსპორტიორის მიწოდების თაობაზე, რომელიც სამოლოოდ არ განხორციელდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, როგორც ქართული საინფორმაციო სააგენტო „კვირის პალიტრა“ აცხადებს, ამ შეთანხმების ჩაშლის შემდეგ, კონგოს მისამართით განხორციელდა შეთავაზება რუსული წარმოების ჯავშანტრანსპორტიორების მიყიდვასთან [12]. მიუხედავად იმ საფრთხეებისა და გამოწვევებისა, რომელიც საქართველოს წინაშე დღესდღობით არსებობს, ქვეყნას გააჩნია გარკვეული დონის ინტელექტუალური პოტენციალი, რაც სხვადასხვა ტიპისა თუ პროფილის სამხედრო პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. ამგვარად, შესაძლებელია ჩანაცვლებულ იქნას უცხოური, იგივე კლასის ნაკლებად ეფექტური (ჩვენი ქვეყნისათვის დამასაითაბეჭილი როული რელიფიდან გამომდინარე) პროდუქცია, რომელსაც გაცილებით დაბალი თვითღირებულება ექნება. სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატები, საურანგეთი) დაინტერესების შემთხვევაში, სხვადასხვა ტექნოლოგიების დანერგვით, შეიძლება მაღალი დონის პროდუქტის კვლევა და მისი სერიული წარმოება. ადგილობრივ პირობებში წარმოებულ პროდუქციას კი ექნება დაბალი თვითღირებულება, რომელიც პროდუქციის საბოლოო წარმოებაში ერთ-ერთ გადმწყვეტ როლს თამაშობს. გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ასეთი პროექტები ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინტელექტურის განვითარებასა და სამომავლო, პერსპექტივაში, ამ ინტელექტის გაზიარებას პარტნიორ ქვეყნებთან.

განვითარებულ, პროგრესირებად გარემოში, საქართველო შეძლებს სამხედრო წარმოების მხრივ გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის შეიარაღებული ძალების განვითარებას, მისი ეფექტურობის ამაღლებას და რეგიონში უსაფრთხოების სტაბილურობას.

ლიტერატურა

1. გუგავა, გ. (2012). 2008 წლის აგვისტოს ომი. [giogugava.blogspot.com](http://giogugava.blogspot.com/2012/06/2008.html): <http://giogugava.blogspot.com/2012/06/2008.html>
2. Sadeh, E. (1994). Militarization and State Power in the Arab-Israeli Conflict: Case Study of Israel 1948-1982. Dissertation.com.
3. Larry Collins and Dominique Lapierre, O. I. (1972). The Jews started the first war with the Arabs. <http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths3/MF1948.html>
4. Balle, J. K. (2014 წლის 22 დეკემბერი). MIM-104F Patriot pAC-3.
5. <http://www.bga-aeroweb.com/Defense/Patriot-PAC-3.html>
6. საბაური, შ. (2015 წლის 17 დეკემბერი). ფრანგული რაკეტები ქართული ცის დასაცავად. http://scout-thedeaddistrict.blogspot.com/2015/12/blog-post_17.html
7. Bhala, R. (2012 წლის 27 თებერვალი). INSIGHT - Russia/Israel/Georgia/Mexico - defense deals and swaps.
8. https://wikileaks.org/gifiles/docs/64/64027_insight-russia-israel-georgia-mexico-defense-deals-and-swaps.html
9. Scott, R. (2008 წლის 12 აგვისტო). UKRAINE: IMPACT OF GEORGIA CRISIS ON DOMESTIC POLITICS.
10. https://wikileaks.org/plusd/cables/08KYIV1557_a.html
11. datab.us. (Unknown). STC DELTA.
12. <http://datab.us/i/STC%20DELTA>
13. www.armada.ge (2016 წლის 27 იანვარი). დაბრუნებული საქართველოში წარმოებული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანები ექსპორტზე საუდის არაბეთში გავა: <http://armada.ge/?p=117007#more-117007>
14. delta.gov.ge. (Unknown). About Delta. Tbilisi.
15. delta.gov.ge. (Unknown). Multi-function Unmanned Helicopter <http://delta.gov.ge/en/product/multi-function-unmanned-helicopter/>
16. Aladashvili, I. (2015 წლის 23 ნოემბერი). გაყიდე ქართული იარაღი, გააძლიერე ქვეყანა! - რომელი პროდუქციის გაყიდვა შეიძლება საზღვარგარეთ.
17. <http://www.kvirispalitra.ge/military/27261-gayide-qarthuli-iaraghi-gaadzliere-qveyana-romeli-produqciiis-gayidva-sheidzleba-sazghvargareth.html?add=1&device=xhtml#comments>

ვიცე-პოლკოვნიკი კომა ჭიჭინაძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ktchitchinadze@mod.gov.ge

წუნუ ოვსიანიკოვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

**საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების შესახებ
(1918-1921 წლები)**

რეზიუმე. სტატიაში განხილულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის, 1918-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების საკითხები, რომელიც მოიცავს შეიარაღებული ძალების შექმნისა და მშენებლობასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ამ სფეროში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების საკითხებს და წარმოაჩენს თანმხვედრ ძირითად პრობლემებს.

Lieutenant colonel Koba Chichinadze
Davit Agmashenebeli,
National Defence Academy of Georgia
PHD student of Georgian Technical University.

Nunu Ovsianikova
oGeorgian Technical University
Associate professor

**On Formation of Georgian Armed Forces
(1918-1921)**

Abstract. The article describes subjects concerning formation of Georgian Armed Forces in 1918-1921 - one of the most important periods in the history of independent Georgia. These subjects encompass events regarding construction and building of the Armed Forces and issues of development of Legal Data Base. The article also represents major problems accompanying these events.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შეიარაღებულმა ძალებმა არაერთხელ განიცადეს ფორმირება, რომელიც დაკავშირებული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის სტატუსის მოპოვების, ხოლო ამ სტატუსის დაკარგვის შემდეგ მისი აღდგენის პერიოდებთან (1918 და 1991 წლები).

1918 წლის 26 მაისს, როდესაც გამოქვეყნდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა [1], საჭირო გახდა რესპუბლიკის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს დაცვა, ასევე დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირების მიმართულებით სამწლიანი მონაკვეთი (1918-1921 წლები), მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მიუხედავად ნეიტრალიტეტის გამოცხადებისა, რაც ქართული სახელმწიფოს საშვიდობო მისწრაფებაზე მიუთითებდა, ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხად თავდაცვის უზრუნველყოფა რჩებოდა.

ამდენად, შეარაღებული ძალების ფორმირება სახელმწიფოს შენებლობის პრიორიტეტული ამოცანა გახდა, რადგან მასზე იყო დამოუკიდებული საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მისი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა ეროვნულ საბჭოს დაევალა [1], რითაც ქართულ სახელმწიფოებრივ ისტორიაში ახალი ხანა დაწყო. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და უსაფრთხოების დაცვას. ის ფაქტი, რომ ახალგზარდა ქართული სახელმწიფო მრავალი პრობლემების წინაშე იდგა, განაპირობებდა იმ პროცესებს რითაც ხელი ეშვებოდა შეიარაღებული ძალების შენებლობას. ამ პროცესში ძირითადი პრობლემები იყო არასაკმარისი სახსრები, საკანონმდებლო ბაზა და სამხედრო კადრები. აღნიშნული საკითხები აქტუალური იყო დამოუკიდებლობის მთელი სამი წლის განმავლობაში და ბოლომდე თითქმის გადაუქრეო პრობლემად დარჩა.

ცნობილია, რომ „პირველი რესპუბლიკის დროს ქართული ჯარის ჩამოყალიბების საქმეში მთავარი პრობლემა არასაკმარისი დაფინანსება იყო. ხელისუფლება მართალია ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხები გამოყენ შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტურობის პირობებში ეს არ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო შენებლობის სრული პროგრამა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ განხორციელდა“ [2].

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობას წინ უსწრებდა ქართული რეგულარური არმიის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. გენერალი გიორგი მაზრიაშვილი, რომელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და თავის თანამოაზრებთან ერთად შეუდგა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობას, თავის მოგონებებში წერდა: „არავითარი ეროვნული სამხედრო ნაწილი არ არსებობდა. ორი ქართული ლეგიონი, ერთი ქვეითი და ერთიც ცხელოსანი, რომლებიც შესდგა რევოლუციამდე, იმ ქამად იმყოფებოდა ფრონტზე, ხოლო ეროვნული სამხედრო ნაწილების შედეგანა დავალებული ჰქონდა ქართულ სამხედრო კავშირს, რომელმაც ჯერ კიდევ აგვისტოში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი პეტროგრადში ქართული კორპუსის შედგენის ნებართვის გამოთხვოვისთვის. ოქტომბერში ფრონტიდან დაბრუნდა დასასვენებლად ორივე ლეგიონი, ხოლო ქუთაისში შესდგა სათადარიგო ქართული ათასეული. აი ეს ნაწილები დაედო საძირკვლად ქართულ კორპუსს, რომლის დაარსების ნებართვა მოვიდა ოქტომბრის შუა რიცხვებში“ [3].

შეიარაღებული ძალების ფორმირებისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი სამართლებლივი ბაზის შექმნა, რომელიც ამ პროცესს სამართლებლივ ჩარჩოებში მოაქცევდა. 1918 წლის 2 ივნისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“ [4], ხოლო 1918 წლის 20 აგვისტოს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“, რითაც ფაქტორივად დაიწყო სამართლებლივი ბაზის ფორმირების პროცესი და გრისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის იმ დროინდელი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა, რომელსაც წარმოდგენდა „სახალხო გვარდია“ და „რეგულარული არმია“.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სახალხო გვარდიას რეგულარული არმიასთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა, მას უკეთესი მომარაგება ჰქონდა. ქართული შეიარაღებული ძალების მიერ 1918-1921 წლებში წარმოებული ბრძოლების დროს გამოჩნდა, რომ გვარდია (ცხადია იყო გამონაკლისებიც) არმიას ბრძოლისუნარიანობითაც და დისციპლინითაც ჩამოუვარდებოდა, რაც განპირობებული იყო რიგი ფაქტორებით - „სახალხო გვარდია იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ უვალებოდათ ყაზარმები ცხოვრება. გვარდიალები უმეტეს დროს თავის სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწოდებელი დებოდნენ მხოლოდ წვრთვისა და ომის დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს მის ოჯახს მთავრობისგან გარკვეული დახმარება ეძლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის

ოფიცრები და ინსტრუქტორები, ვინაიდან რიგითი გვარდიელებისგან განსხვავებით ეს მათი ძირითადი სამსახური იყო” [2].

მიუხედავად სახალხო გვარდიის „პრივილეგირებული მდგომარეობისა“, კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“ მის მიზნებს მთელ შეიარაღებული ძალების მიზნებთან აიგივებდა. კანონში განსაზღვრული იყო, რომ: „სახალხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებული ძალისა - დაცვა დემოკრატიული რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების“ [4]. სახალხო გვარდიის შექმნის თუ არგაუქმების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს არ ენდობოდა. ისტორიკოს მახეილ ბაბუაძე თავის ნაშრომში „1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან“ [6], მიუთითებს სახალხო გვარდიის „პარტიულობაზე“: „გვარდია ფაქტობრივად არმიის პარალელური სამხედრო სტრუქტურა იყო. მისი სარდლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა. გვარდია პარტიული ჯარი იყო. მაშინ როდესაც ჯარში ჯარისკაცს თვეში 150-250, ხოლო ოფიცერს 3-6 ათასი მანეთი ეძლეოდა, რიგითი გვარდიელი თვეში 3-6 ათას მანეთს იღებდა“.

სახალხო გვარდიის პარტიული ნიშნით შექმნის მიზანშეწონებლობაზე მიუთითებს ასევე ისტორიკოსი გ. ანჩაბაძე „საქართველოში სახალხო გვარდიის პარტიული ნიშნით შექმნა მიზანშეწონილი არ იყო ვინაიდან ამან შეიარაღებულ ძალებში არმიასა და გვარდიას შორის დაბაბულობა გამოიწვია. ითვლებოდა, რომ მთავრობა გვარდიისადმი მეტ ზრუნვას იჩენდა. საერთოდ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარტია „სოციალ-დემოკრატიები“ ეჭვის თვალით უყურებდნენ ძველ ოფიცრებს, განსაკუთრებით თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს, რომელთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა მარქსისტულ იდეოლოგიას. ამიტომ იყო, რომ ბევრი გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი არ იქნა გამოყენებული ქართული ჯარის შექნებლობის პროცესში“ [2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასა და ოფიცერთა შორის დამკვიდრებული ურთიერთუნდობლობა მიეკუთვნება იმ მიზეზთა რიგს, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყანას დაბრკოლებების გადაღახვასა და ეფექტური სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებაში.

შეიარაღებული ძალების ორგანიზების პროცესში გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც 1917 წლის შემდეგ ქართული სამხედრო ძალების მთავარსარდლის თანამდებობებზე არაერთხელ იყო დანიშნული, თავის მოგონებებში ჯარის შექნებლობის საქმეს შემდევნაირად აფასებს: „შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციას ჩვენი ბელადები თვითონ კიდებდნენ ხელს და ამ საქმეს არ ანდობდნენ სპეციალისტებს. ბოლშევიკებმა კი, როგორც ვიცით, ეს საკითხები სხვანაირად გადაწყვიტეს: მათ ჯარის ორგანიზაციისთვის სამხედროები მიიწვიეს,

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შრომები N1(2)

ოლონდ პოლიტიკური ზედამხედველობა დაუწესეს. ჩვენები ჯარის მოსაწყობად ახალ გზებს ახალ საფუძველს ეძებდნენ და შექმნეს გვარდიული ორგანიზაცია - ჯარის ანომალია, რომელსაც არავითარი უნარი არ გააჩნდა საომარი მოქმედებისა" [7].

აღსანიშნავია, რომ რეგულარული არმიის ფორმირების პროცესი ქვეყნის ეკონომიკური დევიციტისა და გართულებული საგარეო პოლიტიკის ფონზე მიმდინარეობდა, რაც ამ სფეროში გარკვეულ ხარვეზებს ქმნიდა, თუმცა მაინც მოხერხდა 20-30 ათასაციანი ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბება. 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლითაც განისაზღვრა რეგულარული ჯარის სტრუქტურა, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობა და შეიარაღება. კანონი ასევე ითვალისწინებდა იუნკერთა მოსამზადებელი სამხედრო სკოლის გახსნას [5]. რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სამხედრო კადრების მომზადება და ხელისუფლება შეარაღებული ძალების ოფიცერთა და სპეციალისტთა დაკომპლეტების საკითხზე აქტიურად ზრუნავდა.

ცნობილია, რომ „საქართველოს ჰყავდა რუსეთის იმპერიის ქვეშ ნამსახურები ოფიცერები და გენერლები, მაგრამ საჭირო იყო ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი უმცროს ოფიცერთა კადრების მომზადება.“

ეს ფუნქცია უპირველეს ყოვლისა დავკისრა ყოფილ იუნკერთა ქვეით სასწავლებელს (რომელიც ლიკვიდირებული იქნა 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტის მოშლასთან დაკავშირებით) ახალი სახელწოდებით „ქართული სამხედრო სკოლა“.

პირველი კურსი ამოქმედდა 1919 წლის შემოდგომაზე, მეორე კურსი კი 1920 წლის შემოდგომაზე” [8].

სკოლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორისა და პირველი მეთაურის გენერალ კვინიტამის ჩანაფიქრის მიხედვით, სასწავლებლიდან გამოსული ოფიცრები უნდა გამხდარიყვნენ „ახალი ქართული არმიის მირითადი ქვაკუთხედი“, ამიტომ სამხედრო საქმის სწავლასთან ერთად, სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცევოდა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. სწავლის ხანგრძლივობა 2 წლით განისაზღვრებოდა, პირველ წელს კურსანტები გაიღლიდნენ საერთო თეორიულ სამხედრო კურსს, ხოლო მეორე წელს დაიყოფიდნენ სპეციალობების მიხედვით. შტატების მიხედვით, სკოლას უნდა მიეღო 180 იუნკერი, 90-90 ორი წლის განმავლობაში, აქედან 120 ქვეითი ჯარისათვის, 30 არტილერიისათვის, 10 კავალერიისათვის, ხოლო 20 საინჟინრო ნაწილების ოფიცერთა მოსამზადებლად. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში სიის მიხედვით ირიცხებოდა 183 იუნკერი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ ფაქტობრივად განისაზღვრა არა მარტო შეიარაღებული ძალების შემადგენლობა, ასევე შეიარაღებული ძალების მმართველობითი ორგანო და მისი უფლებამოსილების სფერო. 1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცდა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“ [9]. დებულების შესაბამისად „ეროვნული საბჭო და მთავრობა უზენაესი ხელმძღვანელია შეიარაღებული ძალებისა და ამ უფლებას ხელისუფლება ახორციელებს სამხედრო სამინისტროს მეშვეობით“. სამხედრო მინისტრი თავისი მოქმედებით დაქვემდებარა და ანგარიშვალდებული გახდა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე. აგრეთვე განსაზღვრა, ომიანობის დროს შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებისა და უფლებამოსილების საკითხი: „ომიანობის დროს მტრის წინააღმდეგ ყოველი მოქმედი შეიარაღებული ძალის წინამდიღლად ინიშნება მთავრობის მიერ, საგანგიბო დეკრეტით, არმიის მთავარ-სარდალი, რომელიც ემორჩილება პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს“ [9].

მნიშვნელოვანია, რომ დებულებამ ასევე დაარეგულირა სამხედრო მმართველობის განხილვილების საკითხიც, რომელიც დაევალა სამხედრო სამინისტროს და შექმნა სტრუქტურული ერთეულები (ექვსი განყოფილება). ჩამოყალიბებულმა სტრუქტურამ სამხედრო სამინისტროს მიერ მართვის სფეროში მიიღოა ყველა მიმართულება, რაც მას ექვემდებარებოდა და განუსაზღვრა თავისი ფუნქციები: „საერთო განყოფილება“, რომელიც უძღვებოდა სხვადასხვა საქმეებს, „პირადი შემადგენლობის განყოფილება“, „გენერალური შტაბის განყოფილება“, „საადმინისტრაციო განყოფილება“, „სამხედრო სასანიტრო განყოფილება“ და „სამხედრო საბეჭითალო განყოფილება“.

„ზემოთაღნიშნული განყოფილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გენერალური შტაბის განყოფილება, რომელშიც შედიოდა ექვსი სექცია: საპპერაციო, საორგანიზაციო, საარტილერიო, საინჟინრო-სატექნიკო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-სასიცორიო. პირველ სექციას ხელმძღვანელობდა უშუალოდ შტაბის უფროსი, რომლის ფუნქციებში შედიოდა ჯარის ორგანიზაცია, მობილიზაცია, საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა. დაზვერვა, კავშირგაბმულობა, ჯარის წვრთნა, და აღლუმების მოწყობა. საადმინისტრაციო განყოფილების წამყვანი სექცია იყო საბიუჯეტო. მას ევალებოდა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის შედგენა, ხელფასების განსაზღვრა და დარიგება“ [10].

უნდა აღინიშნოს, რომ არმიის სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი დაკომპლექტების საკითხი. უკვე, 1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცდა მირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“ [11], რამაც

დაარეგულირა სამხედრო ბეგარის მოხდის პირობები, განსაზღვრა მოქალაქეთა ვალდებულებები, შეიარაღებული ძალების შევსების საკითხები. დებულების შესაბამისად, სავალდებულო გახდა მოქალაქეთა მიერ სამხედრო ბეგარის მოხდა და მუდმივი ჯარის შევსება. 20-დან 45 წლამდე ყველა მოქალაქე ვალდებული იყო პირადად მოეხადა სამხედრო ბეგარა. დებულება აგრეთვე არეგულირებდა სამსახურისთვის უვარგისად ცნობილ მოქალაქეთა გაწვევის საკითხებს. დებულების შესაბამისად: „ვისაც სამხედრო ბეგარა მართებს და ჯარში სამსახურის უვარგისად გამოიდგება, გაწვეული იქნება არმიაში ისეთი მოვალეობისათვის, რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ აგებულებასა და აგრეთვე რამდენადაც შესაძლებელია მის ცოდნას და წინანდელ სამსახურსა“.

იმ დროინდელი „შეიარაღებული ძალა“, დებულების შესაბამისად, შედგებოდა მუდმივი ჯარისა და ლაშერისაგან. მუდმივ ჯარს ევალებოდა მუდმივი მზადყოფნა ომის სამსახურისათვის, ხოლო ლაშეარი გაწვეული იქნებოდა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ, მაშინ როდესაც სამშობლოს საფრთხე მოელოდა. ფაქტობრივად „ლაშეარს“ სარეზუროს/სათადარიგო სამსახურის ფუნქცია მიენიჭა. დებულების მიხედვით, ლაშეარში გაიწვეოდა „ქუდზე კაცი“ 17-დან 50 წლამდე ასაკის, ხოლო ვიდრე სათადარიგო ლაშეარში ირიცხებოდნენ, დებულება მათვეს ითვალისწინებდა სამ წელიწადში ერთხელ სამ კვირიან ვარჯიშს, რაც იმაზე მიუთითებდა. რომ ყოფილიყვნენ მუდმივ მზადყოფნაში.

ნიშანდობლივია, რომ სამხედრო მოსამსახურებს, რომლებიც ირიცხებოდნენ რეგულარულ ჯარში თუ ლაშეარში, კრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა. დებულებაში წათქვამია, რომ „ყოველი სამხედრო მოსამსახურე მუდმივი არმიისა, სათადარიგო და მოლაშერე, ვარჯიშობის გაწვევის დროს, აგრეთვე ისიც, ვინც გაწვეულია მოქმედი ჯარის შესადგენად, პოლიტიკის გარეშე იმყოფება“[11]. გარდა ამისა, დებულებამ დადგინა სამხედრო სამსახურის საერთო ვადა, რაც ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით საკმაოდ ხანგრძლივი იყო. სამხედრო სამსახური საერთო ჯამში 25 წელს შეადგენდა. აქედან, სამხედრო მოსამსახურეს ნამდვილ სამსახურში უნდა ემსახურა 2 წელი, სათადარიგო სამსახურში 15 წელი, ხოლო ლაშეარში 8 წელიწადი.

როგორც ცნობილია, საბრძოლო დროშა არის სამხედრო ნაწილის განსაკუთრებული სიმბოლო. მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურეს გააჩნია ვალდებულება თავგანწირვით დაიცვას, შეინახოს და გაუფრთხილდეს მას, როგორც მშვიდობიანობის ისე საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს.

ამდენად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იმ დროინდელი ხელისუფლების მიერ, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში დიდი ყურადღება დაეთმო სამხედრო დროშის, იგივე საბრძოლო დროშის შემუშავებასა და დამტკიცებას. 1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის

და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული კანონი „სამხედრო დროშის შესახებ“ [12] სადაც სრულად იქნა გადმოცემული დროშის აღწერილობა.

ნიშანდობლივია, რომ სამხედრო მშენებლობის მნიშვნელოვან სფეროს განკუთვნებოდა სამხედრო მოსამსხურების სოციალური საკითხების გადაწყვეტა. 1919 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა კანონი „ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებსა და ჯამაგირების შენახვისა“[13], რაც ითვალისწინებდა იმ ადგილების შენახვას, სადაც გაწვევის მომენტში მუშაობდნენ მოქალაქეები. ამ მოვლენას რამდენიმე დატვირთვა გააჩნდა: ერთის მხრივ, მოქალაქეებს უჩენდა სამხედრო სამსახურში გაწვევის სურვილს, რაც გარკვეულ მოტივაციას ქმნიდა, ხოლო მეორეს მხრივ, დასაქმებულ მოქალაქეებს სამსახურის შენარჩუნების გარანტიას აძლევდა. კანონი ვრცელდებოდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კურო დაწესებულებებსა და წარმოებებზე. ჯარში გაწვეული მუშები და მოსამსახურები სამხედრო სამსახურის დროს იღებდნენ დამქირავებლისაგან იმ ჯამაგირის ნახევარს, რომელიც ჰქონდა დანიშნული ჯარში გაწვევამდე. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო გაწვეულ ჯარისკაცს თავისი დამქირავებლისათვის მოეთხოვა დამატებით ჯამაგირი თუ ის იქნებოდა გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით. ამასთან, ჯარში გაწვეულთა ადგილებზე ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში/ორგანიზაციებში ახალი მუშა-მოსამსახურები შეეძლოთ მიეღოთ დროებით. კანონი ჯარში გაწვეულ მუშა-მოსამსახურებს ავალდებულებდა ორი კვირის განმავლობაში დაბრუნებულიყვნენ ძველი სამსახურის ადგილებზე. დღიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისა, ხოლო თუ ისინი ამ ვადაში არ დაუბრუნდებოდნენ ძველ სამსახურს, დამქირავებლებს უფლება ჰქონდათ შემდეგში უარი ეთქვათ მათ მიღებაზე [13].

მნიშვნელოვანია და გარკვეულ ჰუმანურობაზე მიუთითებდა ის ფაქტი, რომ იმ დროინდელმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა და ყურადღება მიაპყრო მოქალაქეთა მდგომარეობას, რომლებსაც ჯარში გაწვევისას გააჩნდათ გარკვეული ოჯახური პრობლემები. ეს გამოიხატა იმით, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 20 მაისს გამოიცა კანონით „ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევის განთავისუფლებისა“[14], რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ხელისუფლების მიერ ჰუმანიზმის გამოხტვის აქტი. კანონი ითვალისწინებდა მოქალაქეთა გაწვევისაგან გათავისუფლებას სხვადასხვა ოჯახური მდგომარეობის გამო, აგრეთვე კანონი ვალდებულების მოხდისაგან ათავისუფლებდა მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

შეიარაღებული მალების მშენებლობის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ყოველთვის არის, სამხედრო დისციპლინის საკითხი. თუმცა

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა იყო, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ „ეროვნულ არმიაში“, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ჯარისკაცთა მიერ სამხედრო სამსახურის მიტოვებასა და დისციპლინის დარღვევაში. გენერალი გომარგი მაზნიაშვილი, ამ საკითხთან დაკავშირებით მოგონებებში აღწერდა, რომ „ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი. როგორც კავკასიის არმიაში, ისე კავკასიის ოლქის შტაბებში. გრძნობდნენ, რომ დღე-დღეზე უნდა დამტკიცოს მათი ჯარები და ამიტომ ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასამინებლად. კავკასიის არმიის უზარმაზარი საწყობები, რომლებიც სავსე იყო მრავალ მილიონიანი ქონებით, თითქმის უდარაჯოდ იყო დატოვებული. ცხენები მრავლად იხოცებოდა შიმშილით, რადგან საკვებს, რომელსაც იძლეოდა სამხედრო სამართველო, ჯარისკაცები ჰყიდდნენ ბაზარზე. ფრონტიდან დაბრუნებულ დეზერტირებს უფრო მეტი არულობა შექმნდათ ჯარისკაცებში. ისინი არამც თუ თვითონ უფროსებს, ქალაქის მილიციასაც კი არ ემორჩილებოდნენ. ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე. რომ ხედავდნენ, გარშემო ყველაფერი როგორ ინგრეოდა, თვითონაც აცდნენ კეთილ გზას, ხოლო უფრო შეგნებული და გამოცდილი ოფიცერები, ხელისუფლების უძლურების გამო, თვითონაც უძლურნი იყვნენ და არ იცოდნენ, რანაირად ეშველათ საქართველოსათვის და მოესპორ უბედურება, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა“ [3].

აღნიშნული მდგომარეობის შესახებ წერს გენერალი გიორგი კვინიტაძეც თავის მოგონებებში: „ეგრეთ წოდებული სამხედრო ნაწილები ფრონტზე კიდევ რაღაცას წარმოადგენდნენ, მაგრამ მშვიდობიან პერიოდში ეს გახლდათ უდისციპლინო ბრბო“ [7].

1919 წლის 27 ივლისიდან გარკვეულწილად რეგულაციას დაექვემდებარა ისეთი საკითხები, როგორიც იყო: ჯარიდან გაქცევა (დეზერტირობის), სამხედრო სამსახურის მიტოვება და დისციპლინის დარღვევა. „საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის“ მიერ დამტკიცდა „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის დასჯის დეკრეტი“ [15], რომელიც განმატრავდა თუ რა ვადა და გარემოებები ითვლებოდა სამსახურიდან გაქცევად: „სამხედრო მოსამსახურის მიერ თავის ნებით სამსახურის მიტოვება მშვიდობიანობის დროს 6 დღედამეზე მეტანს, ხოლო ომიანობის ან სამხედრო მოქმედებების დროს, გარეშე თავდასხმის ან შინაური შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ ერთ დღედამეზე მეტით ჩაითვლება სამსახურიდან გაქცევად“, ამის შესაბამისად დადგინდა, როგორ უნდა დასჯილიყვნენ დამნაშავენი

შშვიდობიანობის თუ ომიანობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად. შემდეგ წელს უკვე, 1920 წლის 30 აპრილს, „საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის“ მიერ გამოიცა კანონი „სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა“ [16], რომელიც ავალდებულებდა როგორც უფროსთა ისე ხელქვეითთა შემადგენლობას სამხედრო დისციპლინისა და წესრიგის დაცვას. წესდება განსაზღვრავდა, როგორც მსუბუქ, ასევე შედარებით მძიმე სადისციპლინო სასჯელებს, იგი იწყებოდა „გავიცხვიდნ“ და სრულდებოდა „პატიმრობით“.

აღსანიშნავია, რომ წესდება ნათლად განმარტავდა და არეგულირებდა უფროსთა მიერ დისციპლინალური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების უფლებამოსილებას, თუ ვის და როგორ შეეძლოთ გამოყენებინა სადისციპლინო სასჯელები. ამასთან, საყურადღებოა, რომ სამხედრო მოსამასახურეს შესაძლებელი იყო სადისციპლინო სასჯელი დასდებოდა არა მხოლოდ სამხედრო დისციპლინის, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დალვევისას.

როგორც ცნობილია, 1921 წლის 21 თებერვალს „საქართველოს დამფუძნებელი კრების“ მიერ მიღებული იქნა პირველი ქართული კონსტიტუცია [17], რომელიც იქცა ქართული სახელმწიფოს ძირითად კანონად. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმ დროინდელი დემოკრატიული მსოფლიო სამართლებრივი ნორმების დონეზე. ეს განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ კონსტიტუციის შემუშავების პროცესში ორიენტირი იყო ევროპული განვითარება. ევროპის გამოცდილებისა და იმ პერიოდის მოწინავე პოლიტიკური აზროვნების შედეგი იყო, რომ დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც დაგვირგვინდა კონსტიტუციის მიღებით.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია, ფაქტობრივად, ძალაშიც არ შესულა, იგი წარმოადგენდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის კლასიკურ მაგალითს, რომელშიც აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება, იმდროინდელი პოლიტიკის მისრაფებები და შეხედულებები.

პირველი კონსტიტუციით საქართველო ცხადდებოდა, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი სუვერენული სახელმწიფო, რომელმაც აირჩია დემოკრატიული რესპუბლიკური მმართველობა. კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი, კონსტიტუციის შესრულება კი სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას წარმოადგენდა. კონსტიტუციაში შეტანილი იყო ყველა ის დემოულება, რომელიც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული წყობილებისათვის. ამავდროულად უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ კონსტიტუციაში ერთი თავი დაეთმო კვეყნის თავდაცვას, სადაც სამხედრო ძალებს დანიშნულებად განუსაზღვრა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიის დაცვა. აღნიშნული თავი აგრეთვე ავალდებულებდა რესპუბლიკის ყველა მოქალქეს, რომ მოეხადა სამხედრო ბეგარა [17].

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

კონსტიტუციის მიღებიდან მეოთხე დღეს 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და მოახდინა ქვეყნის ანექსია, ხოლო ემიგრაციაში მიმავალმა საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ შეაჩერა რეალურად ჯერ არამაშავებული პირველი ქართული კონსტიტუციის მოქმედება და საქართველოს კონსტიტუციურ ისტორიაში დაიწყო საბჭოთა კონსტიტუციების 70 - წლიანი პერიოდი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას კარგად ესმოდა ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობის მნიშვნელობა. 1918-1921 წლებში, მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებისა, ხელისუფლებამ გამოიჩინა პოლიტიკური ნება და ყურადღება მიაპყრო შეიარაღებული ძალების მშენებლობის საკითხებს, ჩამოაყალიბა შეიარაღებული ძალების მართველობა და სტრუქტურა, შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა და იზრუნა ეროვნული არმიის დაკომპლექტების საკითხებზე, სადაც გაითვალისწინა მოქალაქეთა, როგორც ოჯახური ისე სოციალური მდგომარეობა. შექმნა სამხედრო სასწავლებელი, რაც უზრუნველყოფდა ეროვნულ არმიას პროფესიონალი ოფიცრებითა და რიგითი ჯარისკაცების კადრებით. დაარეგულირა სამხედრო დისციპლინის საკითხები.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ ზემოთჩამოთვლილი ძალისხმევისა, ვერ მოხერხდა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების ადეკვატური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. ამ პროცესში განხილული უნდა იქნეს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებიც, შეიარაღებული ძალების მართვისა და ფორმირების პროცესში, როგორიც იყო: რეგულარური არმიისა და სახალხო გვარდიის ერთიანი სარდლობის არარსებობა, მათი არათანაბარ პირობებში ჩაყენება, ყოფილი რუსეთის იმპერიის არმიაში მომსახურე გამოცდილი ქართველი ოფიცრებისა და გენერლების მიმართ უნდობლობა და სხვა, რაც თან სდევდა არმიის ფორმირების მთელ სამწლიან პერიოდს.

რთული საუკეთესო შესაძლებელი იყო თუ არა საქართველოს ანექსიის თავიდან აცილება, ზემოთაღნიშნული შეცდომების არ არსებობის შემთხვევაშიც კი, ჩვენი, ევროპისა და მეზობელი ქვეყნების საქართველოსადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, თბილისი, 1990, გვ. 3-11.
2. გიორგი აჩაბაძე, სამხედრო ისტორია, გამომცემლობა „სომა პრეს“, თბილისი, 2002, გვ. 75.
3. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925, სახელმწიფო გამომცემლობა „ტფილისი-1927“, თბილისი, 1927, გვ. 3-5.
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდისა, თბილისი, 1990, გვ. 15-18.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა, თბილისი, 1990, გვ. 53-55.
6. მიხეილ ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. გამომცემლობა „არტანუჯი“ თბილისი, 2013, გვ. 14.
7. გიორგი კვინიტაძე, ჩემი მოგონებები. ნაწილი I. 1917-1921, თბილისი, 2014, გვ. 17.
8. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია, აკადემიის შრომები N3, თბილისი, 2011, გვ. 162-163.
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა, ქ.თბილისი, 1990, გვ. 49-53.
10. გიორგი აჩაბაძე, მამია დღვილავა, ელვირ კუპატაძე, ამირან მექაბიშვილი, თენგიზ შებლაძე, სამხედრო სწავლება. თბილისი, 2002, გვ. 149-150.
11. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, ძირითადი დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შესებისა, თბილისი, 1990, გვ. 55-57.
12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი სამხედრო დროშისა, თბილისი 1990, გვ. 178.
13. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებსა და ჯამაგირების შენახვისა, თბილისი, 1990, გვ. 227-229.

14. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევის განთავისუფლებისა, თბილისი, 1990, გვ. 268-270.
15. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, დეკრეტი ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის დასჯისა, თბილისი, 1990, გვ. 280-281.
16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, კანონი სადისციპლინო წესდების დამტკიცებისა, თბილისი, 1990, გვ. 383-394.
17. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლრივი აქტების კრებული 1918-1921, საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1990, გვ. 458-484.

გოგი ცხოვრებაძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
ისტორიის დოქტორი
tskhovrebadzegogi@gmail.com

სტრატეგიის სამხედრო განსაზღვრებები და სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში

რეზიუმე. სტატიაში განხილულია სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრებები სამხედრო სტრატეგებისა და ანალიტიკოსების მიერ. წარმოდგენილია თანამედროვე, დიდი სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში, ასევე, საქართველოს სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების ფუნქციური დატვირთვა და მნიშვნელობა.

Gogi Tskhovrebadze
Davit Agmashenbeli,
National Defence Academy of Georgia
Doctor of History

Military definitions of strategy and sample of its establishment

Abstract. Presented article comprises military definitions of strategy which are discussed by military strategists and analysts. We present contemporary great strategy establishment sample, also functional role and their importance of Georgian strategic planning documentations.

...და ერთი ბოლო გაფრთხილება თქვენ, რომლებიც სტრატეგიული დაგეგმვის კარიერას იწყებთ. მას შეძლებ, რაც ყველა გეგმას სრულყოფთ, ყველა გზას გამოიკვლევთ და ყველა აღმათობას განიხილავთ, ბოლო კითხვა დაუსკით საკუთარ თავს: „ხომ არაფერი გამოვრჩა?

ფილიპ კროული
„სტრატეგის მცირე კატებიზმი“

სტრატეგიის განსაზღვრება ადვილი არ არის, ამავე დროს, ამის გაკეთება აუცილებელია. პრობლემის ერთ-ერთი წარმოლი მთლიანობისაა, რომ წლების მანძილზე მისი განსაზღვრებები მუდმივად იცვლებოდა. სიტყვას სამხედრო წარმოშობა აქვს და კლასიკური თეორია მას განიხილავს, როგორც მხოლოდ ომისთვის დამახასიათებელ მოვლენას – როგორ გამოიყენებს გენერალიტეტი მის დაქვემდებარებაში არსებულ ძალებს ომის მოსაგებად. კლასიკური გაგებით, სტრატეგია წარმოადგინდა ბრძოლის ველზე მომგებიან პოზიციამდე მისასვლელ სამხედრო მანევრს, მაშინ როდესაც ტაქტიკა გამოიყენებოდა თავად ბრძოლის დროს. ამ ტერმინის სუფთა სამხედრო გაგებამ ადგილი დაუთმო მის უფრო ფართო განმარტებას. შედეგად მივიღეთ სტრატეგიის ზოგადი სამი განმარტება:

- 1) სტრატეგია ზოგადად მოითხოვს, რომ მისი ხელოვნება მოიცავდეს არა მარტო ტრადიციულ სამხედრო მოცემულობას, არამედ ეროვნული მაღაუფლების სხვა მოცემულობებსაც, კერძოდ, პოლიტიკას და ეკონომიკას;
- 2) სიტყვის გამოყენების ზრდას შედეგად მოჰყვა ის, რომ სიტყვა ფართოდ გახდა გამოყენებადი სამხედრო მოქმედებების მიღმა და ამჟამად გამოიყენება ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელიც მოიცავს ბიზნესს, მედიცინას, სპორტს და სხვას;
- 3) კონცეფციის სახელმისამართის გამო სამხედროები იძულებულნი გახდნენ შემოეტანათ ახალი ტერმინი – ოპერაციები ანუ ოპერატიული ხელოვნება, რათა აღეწერათ მაღალი დონის სამხედრო ხელოვნება, რომელიც ერთ დროს სტრატეგია ერქვა.

სტრატეგიის თანამედროვე განმარტება მოიცავს არა მარტო სამხედრო, არამედ ეროვნული ხელისუფლების არასამხედრო მოცემულობებს და ერთნაირად გამოიყენება, როგორც შევიდობის, ასევე ომის დროს.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ასეთ მნიშვნელოვან ტერმინს არ გააჩნია შეთანხმებული განმარტება თვით ეროვნული უსაფრთხოების დონეზეც კი. სამხედროებს გააჩნიათ დამტკიცებული განმარტება. მაგრამ ის მიუღებელია ეროვნული უსაფრთხოების პროფესიონალუბისთვის. ამის შედეგად, ყველა, კინც სტრატეგიის შესახებ წერს, გრძნობს აუცილებლობას, რომ არსებული მრავალრიცხოვანი განმარტებებიდან ჩამოაყალიბოს სტრატეგიის მისთვის მისაღები განმარტება. ამჟამად გაგაცნობთ და მიმოვინილავთ არსებულ მრავალფეროვნებას.

კლაუზევიცის აზრით: "სტრატეგია არის ბრძოლების გამოყენება ომის მიზნების მისაღწევად. ამის გამო სტრატეგმა უნდა განსაზღვროს მთელი ოპერატიული მხარის მიზანი, რომელიც სრულ თანხმობაში იქნება ომის არსთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სტრატეგი შეიმუშავებს ომის გეგმას, რომლის მიზანი განსაზღვრავს მოქმედებების მთელ მწყობრს. რომლის განზრახვაც მისი მიზნის მიღწევაა: იგი, ფაქტობრივად აყალიბებს ინდივიდუალურ კამპანიებს და

მის თანახმად ჩამოყალიბდება ცალკეულ ბრძოლებზე" (Carl von Clausewitz, *On War*, Michael Howard and Peter Paret, eds./trans., Princeton, NJ: Princeton University Press, 1976, p. 177). რამდენადაც ეს კლასიკური განმარტებაა, იმდენად იგი არადამაკმაყოფილებელია – მხოლოდ სამხედრო საკითხებს ეხება და ისიც ოპერატორულ დონეზე უფრო მეტად, ვიდრე სტრატეგიულ დონეზე. ის რაც ჩამოყალიბა კლაუზევიცმა ნამდვილად წარმოადგენს თეატრის ან კამპანიის სტრატეგიას. იმის გამო, რომ ეს კლაუზევიცმა თქვა, არ ნიშნავს რომ იგი მართალია, მაგრამ იმის გამო, რომ ეს კლაუზევიცმა თქვა, მოსაზრება აუცილებლად უნდა იქნას განსილეული.

ანტუან ჟომინის, კარლ ფონ კლაუზევიცის თანამედროვეს, საფრანგეთის არმიის გენერალს, საკუთარი მოსაზრება და განსაზღვრება აქვს:

"სტრატეგია არის რუკაზე ომის წარმოების ხელოვნება და მოიცავს ომის მოქმედების მთელ თეატრს. დიდი ტაქტიკა არის, ადგილმდებარეობის მიხედვით ჯარების გაშლა ბრძოლის ველზე, მათი ბრძოლაში ჩართვა და ბრძოლის მართვა ადგილმდებარეობის გამოყენებით, რუკაზე დაგეგმვის შესაბამისად. ოპერაციები შეიძლება გაიშალოს 10-12 მილის ფართობის ველზე. ლოგისტიკა მოიცავს საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების შესრულებას. სტრატეგია წყვეტს, სად იმოქმედოს; ლოგისტიკას ადგილამდე მიტყვავს ჯარები, დიდ ტაქტიკა კი წყვეტს ჯარების გამოყენებას და განხორციელების მანერას". (Antoine Henri Baron de Jomini, *The Art of War*, G. H. Mendell and W. P. Craighill, trans., 1862, reprint, The West Point Military Library Series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1971, p. 62.) ეს განმარტებაც სამხედროა და თეტრის დონეს არ სცილდება.

სამოქალაქო ომის დროს მოქმედ ამერიკელ სამხედროს, პერი ლი სკოტს საინტერესო განმარტება აქვს, რომელიც ძირითადად ჟომინის კონცეფციიდან გამომდინარეობს „კამპანიის გეგმის შეთანხმების ხელოვნება, რომელიც მოიცავს საბოლოო მიზნის მიღწევით განსაზღვრულ სამხედრო ოპერაციების სისტემას, მოწინააღმდეგის ხასიათს, ქვეყნის ბუნებას და რესურსებს, შეტევისა და თავდაცვის საშუალებებს" (Henry Lee Scott, *Military Dictionary: Comprising Technical Definitions; Information on Raising and Keeping Troops; Actual Service, including Makeshifts and Improved Materiel; and Law, Government, Regulation, and Administration Relating to Land Forces*, 1861, reprint, The West Point Military Library series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1968, p. 574.) ამ განმარტებას აქვს ყველა ის მოცემულობა, რომელიც ჩვენ გვჭირდება და განაცხადებს მათ ისეთი თანამიმდევრობით, რომელიც კონცეპტუალურად გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ჟომინის მოსაზრება. მიუხედავად იმისა, რომ სკოტი აყალიბებს კლასიკურ ნიმუშს, სტრატეგიის განსაზღვრება დაჲყავს მხოლოდ სამხედრო განზომილებამდე და ზღუდავს მას საომარი მოქმედებების თეატრით.

ამ საკითხისადმი ბრიტანელ სამხედრო ისტორიკოსს, ბაზილ ლიდელ ჰარტს, უნიკალური მიდგომა აქვს. მისითვის სტრატეგიის კონცეფცია გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ სამხედრო მოცემულობა და მოიცავს არასამხედრო საკითხებსაც. ამის გამო, მისი განსაზღვრება შედარებით უფრო თანამედროვეა. ლიდელ ჰარტმა სტრატეგია განსაზღვრა როგორც "პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო საშუალებების განაწილება და გამოყენება," ასევე "სტრატეგიის წარმატება უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მიზნებისა და საშუალებების სწორ გათვლასა და კორდინაციაზე. მიზანი გაწონასწორებული უნდა იყოს საერთო შესაძლებლობებით და შესაძლებლობებით გამოიყენებოდეს შუალედური მიზნების მისაღწევად, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურება უმაღლესი მიზნის მიღწევას იმგვარად, რომ ის შეესაბამება შუალედური მიზნების ღირებულებებსა და საჭიროებებს - თუნდაც ამ მიზნის მიღწევას წვლილის შემტანი ხასიათი ჰქონდეს. გადაკარგება შესაძლოა ისევე საზიანო იყოს, როგორც ნაკლოვანება." ავტორი აქ მხოლოდ სამხედრო სტრატეგიაზე საუბრობს, რომ სტრატეგიას განაჩინი მეტ- ნაკლებად იგივე, მაგრამ განსხვავდება დიდ სტრატეგიის უფრო ფართო კონცეფციისგან.

რამდენადაც ტაქტიკა არის სტრატეგიის გამოყენება შედარებით დაბალ დონეზე, იმდენად, სტრატეგია არის "დიდი სტრატეგიის" გამოყენება შედარებით დაბალ დონეზე, მაშინ როდესაც "დიდი სტრატეგია" პრაქტიკულად პოლიტიკის სინონიმია, რომელიც წარმართავს ომს და განსხვავდება უფრო ფუნდამენტური პოლიტიკისგან, რომელიც მართავს ომის მიზნებს. ტერმინი "დიდი სტრატეგია" ემსახურება "აღმასრულებელი პოლიტიკის" მნიშვნელობის შემოტანას. დიდი სტრატეგიის დანიშნულებაა ერის ან ერთა ჯგუფის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენება ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად-მიზნებისა, რომელებსაც განსაზღვრავს ფუნდამენტური პოლიტიკა.

ლიდელ ჰარტი ასევე აღნიშნავს, რომ დიდმა სტრატეგიამ უნდა გამოოთვალოს და განვითაროს როგორც კვონომიკური, ასევე ადამინისტრი რესურსები, რათა შეინარჩუნოს საბრძოლო სამსახურები. მნიშვნელოვანია მორალური ძალის განვითარება, რათა გამოიკვეთოს ერის საბრძოლო წება, რომლის განვითარებას ხშირად არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კონკრეტული ძალაუფლების ფლობას. დიდმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ძალის მოწესრიგებული განაწილება, როგორც სამსახურებს მორის, ასევე, სამსახურებსა და ინდუსტრიას შორის. საბრძოლო ძალა დიდი სტრატეგიის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელია, დიდმა სტრატეგიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ფინანსური, დიპლომატიური, კომერციული და ეთიკური ზემოქმედების საშუალებების განვითარება, რათა დასუსტოს მოწინააღმდეგის წება. რამდენადაც სტრატეგიის პორიზონტი იმით შემოიფარგლება, ხოლო დიდი სტრატეგია მირითადად კონცენტრირდება შემიღობაზე, რათა თავდან

ავიცილოთ ის სამწუხარო მდგომარეობა, რომელიც თან ახლავს ხოლმე ომის შემდეგ დამყარებულ შვიდობას (. Basil H. Liddell Hart, *Strategy*, 2nd Edition, 1954, reprint, New York: Frederick A. Praeger, 1967, p. 335).

თანამედროვე სტრატეგი ქლინ გრეი ვათავაზობს შედარებით ფართო განსაზღვრებას "სრატეგიაში მე ვგულისხმობ ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად". (Collin S. Gray, *Modern Strategy*, New York: Oxford University Press, 1999, p. 17). ეს განსაზღვრებაც გარკვეულწილად შესზღუდულია, რადგან სტრატეგია დაჰყავს ძალის გამოყენებამდე და ამდენად, ერთმანეთში ურევს ომისა და სტრატეგიის განსაზღვრებას.

გაერთიანებულ ენციკლოპედიაში, ამერიკელ სამხედროებს, გააჩნიათ სტრატეგიის შემდეგი განსაზღვრება: "ეროვნული ძალაუფლების ყველა სახელოს შეთანხმებული მოქმედება, განვითარებისა და გამოყენების ხელოვნება, მეცნიერება თეატრის, ეროვნული, ან მრავალეროვნული მიზნების მისაღწევად." სამწუხაროდ, ამ განსაზღვრებით სტრატეგია მოიაზრება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ფუნქცია, თუმცა, არსებული განსაზღვრება გაცილებით უკეთესია ვიდრე ადრეული განმარტებები, რადგან ის მაინც ფართოა, მასში "ინტეგრირებულია ეროვნული და სამხედრო ამოცანები (მიზნები), ეროვნული პოლიტიკა და სამხედრო კონცეფციები (ხერხი) ეროვნული რესურსები, სამხედრო ძალები და მომარაგება (საშუალება)". ეს არის წმინდა სახით "როგორც" განსაზღვრება, უკეთეს შემთხვევაში კი კავშირის განსაზღვრა ამოცანასა და მეთოდს (ხერხი) შორის, მეთოდზე აქცენტირებით. განმარტება არ განიხილავს საშუალებების განვითარების აუცილებლობას და ასვე არ განიხილავს სამხედრო ამოცანების განვითარების აუცილებლობას ეროვნული მიზნების მისაღწევად. ტერმინის შემდგომი ენციკლოპედიური განმარტება გადადის ეროვნული სამხედრო სტრატეგიის ფორმალურ დოკუმენტში. (United States Department of Defense, *The Joint Staff, Joint Publication 1-02, DOD Dictionary of Military and Associated Terms*, hereafter Joint Pub 1-02, available from www.dtic.mil/doctrine/jel/new_pubs/jp1_02.pdf, 507, 357; United States Department of Defense, *The Joint Staff, Joint Doctrine Encyclopedia*, available from www.dtic.mil/doctrine/joint_military_encyclopedia/htm, pp. 731, 542).


აშშ-ის ომის კოლეჯი სტრატეგიას ორგვარად განსაზღვრავს: "კონცეპტუალურად ჩვენ განვისაზღვრავთ სტრატეგიას, როგორც ურთიერთობებს მიზნებს, ხერხებს და საშუალებებს შორის." ალტერნატიულად, "ფართო მნიშვნელობით, სტრატეგიული ხელოვნება არის მიზნების, ხერხების და საშუალებების გონიორული ჩამოყალიბება, მათი კოორდინაცია და გამოყენება." მეორე განმარტება ნამდვილად ახლოს დგას დიდი სტრატეგიული ხელოვნების განსაზღვრებასთან, მაგრამ თუ მას ჩამოვაცილებთ სიტყვას "საშუალების"

შემდეგ ის იქნება ისეთივე, როგორც პირველი განსაზღვრება (Robert H. Dorff, "A Primer in Strategy Development" in *U.S. Army War College Guide to Strategy*, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 11; Richard A. Chilcoat, "Strategic Art: The New Discipline for 21st Century Strategists" in *U.S. Army War College Guide to Strategy*, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 205).

სტრატეგია ძირითადად სკოლს სამ კითხვას. რისი გაკეთება მინდა? რა მაქვს ან რისი მიღწეუა შემიძლია ამის გასაკეთებლად, რა არის საუკეთესო საშუალება ამისათვის რისი გაკეთებაც მინდა? შესაბამისად, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ომის კოლეჯის განმარტებას, რომ სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთობა მიზანს, ხერხსა და საშუალებებს შორის. ურთიერთობები ამ მოცემულობებს შორის არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სტრატეგიამ სამივე მოცემულობა უნდა განიხილოს. სტრატეგია პრობლემის გადაჭრის პრიცესია. მაგალითად: მიზანი, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ცვლადებისაგან და მომდინარეობს სხვადასხვა პროცესებიდან, აყალიბებს სტრატეგიის საწყისს ბაზას. როცა ვესურს ამ მიზნის მიღწევა, მაშინ ვიწყებთ აუცილებელი საშუალებების განსაზღვრას სტრატეგიული ხელოვნების ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდის გამოცდით – ძალათა დაგეგმვითა და განვითარებით. თუ უკვე ცნობილია მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები, მაშინ ვირჩევთ მიღწევის შესაძლო გზას. საშედროები ხშირად ამგვარად აღწერენ სტრატეგიას-ურთიერთობას მიზანსა და საშუალებებს შორის და განსაზღვრებით უთანაბრებენ სტრატეგიას ხერხთან ან სულ ცოტა, გადაჰყავთ სტრატეგია გზის (ხერხის) განსაზღვრაში. ეს იყო ტრადიციული მიდგომა ისეთი კლისკოსებისთვის, როგორებიც არიან ქომინი და ლიდელ ჰარტი, რომელიც ზედმეტი ყოყალის გარეშე განიხილავდნენ სტრატეგიას როგორც ხერხს.

როგორც უკვე ითქვა, სტრატეგია ხელოვნებაა და მისი შემუშავება კი - მცნიერება. ამდენად იგი მოითხოვს გარკვეული პრიცეპების დაცვას, ტერმინების გაგებას დისციპლინირებულ, მაგრამ შემოქმედებით მიდგომას ანალიზისა და აზროვნების დროს. სტრატეგიის ჩამოყალიბება ვითარდება გარკვეულ დროსა და სივრცეში ადამიანების მიერ. ზოგადი მითითებები, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ სტრატეგიის ჩამოყალიბების დროს არ არის მცაცრად დადგენილი მათემატიკური ფორმულები. მიუხედავად ამისა, მითითებები გვთავაზობენ მიდგომას სტრატეგიის სირთულეების გადასაწყვეტად და განსაზღვრულია სტრატეგიისთვის, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ სტრატეგიის ერთიანობას, უწყვეტობას და შეთანხმებას, რომელსაც თავის მხრივ ეწევიან პოლიტიკოსები ეროვნული უსაფრთხოებისა და სამხედრო სტრატეგიის შემუშავების, განვითარებისა და აღსრულების დროს. აქვე განსჯისთვის გთავაზობთ მირითადში ცნობილი სტრატეგიის ჩამოყალიბების შემდეგ ნიმუშს:

საერთაშორისო გარემოცემა (ტექნიკური და მოჭმული ძალები)
ქალაოცემი და მცენობრები
მოპატრე დირექტულები
გლობალურად განვითარება
ეკონომიკური პირობები
საერთაშორისო სამართლები
საერთაშორისო ორგანიზაციები
არასახლმწიფო მოთამაშებები
საერთო ხელში: ნეტურებრივი და ტრანსისაქციონალური მასიური განადგურების ინსტრუმენტები



საშინაო გარემოცემა
მოურიგებატება
პარლამენტი
ეკონომიკური მდგრადი გერმანია
აღმასრულებელი ხელისუფლება
ინტერესების ჯგუფები
სასამართლო ხელისუფლება
მედია
საზოგადოებრივი აზრი
სამრებლივო სისტემა
სოციალური გარემოცემა

ეროვნული მიზნები

ეროვნული მიზნები მთელი პროცესის საწყისი წერტილია. მუდმივი ღირებულებები და შეხედულებები, რომლებიც ეროვნული მიზნების ნაწილია, წარმოადგენს სამართლებრივ, ფილოსოფიურ და მორალურ საფუძველს სისტემის შემუშავებისთვის. ეროვნული მიზნების თვალსაზრისით – ქვეყნის შიდა და საგარეო საჭიროებების გათვალისწინებით – ერები აყალიბებნ მუდმივომრმედ ეროვნულ ინტერესებს. სტრატეგი კი პერიოდულად უნდა განიხილავდეს ამ საკითხებს სტრატეგიის ჩამოყალიბების სხვადასხვა დონეზე, რისკების და შეფასების გათვალისწინებით.

ეროვნული ინტერესები

ყველა ერისთვის, ზოგადად არსებობს ოთხი საკითხი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ეროვნული ინტერესები: ფიზიკური უსაფრთხოება – როგორც ეროვნულ ტერიტორიაზე და ერზე თავდასხმისგან თავდაცვა, ეროვნული

ლირებულებების განმტკიცება, სტაბილური საერთამორსო გარემო და ეკონომიკური კეთილდღეობა. ეს ინტერესები გახდება ეროვნული სტრატეგიის საფუძველი, კერძოდ ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური აღორმინების განვითარება და ეროვნული ღირებულებების განმტკიცება. მთავრობები, ძირითადად მოძრაობები ამ ინტერესების ფარგლებში, თუმცა, შიდა ან საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს პრიორიტეტების გამოყოფა და მასზე კონცენტრაცია. მაგალითად, თუ კარტერს ადმინისტრაციისათვის პრიორიტეტი იყო ადამიანის უფლებები, რეიგანის ადმინისტრაციისათვის პრიორიტეტი გახდა ეროვნული უსაფრთხოება, კლინტონის ადმინისტრაციამ კი უპირატესობა მიანიჭა ეკონომიკურ აღორმინებას; ზოგადად, უპირატესობა უსაფრთხოებას ენიჭება. თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ბევრია არასახელმწიფო მოთამაშე, რომელთაც გააჩნიათ წვდომის სურვილი მასობრივი განადგურების იარაღზე. ასეთ პირობებში ფიზიკური უსაფრთხოება მოითხოვს ძალისხმევას დემოკრატიული ღირებულებების გამტკიცებისა და გლობალური ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ეროვნული სტრატეგია

ეროვნული ინტერესები, ეროვნული სტრატეგიის დონეზე, ეფუძნება ეროვნული მთავრობების სტრატეგიულ ხედვას საკუთარი ერის ადგილზე მსოფლიოში და ქვეყნის შიდა თანხმობას აღნიშნული სტრატეგიული ხედვის განხორციელების საქმეში.

ეროვნული სტრატეგიის საშუალებებია ეროვნული ძალაუფლების სხვადასხვა სახელობის შესწავლა. საშინაო და საგარეო გარემოება, ისევე, როგორც მთავრობის სტრატეგიული ხედვა წარმოადგენს მთავარ პირობას ეროვნული ძალაუფლების გამოყენებისათვის ეროვნული ინტერესების მიღწევის საქმეში.

პოლიტიკა

ეროვნული სტრატეგიის დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით მთავრობები აყალიბებუნ ეროვნულ პოლიტიკას მისი ფართო მნიშვნელობით, სადაც განსაზღვრავთ ქვეყნის ადგილს მსოფლიოსა და რეგიონში ეროვნული ინტერესების თანახმად. პოლიტიკა ამოსავალი წერტილია სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად ეროვნულ დონეზე. იგი გაცხადებულია სხვადასხვა სახის და დონის ეროვნულ დოკუმენტებში, იქნება ეს ეროვნული სტრატეგია, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თუ ეროვნული სამხედრო სტრატეგია. შესაძებელია არსებობდეს მისი გამოვლინების სხვა ფორმებიც ჩამოყალიბებული შესაბამის კონცეფციებში.

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები საქართველოში

ჩვენთან სახელმწიფო სტრატეგიული დაგეგმვა შესაბამის კანონს ეყრდნობა. ეს დოკუმენტია "კანონი თავდაცვის დაგეგმვის შესახებ", (www.nsc.mod.gov.ge. საქართველოს კანონი-, „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“), რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის აპრილში მიიღო. კანონი ადგენს თავდაცვის დაგეგმვის ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს ქმედითი თავდაცვისთვის აუცილებელი სტრატეგიული დაგეგმვის მოთხოვნების ჩამოყალიბება და პასუხისმგებლობების განაწილება ეროვნული ხელისუფლების სხვადასხვა, მონაწილე სახელობს შორის.

ყველა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას თავდაცვის სამინისტრო უწყებათაშორის დონეზე ხელმძღვანელობს თავდაცვის დაგეგმვის შესახებ არესტული კანონით. კერძოდ, კანონი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს შიდა და სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომელთაც თავდაცვის დაგეგმვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. (mod.gov.ge. თავდაცვის სამინისტროს კერძო დოკუმენტების პოლიტიკა - სტრატეგიული და თავდაცვის სამინისტროს დაგეგმვის დოკუმენტები) ეს დოკუმენტებია:

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
- ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

თავდაცვის სამინისტროს დაგეგმვის დოკუმენტები:

- მინისტრის ხედვა;
- თავდაცვის განვითარების პროგრამები;
- წლიური პროგრამები;
- ოპერატორის გეგმები, კონცეფციები და დოქტრინები.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პირველად 2005 წელს დამტკიცდა პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ. ის განსაზღვრავს ეროვნულ ღირებულებებს და ინტერესებს, საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს; ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მირითად მიმართულებებს; განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს.

საფრთხეების შეფასების დოკუმენტი

ეს დოკუმენტი აფასებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, ადგენს საფრთხეების წარმოშობის აღმათობის დონეებს და განსაზღვრავს საშინაო და საგარეო საფრთხეებიდან გამომდინარე შესაძლო შედეგების ხარისხს. დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ სხვადასხვა სახის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და საინფორმაციო საფრთხეებს. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი მოიცავს იმ დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება შეიარაღებული ძალების სტრუქტურის მოვლე და გრძელვადიან შემუშავებას.

ეროვნული სამხედრო სტრატეგია

2005 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს პირველი სამხედრო სტრატეგია. ის მხარს უჭირს და ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, განსაზღვრავს სამხედრო მიზნებს, ამოცანებსა და მოთხოვნებს, აგრეთვე, საქმიანობის სფეროებს და უზრუნველყოფს ოპერატორი დაგეგმვის ხელმძღვანელობას. სტრატეგია ადგენს შეიარაღებული ძალების სტრუქტურას და განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს. ის ასევე განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის ძირითად პრინციპებს და სამხედრო მიზნებს.

თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დოკუმენტები:

მინისტრის ხედვა (მიზნები და ამოცანები)

მინისტრის ხედვა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს თავდაცვის დაგეგმვის ყველა დოკუმენტის განვითარების პროცესში. ის ადგენს ყოველწლიურ მიზნებსა და ამოცანებს თავდაცვის სამინისტროში განსახორციელებელი მოქმედებისათვის. ეს მიზნები, ისევე, როგორც თავად ხედვა, გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და ეროვნული სამხედრო სტრატეგიიდან და ქმნის თავდაცვის დაგეგმისათვის საჭირო მიდგომებს.

თავდაცვის განვითარების პროგრამები (საშუალებები, რესურსები)

თავდაცვის დაგეგმვის შესახებ კანონის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო გამოსცემს თავდაცვის დაგაერთიანებისთვის აუცილებელ შიდა პოლიტიკასა და პროცედურებს. დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა მოიცავს სახსრების (რესურსების) განაწილების ფართო სპექტრს. სამივე ფაზას ერთმანეთთან აკაშშირებს ყოველწლიური "თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო". დოკუმენტი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებს რესურსების განაწილებისათვის, აწესრიგებს ნაკლოვანებების შეფასებას და უზრუნველყოფს რესურსების დაგეგმვის უწყვეტობას. სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს თავდაცვის მოვლე (2 წლიანი

პერიოდი) და საშუალოვადიანი (4-5 წლიანი პერიოდი) დაგეგმვის სისტემის დამკიდრებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, რათა უზრუნველყოს სტრატეგიულ დონეზე რესურსების მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის განვითარება.

ყოველწლიური პროგრამები (რესურსების განაწილება)

ყოველწლიური პროგრამები თავდაცვის ბიუჯეტის შექმნის საფუძველია. იგი მტკიცდება თავდაცვის მინისტრის მიერ და შესათანასმებლად წარედგინება ფინანსთა სამინისტროს. პროგრამები ითვალისწინებს მომავალი წლის ბიუჯეტის შედეგნისათვის აუცილებელ გეგმებს. ეს გეგმები ასახავს ძირითადი პროგრამის რესურსების განაწილებას თითოეული პროგრამის ფარგლებში.

ოპერატორული გეგმები, კონცეფციები და დოქტრინები (მიღწევის გზები და ხერხები)

დოქტრინები გამომდინარეობს ეროვნული სამხედრო სტრატეგიიდან და წარმოადგენს სამხედრო ძალების მოქმედების ფუძემდებლური პრინციპების გამოხატულებას, რომლითაც სამხედროები ხელმძღვანელობენ დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. დოქტრინები, თავის მხრივ წარმოადგენს საფუძველს ოპერატორული დაგეგმვის პროცესისათვის, რომლის შედეგია ოპერატორული გეგმები, სადაც გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების გამოყენება ომის, კონფლიქტის ან საგანგებო, ბუნებრივი კატასტროფების დროს. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფს ყოველდღიური დაგეგმვის უწყვეტობას და სამხედრო მოქმედებების მართვის, კონტროლისა და კოორდინირების შიდა ინსტიტუციური საშუალებებია.

ლიტერატურა

1. www.nsc.mod.gov.ge. საქართველოს კანონი – „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“
2. იქვე, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და სხვა სტრატეგიული და უწყებრივი დოკუმენტები.
3. საქართველოს კანონი - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კორდინაციის წესის შესახებ. თბ. 2015.
4. ალექსანდრე მჭედლიშვილი, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნის პრინციპები. ქ. „სტრატეგიული კლევა“ N 2, თბ. 2009.

5. გიორგი გოგაშვილი, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა. ქ. „სტრატეგიული კვლევა“ N 2, თბ. 2009.
6. Carl von Clausewitz, *On War*, Michael Howard and Peter Paret, eds./trans., Princeton, NJ: Princeton University Press, 1976, p. 177
7. Antoine Henri Baron de Jomini, *The Art of War*, G. H. Mendell and W. P. Craighill, trans., 1862, reprint, The West Point Military Library Series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1971, p. 62
8. (Henry Lee Scott, *Military Dictionary: Comprising Technical Definitions; Information on Raising and Keeping Troops; Actual Service, including Makeshifts and Improved Materiel; and Law, Government, Regulation, and Administration Relating to Land Forces*, 1861, reprint, The West Point Military Library series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1968, p. 574.
9. Basil H. Liddell Hart, *Strategy*, 2nd Edition, 1954, reprint, New York: Frederick A. Praeger, 1967, p. 335
10. Collin S. Gray, *Modern Strategy*, New York: Oxford University Press, 1999, p. 17
11. United States Department of Defense, The Joint Staff, *Joint Publication 1-02, DOD Dictionary of Military and Associated Terms*, hereafter Joint Pub 1-02, available from www.dtic.mil/doctrine/jel/new_pubs/jp1_02.pdf, 507, 357; United States Department of Defense, The Joint Staff, *Joint Doctrine Encyclopedia*, available from www.dtic.mil/doctrine/joint_military_encyclopedia/htm, pp. 731, 542
12. Robert H. Dorff, "A Primer in Strategy Development" in *U.S. Army War College Guide to Strategy*, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 11; Richard A. Chilcoat, "Strategic Art: The New Discipline for 21st Century Strategists" in *U.S. Army War College Guide to Strategy*, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 205

მანუჩარ შიშინაშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ასისტენტი პროფესორი
m.shishinashvili@gmail.com

ფრეზირებული მასალისა და ბიტუმის ემულსიის გამოყენების ეფექტურობა საგზაო მშენებლობაში

რეზიუმე. ნაშრომში განხილულია ძეველი ასფალტობეტონის მეროვადი გამოყენების პერსპექტივები. ფრეზირების შედეგდ მიღებული მასალის გამოყენების ეფექტური მეთოდები. რეგენერაციის მეთოდით მიღებული მასალით დამზადებული ნარევი იძლევა საშუალებას მოხდეს ინერტული მასალისა და საგზაო სამშენებლო მიტუმის უზონობა.

ნაშრომში ასევე განხილულია საგზაო მშენებლობაში გამოყენებად მიტუმის ემულსიები. ამ სახის შემკვრელის გამოყენების დროს მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით მიტუმის ემულსია მკვრად კონკრეტური და უსაფრთხოა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საგზაო მშენებლობაში ტექნოლოგიურ პროცესებს.

Manuchar Shishinashvili
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Assistant Profesor

Efficiency use of mild materials and bitumen emulsion in road construction

Abstract. The paper deals how to use the old asphalt. Milling material obtained as a result of the use of cost-effective methods. The regeneration method of the material made of a mixture of inert materials and road construction bitumen to allow savings.

The paper also discusses the use of bitumen emulsions in road construction. This kind of binder for use at a number of factors, the bitumen emulsion is much economical and safe, which greatly simplifies the construction of the road engineering processes.

საავტომობილო გზების მშენებლობის მირითად სამშენებლო მასალად ითვლება ასფალტეტონი და სხვა ბიტუმ-მინერალური ნარევები. ასფალტბეტონის საფარის მშენებლობის და ექსპლუატაციის მრავალწლიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს

დაზიანებულ ფენაზე ასფალტბეტონის და სხვა ბიტუმ-მინერალური მასალის ახალი ფენების დამატება მომცელდა და ითხოვს მოდერნიზაციას. შესაბამისად აუცილებელია დზიანებული ფენების მოხსნა საგზაო საფარიდან. რამდენადც ასფალტბეტონის ნარევი ექვემდებარება გადამუშავებას, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ძველი ასფალტბეტონისა და სხვა ბიტუმ-მინერალური მასალების მეორადი გამოყენება.

ძველი ასფალტბეტონის მეორადი გამოყენების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მისი განსაზღვრული რაოდენობით გამოყენება ახალი ნარევის დამზადებისას. მნიშვნელოვანია დადგინდეს ოპტიმალური პროცენტული თანაფარდობა ახალი ნარევის დასამზადებლად საჭირო მასალებსა და დამატებულ ძველ ასფალტბეტონს შორის. ამისათვის საჭიროა ლაბორატორიული ცდების ჩატარება, რათა განვასზღვროთ ძველი ასფალტბეტონის შემადგენლობა და მივიღოთ საბოლოო ოპტიმალური გადაწყვეტილება თანაფარდობის დასასდგენად.

ჩვენს მიერ აღნიშნული ოპტიმალური თანაფარდობის დასადგენად ჩატარებულ ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების ანალიზი. ძველი ასფალტბეტონის სახით ამ შემთხვევაში აღებულ იქნა ცივი მეთოდით ასფალტობეტონის ფრეზირების შედეგად მიღებული მასალა. ამ მასალის მიღება ხდება სპეციალური მექანიზმის საშუალებით, რომელიც ცივი მეთოდით ახდენს ადგილზე ფრეზილის გაფხვირებას განსაზღვრულ სიღრმემდე და კონვერის საშუალებით მიაწვდის თვითმცლელს. ხოლო თვითმცლელზე მოხვედრილი უკვე დაქუცმაცებული მასალა ტრანსპორტირდება ქარხანაში.

მას შემდეგ რაც ფრეზირებული მასალა მოხვდება ასფალტობეტონის დამამზადებელი ქარხნის ბაზაზე, ხდება მასალის შემადგენლობაში ტენიანობის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საშრობი დოლურას მეშვეობით მისი გამოშრობა, ხოლო შემდეგ მისი გამოყენება ახალი ნარვის დასამზადებლად.

ძველი ასფალტბეტონი გამოყენებული უნდა იყოს იმ პრინციპით, რომ დამზადებული ასფალტობეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აკმაყოფილებდეს სტანდარტების მოთხოვნებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძველი მასალის ხელმეორედ გამოყენება ამცირებს გარემოს დაზიანებებას. რადგანაც ძველი ამორტიზირებული ასფალტობეტონის ნატეხების გადაყრა დიდ ზიანს აყინებს ეკოლოგიას, შესაბამისად მისი უტილიზაცია დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასევე მცირდება ინერტული მასალის მოპოვება მდინარეებიდან, რის გამოც ინახება და აღარ ზიანდება მდინარეების კალაპოტები და კლდოვანი ქანები.

ფინანსური მაჩვნებელი და ეფექტური კი პირდაპირაა მიბმული მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასთან და ინერტული მასალის მოპოვებასთან. იმ

შრომები N1(2)

შემთხვევაში თუ ჩვენ გამოვიყენებთ ძველი ასფალტობეტონს, ახალი ნარევის დამზადებისას მცირდება როგორც ენერგო დანახარჯების ასევე ბიტუმისა და ინერტული მასალის მოხმარებაც, რაც პირდაპირ აისახება ნარევის თვითდირებულებაზე.

საგზაო – სამშენებლო კომპლექსში, საფუძვლისა და ფენილის მოწყობისას ბიტუმი არის ძირითადი შემკვრელი სამშენებლო მასალა. ყველა საგზაო ტექნიკური ითვალისწინებს ბიტუმის გამოყენებას თხევად მდგომარეობაში.

არსებობს ბიტუმის გათხევადობის სამი ხერხი:

1. ყველაზე გავრცელებული – ბიტუმის გაცხელება 100-200°C ტემპერატურაზე, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ენერგოდანახარჯებს. (ბიტუმის სიმტკიცის მაჩვენებელი მიიღწევა მისი, როგორც შემკვრელის გაციების შემდეგ).

2. ბიტუმის გახსნა ნავთობპროდუქტებში (ნავთი, ბენზინი) – ამ დროს მასალის სიმტკიცის მაჩვენებლი მიიღწევა გამხსნელის (ნავთი, ბენზინი) აორთქლების ხარჯზე, რაც მოითხოვს დიდ დროს (რამდენიმე კვირა).

3. ბიტუმის ემულსია. ეს არის ბიტუმისა და წყლის დისპერსია. ამ დროს მასალის მაჩვენებელი მიიღწევა ემულსიდან წყლის აორთქლების ხარჯზე. წყლის აორთქლების შედეგად, ბიტუმი რჩება მასალის მინერალურ ზედაპირზე აპკის სახით.

ემულსია არის მიკროსკოპული ნაწილაკების დისპერსია ერთი სითხის მეორე სითხესთან, როგორც წესი ემულსის შემადგენლობის ერთი ფაზა არის წყალი. “ზეთი წყალში” (ზ/ზ) ტიპის ემულსიაში უწყვეტი ფაზა არის წყალი, ხოლო დისპერსიული ფაზა არის წყალში უხსნადი ზეთისებრი სითხე. “წყალი ზეთში” (წ/ზ) ტიპის ემულსიაში კი, უწყვეტი ფაზა არის ზეთი, ხოლო დისპერსიული ფაზა კი წყალი. ემულსიას შეიძლება ჰქონდეს ორზე მეტი ფაზა. ასეთ ემულსიებში დისპერსირებული ნაწილაკები, თვითონ შეიცავენ კიდევ უფრო უწვრილეს, მესამე ფაზის ნაწილაკებს (ეს არის იგივე სითხე რომელიც შედის უწყვეტ ფაზაში).

ემულსია რომელიც მიიღება ზეთისა და წყლის შერევით, პროცესის შეჩრებისთანავე განმხოლოვდება. ნარევის სტაბილიზაციისთვის ემულსიაში შეაქვთ მესამე კომპონენტი (ემულგატორი), რომელიც წყვეტს ან აჩერებს ფაზების განცალკევებას.

ბიტუმის ემულსია – ესაა ბიტუმისა და წყლის დისპერსია. იმისთვის, რომ ამ ორი ურთიერთშეურევადი კომპონენტის სისტემა იყოს მყარი, საჭიროა მესამე კომპონენტი, ემულგატორი. ემულგატორი – ესაა ზედაპირულად აქტიური ნივთიერება, რომლის იონიზირებული მოლეკულები შედეგება კათიონური და ანიონური ფუნქციონალური ჯგუფისა და ჰიდროფიზიული ლიმოფიზიური “კულისაგან”, რაც წარმოადგენს გრძელ ნახშირწყალბადის ჯაჭვს. ემულგატორის იონის მოლეკულები არიან ბიტუმის ზედაპირზე ჰიდროფიზიული ლიფონური

“კუდებით” შიგნიდან, ხოლო ჰიდროფობული იონები კი გარედან. ეს ქმნის ელექტრონულ და სივრცით ურთიერთშეჯერების ელექტრონულ ბარიერს წვეთებს შრომის, რაც თავისთვად აფერხებს წვეთების დახლოებას და მათ ურთიერთგავლენას. წყალში შერეული ბიტუმის ზომებია 1მმ-დან 6მმ-მდე. ემულსია შეიცავს 40-80% ბიტუმს, ვიზუალურად ბიტუმის ემულსია არის ერთგვაროვანი მუქიყავისფერი სითხე, ზედაპირზე დატანისას ემულსია იცვლის ფერს და ხდება შავი.

საგზაო ტექნოლოგიები, რომლებშიც გამოიყენება ბიტუმის ემულსია:

- საგზაო სამოსის ზედაპირული დამუშავება
- საფუძვლისა და ფენილის ზედაპირის დაგრუნტვა.
- გრუნტისა და ქვიშა-ხრეშის დამუშავება
- ასფალტობეტონის დამცავი ფრინის მოწყობა
- ცივი ასფალტობეტონის ნარევების მომზადება
- ემულსიურ მინერალური ნარევების მომზადება დასაწყობება, ორმული ცივი შეკეთებისთვის.
- ცივი ნარევების მომზადება ძველი ასფალტობეტონისაგან (ცივი რესინგლირება)

უპირატესობანი, რომელიც გააჩნია ბიტუმის ემულსიას ცხელ ბიტუმთან შედარებით.

- გამოყენების წინა არ მოითხოვს გაცხელებას, რაც მნიშვნელოვნად
- ამცირებს ენერგო (25-40%) და შრომით დანახარჯებს
- ამცირებს ბიტუმის ხარჯს 30%-მდე.
- შეიძლება სველი მყარი ქვა მასალის დამუშავება, რასაც უზრუნველყოფს ემულსიამ წყლის არსებობა. ამიტომ შესაძლებელია, მისი გამოყენება სველ საგზაო ფენილზე მუშაობისას.

➤ შესაძლებელია, საგზაო სამუშაოების წარმოება ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე. დაბალი ტემპერატურისას (+50°C) ემულგატორის ხარჯზე ხდება უკეთესი შეჭიდება მინერალურ მასალასთან.

➤ უზრუნველყოფს დასაწყობებულ ემულსიურ მინერალურ ნარევების ხანგრძლივად (6 თვემდე) შენახვას.

➤ გამორიცხავს მომსახურე პერსონალის დაზიანებას, უზრუნველყოფს უსაფრთხო მუშაობას.

- არა ცეცხლსაშიშია, რადგან ემულსიის შემადგენლობაში შედის წყალი.
- ატმოსფეროში გამოყოფს გაცილებით მცირე რაოდენობის მავნე ნივთიერებებს, ვიდრე ცხელი ბიტუმი.

ემულსია მზადდება სამ კატეგორიად: კათიონური, ანიონური და ნეიტრალური. საგზაო მშენებლობაში გამოიყენება პირველი და მეორე კატეგორიის ემულსიები. ტერმინები “კათიონური” და “ანიონური” მიეკუთვნება

ემულგატორის მუხტს, რომელიც გარს ეკვრის ბიტუმის წვეთებს და აფერხებს მათ შერწყმას. კათიონური ემულსია ხასიათდება ბიტუმის წვეთის ზედაპირის დადებითი მუხტით, ანიონური კი უარყოფითით. რადგანაც ერთნიშნიანი, ელექტრონული მუხტები განიზიდებან ბიტუმის წვეთები არ ერთდება. ამავე მიზეზის გამო ანიონური ემულსია ეფექტურია ისეთი მასალების დამუშავებისათვის, რომლის ზედაპირი დამუხტულია დადებითად, ხოლო კათიონური - რომლის ზედაპირი დამუხტულია უარყოფითად.

ანიონური ბიტუმის ემულსია - ერევა მხოლოდ თიხოვან ბუნებრივ მასალებს. ურთიერთქმედება ხდება ელექტროსტატიკური მიზიდულობის ხარჯზე. უარყოფითად დამუხტული ბიტუმის წვეთისა და დადებითად დამუხტული ქვა მასალის შორის, ანუ ხდება ფიზიკური ადსოფცია, მაგრამ ამ დროს ემულსიდან გამოყოფილი შემკვრელის შეჭიდულობა, ქვის მაგარ მასალათან არ არის საკმაოდ მტკიცე.

კათიონური ბიტუმის ემულსია - უნივერსალურად ერევა როგორც მინერალურ მქავე მასალებს ასევე თიხოვან ბუნებრივ მასალებს. მისი ურთიერთქმედება დამყარებულია როგორც ფიზიკურ ადსორფაციაზე ასევე ქიმიური რეაქცის შედევრადობაზე. წყლის შემადგნოლობაში შემავალ გაუხსნად ნივთიერებებში, ამ დროს ბიტუმის შემკვრელის შეჭიდება ქვის მასალაზე არის საკმაოდ მტკიცე. უნივერსალობისა და კარგი ადგეზიის უნარის გამო კათიონური ემულსიები ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში.

მინერალურ მასალებთან შერევის (განბნევის სიჩქარე) მიხედვით ემულსია იყოფა სამ კლასად:

1. სწრაფად განბნევადი ემულსია - არ ერევა ფოროვან და მკვრივ მარცვლოვან შემადგნოლობას, ხოლო სხვა მინერალურ მასალათა ურთიერთქმედებისას ის აქტიურია და შერევას იწყებს 10-30 წუთის შემდეგ, ქვა მასალის ზედაპირზე შეხებისას ეს ტექნოლოგია, ძირითადად გამოიყენება მისი მექანიკური მოსხმით შესაკრავ მასალაზე. მაგალითად, ზედაპირულ დამუშავებისას, დაგრუნტვისას, ორმოული შეკეთებისას და სხვა.

2. საშუალოდ განბნევადი ემულსია - ერევა ფოროვან მასალას და არ ერევა მკვრივი მარცვლოვანი შემადგნოლობის მასალას. ასეთი ემულსიები საშუალოდ ატიურები არიან და შერევას იწყებს 30-60 წუთის შემდეგ მასალის ზედაპირზე შეხებიდან ეს ემულსიები გამოიყენება ძირითადა ცხელი ფენების მოსაწყობად, შავი ღორღის მოსამზადებლად, გაჟღენთვისას, დაგრუნტვისას, ორმოების შეკეთებისას ინექციური მეთოდით და ცივი რესინკლირებისას.

3. ნელა განბნევადი ემულსია - ერევა ყველა სახის მარცვლოვან მასალას, ფოროვანს, მკვრივს და ა.შ. ასეთი ემულსიები ურთიერთქმედებენ მასალასთან მცირე აქტივობით, მათი განბნევა ძირითადად დამყარებულია, ემულსიაში შემავალი წყლის აორთქლებაზე. გამოიყენება: მკვრივი ემულსიურ-მინერალურ

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შრომები N1(2)

ნარევებისთვის, ცივი ასფალტობეტონისთვის, ასფალტობეტონის
რეგერენაციისთვის და სხვა.

ლიტერატურა:

1. Бахрах Г.С. - Свойства асфальтогранулобетона (АГБ) - продукта холодной регенерации дорожных одежд с асфальтобетонным покрытием - Москва, 1999, 28 с.
2. Пахомов В.А. - Исследование прочности асфальтобетона, регенерированного холодным способом - Москва, 2002, 8 - 18 с.
3. ГОСТ 9128-84 - Смеси асфальтобетонные дорожные, аэродромные и асфальтобетон. Технические условия
4. Bitumen Emulsions. SFERB, Paris 1991 English Version Published by Colas, France
5. The Evaporation Filtration Test for Emulsion Inversion, Jean-Luc Mar-chal, ASTM Symposium on Asphalt Emulsions 1988, Phoenix, Arizona, USA

ნელი ჭამპურიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
nelichampuridze@gmail.com

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ძირითადი ასპექტები

რეზიუმე. ჩვენი კვლევები ჩატარდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებზე. ჩაღმავებული ინტერვიუსა და დაკვირვების საფუძველზე გამოყიდვლით მასმენელების ინტერვულტურული საზრიანობის დონე გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ორი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი ერთ აკადემიურ გარემოში ყოფნის დროს უფრო მეტ ინტერსესს იჩენს სხვა ეთნოჯგუფისადმი. ქართული ენის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ერთიან აკადემიურ სივრცეში განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან (სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მსმენელები) ხელს უწყობს ინტერკულტურული ცოდნის, მგრძნობელობისა და ინტერკულტურული საზრიანობის უნარების გამომუშავებას. ერთიან აკადემიურ სივრცეში განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები შეძლებენ იყვნენ უფრო გახსნილები და მიმღებები იყვნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურისა და ტრადიციების მიმართ. სწავლების სპეციფიკური ფორმატი დაგვეხმარება გადავჭრათ ისეთი ძირითადი ამოცანები, როგორიცაა: დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პინკიპების დანერგვა, სამოქალაქო ინტეგრაცია და ტოლერანტური ცნობიერების ჩამოყალიბება.

Neli Wampuridze
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Main aspects to Implement Georgian Language Education training Programme

Abstract. It is now evident, that the teaching of the Georgian language to ethnic minorities should be carried out in the integrated academic environment, using correctly selected multilingual teaching programmes and proper strategies in order to achieve intercultural communication. This would be very beneficial for the ethnic minorities in Georgia to get fully integrated with the local society. The programme will contribute to intercultural knowledge, sensitivity and acquiring intercultural intelligence generally. The research scope involves four

components here: informational abilities, expressing their own individuality, flexibility in actions and interacting management. The ethnic groups will have opportunities to be more extrovert and apt to accept different ethnic cultures and traditions. The above mentioned teaching pattern will enable us to speak about peace-building not only inside the country, but also throughout the region. Peace is the constant movement process and that's why it needs to be developed in the constant, dynamic and democratic way. As far as modern culture is focused on developing dynamic, open and creative abilities, The specific teaching framework (teaching different ethnic groups in one academic environment) will help us solve the fundamental problems, such as: - implementation of democratic and civil society principles, civil integration and development of loyal thinking

2008 წელს, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, შემუშავდა „მულტილინგვისტური განათლების გზით უცირესობათა ინტეგრაციის კონცეფცია და 2009-2014 წლების საოქმედო გეგმა“. სამუშაო გეგმის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მულტილინგვისტური განათლების პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა. ხდება სასწავლო შინაარსის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ხერხების, სწავლების მეთოდების გადასინჯვა. კერძოდ, ინერგება ინტერაქტიური სწავლებასწავლის მეთოდები, იქმნება შესაბამისი სასწავლო მასალები, მიმდინარეობს მასწავლებელთა თრინინგის პროგრამები, იხვეწება სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მართვის სისტემა და სხვა. გამოიკვეთა განათლების სისტემის პრიორიტეტები: სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემების გადაჭრის, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პინციპების დანერგვაზე. კრიტიკული აზროვნების გამომუშავებით შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადობას ფორმირება, აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის პიროვნების მომზადება, რომელსაც შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოიქმა, პრობლემების გამოკვეთა, მათი გადაწინ მრავალი საშუალების დანახვა, სტრატეგიების შერჩევა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა, და რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად დაუცხრომელი ქმედება მოეთხოვება.

სამოქმედო გეგმის მიმართულების ძირითადი ამოცანა:

- სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;

- საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა უმცირესობების მიერ სახელომწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვნ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, საჭიროა მათთვის ისეთი პროგრამების შეთავაზება, რომლიც ხელს შეუწყობს პირველ ეტაპზე მოტივიციის ამაღლებას და შემდგომ მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ, ეროვნულ უმცირებობათა წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაა.

ქართული ენის მომზადების პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება. ეს არის ეროვნულ და საკაცომრიო ღირებულებებთან ნაზარები, თავისუფალი პირველის აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წელილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, კერძოდ, მსმენელმა უნდა: აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია. შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი. ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება, კერძოდ პირველულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა. ამავე დროს, ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და მისი დაცვა მნიშვნელოვანია საერთო კულტურულ ცხოვრებაში მათი სრულყოფილი მონაწილეობის, ურთიერთნდობისა და სამოქალაქო ერთობის განცდის მისაღწევად. კანონი ზოგადი განათლების შესახებ უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ნეიტრალურობას და ხელს უწყობს არადისკრიმინაციას, შემწყნარებლობლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკიდრებას (მუხლი 13)4 ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CiDA) პროექტის – მულტიეთნიკური ნდობის მშენებლობის ქსელი – ფარგლებში 2011 წელს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რომ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ იცნობენ ერთმანეთის ტრადიციებს. კულტურული ასპექტი კი ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო გეგმის ეფექტურობისათვის ბილინგვაზულ სკოლებში.

თანამედროვე მეცნიერებაში გამოყოფენ პიროვნებისა და საზოგადოების ისეთ ფინანსურულ მახასიათებელს, როგორიცაა ინტერკულტურული ცნობიერება,

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია შრომები N1(2)

რომელიც სხვადასხვა კულტურათა ურთიერთობიმდებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვერების ფსიქოლოგიურ საფუძველს ქმნის (კუშნერი, მაკგულანდი, 2006; ტაბატაძე, ნაცვლიშვილი, 2008; წერეთელი, 2011). საქართველოში არსებული სოციალურპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ საზოგადოების ინტერკულტურული ცნობიერებისა და, კერძოდ კი, ინტერკულტურული მგრძნობელობის (სენსიტურობის) დონის ამღლებას სწორად შეჩერებული სასწავლო პროგრამებით.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ხორციელდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნულ პროგრამაზე ერთიან აკადემიურ სივრცეში სწავლობს აზერბაიჯანელი ეროვნებისა და ეთნიკურად სომები საქართველოს მოქალაქები. ისინი გადიან ერთიან ეროვნულ გამოცდებს და ქართულ ენაში ერთწლიანი მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ სწავლას გააგრძელებენ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში. ქართულ ენაში ერთწლიანი მოსამზადებელი კურსები ხორციელდება სახელმწიფოს დაფინანსების ხარჯზე, ამავე დროს თვდაცვის აკადემია მათ სთავაზობს უფასო მომსახურებას, სწავლების ისეთივე პირობებს, როგორსაც თითოეულ იუნკერს (უფასო კვება, საცხოვრებელი, სწავლისა და დასვნების კველა საჭირო პირობა). ბოლონიის კონვენციის შესაბამისად, სწავლება აკადემიაში ეფუძნება უწყვეტობის სისტემას, ჰუმანიზაციის კონცეფციას, სწავლისა და სწავლების მიმართ შემოქმედებით მიღებომას. ამასთან, აქტუალურობას არ კარგავს სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის ხელშემწყობი სათანადო რესურსების შექმნის საკითხი. პედაგოგს ეძლევა საშუალება დიფერენცირებულად და შემოქმედებითად მიუდგეს ამა თუ იმ კონკრეტულ სამუშაოს, დაამატოს აქტივობები, კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს სწავლების პროცესი.

ჩვენი კვლევები ჩატარდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებზე. ჩაღრმავებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვიკვლიეთ მათი ინტერკულტურული საზრიანობის დონე. გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ორ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი ერთ აკადემიურ გარემოში ყოფნის დროს უფო მეტ ინტერსეს იჩენს სხვა ეთნოჯგუფისადმი, მეტი ინტერესი უნდდებათ მათი კულტურისა და ისტორიის მიმართ. ეს დაინტერესება მათ საშუალებას აძლევთ იყვნენ უფრო გახსნილები და მიმღებები. მსმენელები ინტერესს გამოთქვავენ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. დაკარივებება აჩვენეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ინტერეს იჩენენ. როგორც ქართული, ასევე სომეური და აზერბაიჯანული ენის წარმოშობის ისტორიის შესახებ, ეთნოგრაფიის, ტადიციებისა და თვითთ რელიგიური აღმსარებლობის მიმართ. კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებს შორის არსებულმა „აღმოჩენებმა“

საშუალება მოგვცა უფრო ინტენსიური კომუნიკაცია შემდგარიყო ორი განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებს შორის.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში: ქართული ენის სამეტკველო ფუნქციები (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარავი), ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები. სწავლის მეთოდების (დისკუსია და დებატი) დროს აქტიურად გამოვიყენეთ საუბრები (ქართულ, აზრიაჯანულ და სომხურ) ლიტერატურაზე, ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფიაზე. რაც შეეხება რელიგიას, ძირითადად ყურადღება ჰუმანიზმის პრინციპებზე გამახვილდა. მსმენელები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს და სიამოგნებით ამყარებენ ერთომანეთიან კომუნიკაციას.

მსმენელთა შეფასების დროს (ინტერვიუ, დაკვირვება) ვიყენებდით ინტერკულტურული ცოდნის, საზრიანობისა და ინტერკულტურული მგრძნობელობის განზომილებების სხვადასხვა კომპონენტებს (საკუთარი თავის შეფასება, საკუთარი თავის მონიტორინგი, ემპათიურობა, ღიაობა, სხვისი განუსჯელობა და სოციალური რელაქსაცია.) აზროვნების განვითარების წარმატებაზე გავლენას მევრი ფაქტორი ახდენს: შესაფერისი სასწავლო პროგრამა, განათლების შინაარსი, დახვეწილი სახელმძღვანელოები, საწავლო გარემოცვა. ვფიქრობთ, სასწავლებელში არსებული სასწავლო გარემოცვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტერკულტურული კომუნიკაციის დასამყარებლად.

კულტურათაშორისი/ინტერკულტურულ კომუნიკაციას ვუწოდებთ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა უშუალო ურთიერთობას. მუდმივ კონტაქტში მყოფი განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვერების აუცილებელი წინაპირობა ინტერკულტურული დიალოგია. მისი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. 2006 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ შემდეგი დეფინიცია შემოგვთავაზა: ინტერკულტურული დიალოგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა და, ურთიერთპატივისცემაზე დაუუძნებულ გაცვლას. რასაც განსხვავებული მსოფლიმებელობისა და პრაქტიკის სიღრმისეულ გააზრებამდე მივყავართ. „იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ“ აღნიშვნულია. რომ კულტურულად „მრავალფეროვან საზოგადოებებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, ცვალებადი და დინამიური იდენტობების მქონე ხალხებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათი თანაცხოვერების უზრუნველყოფას“ (მუხლი 2).

ადამიანს, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური და ნაყოფიერი წვლილის შეტანა შეუძლია, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა, პრობლემების გამოკვეთა, მათი გადჭრის მრავალი საშუალების დანახვა, სტრატეგიების შერჩევა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა, და რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად დაუცხოობელი ქმედება მოეთხოვება. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების

საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, არამედ მათი ტრადიციების, ფასეულობების, ცხოვრების წესისა და ა.შ. შესწავლა, „მათ მიმრთ ფსიქოლოგიური მიმღებლობის განვითარება და ამ თვალსაზრისით სამოქალაქო ცნობიერების დონეზე ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების გააზრება.“ [2-46]

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის ხელისშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესმა დაწესებულებებმა განახორციელონ ერთიან აკადემიურ სივრცეში, სწორად შეჩერებული მულტილინგვისტური სწავლების პროცესისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენებით ინტერკულტურული კომუნიკაციის მიღწევის მიზნით. ქართული ენის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ერთიან აკადემიურ სივრცეში განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან (სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მსმენელები) ხელს უწყობს ინტერკულტურული ცოდნის, ინტერკულტურული მგრძნობელობისა და ინტერკულტურული საზრიანობის უნარების გამომუშავებას. ინტერკულტურული საზრიანობა არის ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციურობის ქცევითი განზომილება, რომელიც გულისხმობს ინდივიდის უნარს, მიაღწიოს კომუნიკაციას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. (1 - ი.გედევანიშვილი, მწერეთელი, მ.შურდაა, თბ.2011) ეს განზომილება მოიცავს ოთხ კომპონენტს: ინფორმაციულ უნარებს, საკუთარი თავის შესაბამის გამომედავნებას, ქცევით მოქნილობას და ინტერაქციის მართვას. ერთიან აკადემიურ სივრცეში განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები შესძლებენ იყვნენ უფრო გახსნილები და მიმღებები იყენენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურისა და ტრადიციების მიმართ. სწავლების აღნიშნული მოდელი საშულებას მოგვცემს ვისაზროთ შშვდებისმშენებლობაზე არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მთლიანდ რეგიონის მაშტაბით. შშვიდობა მუდმივი ქმედების პროცესია და ამიტომაც, იგი მოითხოვს ჩვენგან მუდმივ, დინამიურ განვითარებას დემოკრატიის კუთხით. რადგანაც, თანამედროვე კულტურა ორიენტირებულია დინამიურობაზე, ღიაობაზე, შემოქმედებაზე, კრიტიკული აზროვნება მიღებულია და წახალისდება. არავითარი ავტორიტეტი არაა აბსოლუტური. თვითდაჯერებულ მონოლოგზე გაცილებით მეტად ფასობს დისკუსია, დიალოგი. სხვა კულტურების დადებითი მონაპოვარი ადვილად შეითვისავსა და მოცემული კულტურის ნაწილად იქცევა. ითვლება, რომ მომავალი ცვლილებას ქვემდებარება და მასზე ზეგავლენა თითოეული ინდივიდის ძალისხმევას შეუძლია მოახდინოს. სწავლების სპეციფიკური ფორმატი დაგვეხმარება გადავჭრათ ისეთი ძირული ამოცანები, როგორიცაა:

- დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პინგიპების დანერგვა;
- სამოქალაქო ინტეგრაცია;

- ტოლერანტური ცნობიერების ჩამოყალიბება;

ამავე დროს, ინტერკულტურული კომუნიკაცია ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწრაფვას თვითრეალიზაციისა, დამოუკიდებელი მოღვაწეობისა და განვითარებისაკენ, მოქალაქეების მომზადებას ინკლუზიურ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის.

ლიტერატურა

- „ბილინგვური განათლება“, თბ.2011#5, ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვა ქართველ სტუდენტებში.
- გ. ნიჟარაძე, რ. მშვიდობაძე, თ. ასათიანი, თ ციხისთავი, კონფლიქტები, თბ. 2010
- „მულტილინგვისტური განათლების გზით უცირესობათა ინტეგრაციის კონცეფცია და 2009-2014 წლების საოქმედო გეგმა“. თბ. 2008

ოთარ ჯანელიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
Otar.janelidze@yahoo.com

ქართული სოფელი საუკუნეთა გასწრივ

რეზიუმე. სტატიაში განხილულია ქართული სოფლის ფენომენი და
მიმოხილულია სოფლის როლი და ადგილი ქართველი ერის ისტორიაში საუკუნეთა
გასწრივ. აღნიშნულია, რომ ქართული ცხოვრების წესი, ქვევის ნორმები, ადათი,
რიტუალები თუ ტრადიციები დიდწოდოდ სოფელმა განსაზღვრა. ისტორულად,
ქართული ღირებულებათა სისტემა, ეროვნული ხასიათის შევრი ნიშან-თვისება და
ეროვნული ცონტირება სოფელში ხამოყალიბდა.

მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების სამჭოთა ინდუსტრიალიზაციის მაღალმა
ტემპმა, ასევე ფაბრიკა-ქარხებისათვის საჭირო მუშა-ხელზე გაზრდილმა მოთხოვნამ
სოფლებითან მოსახლეობის ქალაქად მიგრაცია გამოიწვია. სოფლად
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების
ნაცვლად, გაძლიერდა სოფლის მცხოვრებთა ლტოლვა ქალაქებისაკენ და თვით
ქალაქების ტერიტორიების ზრდა ახლომდებარე სოფლების ხარჯზე.

50-იანი წლების მოლოდან დაიწყო მთის დაცარიელება, რამაც გამოუსწორებელ
შედეგებამდე მივიყვანა.

დამოუკიდებელ საქართველოში გატარდა პრივატიზაცია და მიწის რეფორმა.
ჩამოყალიბდა თვითდაქირავებულ „ფერმერთა“ ნახევარმძილიონიანი ახალი კლასი,
თუმცა ამ პროცესის ხარვეზების მაჩვენებელია, რომ სოფლად კვლავ მწვავედ დგას
მცირებიწანითის პრობლემა.

მოლო პერიოდში სოფლის როლი ერის სულიერ ცხოვრებაში მკვეთრ
დაქვეითებას განიცდის. დაიკარგა მისი ადგილი ქართულ ღირებულებათა
სისტემიში.

2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლებამ აამოქმდა
სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტატუსი. რაც იმედს წარმოშობს, რომ
ქართული სოფელი განსაცდელს გადაუწევს.

Otar Janelidze

Davit Agmashenebeli

National Defence Academy of Georgia

Doctor of Historical Sciences.

Professor

Georgian Villages Throughout the Centuries

Summary. *The article deals with the phenomenon of a Georgian village and overviews its role and place in Georgian nation's history through the centuries. It is noted that Georgian lifestyle, behavior norms, customs, rituals and traditions were largely determined by the village. Historically Georgian system of values, many of the features of the national character and national consciousness were formed in the village.*

High speed of Soviet industrialization in the 20-30s of the twentieth century, as well as increased demand for workers and laborers for factories and mills, caused migration of rural population to the cities. Instead of improvement of rural infrastructure and wellbeing of the population there strengthened the drive of rural residents to the cities and growth of urban territories at the expanse of neighboring villages.

From the end of the 50s there began the process of depopulation of the mountain regions that brought irreparable consequences.

In independent Georgia there was implemented a process of privatization and land reform. There was formed a new self-employed class of half a million, farmers ", though an indicator of the drawback of this in the process is the problem of the scarcity of land in rural areas.

Recently, the role of the village in the spiritual life of the nation is severely decreased, its pace in the system of Georgian values was lost.

Since 2013, the Georgian government launched a new strategy of rural development, which gives rise to the hope that the Georgian village will survive the trials.

ქართველი კაცის ცნობიერებაში ცნება სოფელი შორეულ წარსულში დამკიდრდა. მართლაც, სოფელი უძველესი დროიდან დასახლების ერთ-ერთი საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა, თუმცა ჩვენი ძველი წინაპრებისათვის იყი სულ სხვა შინაარსის სიტყვა იყო, ვიდრე ჩვენთვის. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინ „სოფელი“ სამი მნიშვნელობა აქვს: 1. უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს. 2. სოფლის მცხოვრებნი, სოფლის მოსახლეობა, სოფლელები და 3. ძველად, ქვეყანა, მსოფლიო.² სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით, „სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი; წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის“. იქვე აგრეთვე ნათქვამია: „სოფელი ეწოდების

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960, გვ. 1128.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია შრომები N1(2)

სრულიად საწუთოსა".³ საღვთო წერილი სოფლის მნიშვნელობას ასე ხსნის: „რამეთუ საწუთო ესე... ხილული ესე საწუთო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნი...“ (II კორ. 4, 17-18).

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია ამ სიტყვის ეტიმოლოგია და მივიდა დასკვნამდე, რომ V საუკუნიდან VIII საუკუნის ბოლომდე ტერმინი „სოფელი“ ქართულ მწერლობაში ქვეყანას აღნიშნავდა. სოფლის თანამედროვე შესასიტყვად წინათ გამოიყენებოდა „დაბაა“, რომლის პრავანდელი ფორმაც იყო – „დაბანი“. IX-X საუკუნიდან მოყოლებული ცნება სოფელი იცვლის თავდაპირველ მნიშვნელობას და „დაბის“ შესატყვისად გამოიყენება.⁴

სოფელთან ერთად არსებობს ცნება „ზესთასოფელიც“, რაც მარადიულ სამყაროს ნიშნავს. რუსთაველთან გეხვდება „ამიერ სოფელი“: „ამიერ სოფელს გადავყევ, შევკარ და მიმაქვს ბარგია“ და სხვ. მაგრამ აჯერად ამ სიტყვის რელიგიურ შემადგენელზე არ შევჩერდები, რადგან მისი ის განზომილება მაინტერესებს. რომელიც ქართული სოფლის ფერომენს, ზოგადად, ქართული სოფლის თავგადასავალსა და დღევანდელობას უკავშირდება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სოფელი დასახლების ერთ-ერთი ტრადიციული ფორმაა. იგი ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთეულია, რომელიც მოსახლეთა ენის, სამეურნეო პირობების, თავდაცვის ინტერესების ერთიანობით ხასიათდება. ამასთან, სოფელი ცალკეულ სახლებად (ოჯახებად) მცხოვრები, უმთავრესად მონათესავე ან ეთნიკური ერთგვაროვნებით შეკავშირებული ადამიანების ერთობა იყო. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „სოფლების მოსახლეობის პირვანდელ ერთ-გვაროვნულობას... ხიზონიბა და შიშიანობის დროს ბარითგან მთაში შეხიზვა და ჩასახლება არღვევდა, ბარად კი მტრის შემოსევა-აოხრებისაგან სოფლის მცხოვრებთა ამოვარდნა-დაწილება“.⁵

ადრეულ პერიოდში ამ ერთობებისათვის კოლექტიური მიწათმოქმედება იყო დამახასიათებელი. „მიწა გვარებზე იყო განაწილებული. სოფლებს გვარები ქმნიდნენ. საკუთარ სახეოვრისში თითოეულ გვარს თავისი ადგილის დედა – სალოცავი ჰქინდა, რომელიც გვარს იდეოლოგიურად კრავდა და ღმერთის, მამულის, სამშობლოს სამსახურში აყენებდა. ... გვარიშვილობა, სახლიშვილობა – ოჯახისშვილობა ნათესაობას ... არეგულირებდა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ურთიერთობას აწესრიგებდა“.⁶ შემდეგშიც, როგორც ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტები აღნიშნავენ, „შინაგანი, სარწმუნოებრივი იძულება,

³ სულახან-ხაბა ომბეჭოანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 107.

⁴ ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 131.

⁵ შეით რუსთაველი, კუჭხისტებათანი, თბ., 1988, გვ. 165.

⁶ ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 139.

⁷ ფრუიძე ლ., მცირე ისტორია და თანამედროვე ვითარება (საგვარულო მომრაობა)
<http://georoyal.ge/ii.php?MTID=5&TID=941>

ზნეობრივი იძულება გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებდა, ვიდრე გარეგნული, სახელმწიფოებრივი".⁸

როდესაც პირველყოფილი თემური წყობილება დაირღვა და სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორია დაიწყო, საქართველოში მიწის ფლობის ფორმა კერძო საკუთრებას დაემყარა. ამ მხრივ ქართული სინამდვილე განსხვავდებოდა ჩვენივე მეზობლებისაგან, რადგან არც აღმოსავლეთის ქვეყნებში და არც ბიზანტიიში მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა, აյ მიწის ძირითადი მესაკუთრე სახელმწიფო იყო. ამ გარემოებამ დიდწილად განსაზღვრა ქართული მეურნეობის სპეციფიკა და ზოგადად, საქართველოს სოციალური განვითარების მიმართულებაც, რომელიც ფეოდალიზმის ხანაში ვეროპულის ანალოგიური იყო. „ქართული ფეოდალიზმი და პატრინუმობის სისტემა გასაცირად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურ წეს-წყობილებას", წერდა ივანე ჯავახიშვილი.⁹

ქართული ცხოვრების წესი, ქცევის ნორმები, ადათი, რიტუალები თუ ტრადიციები დიდწილად სოფელმა განსაზღვრა. ისტორულად, ჩვენი ღირებულბათა სისტემა, ეროვნული ხასიათის ბევრი ნიშან-თვისება და ეროვნული ცნობებებაც სოფელში ჩამოყალიბდა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სოფელი ქალაქზე მეტად იცავდა და ინახავდა ტრადიციულ ფასეულობებს.

დროთა განმავლობაში სოფლების რაოდენობაც გაიზარდა და მათში მცხოვრებთა რიცხვიც. მაგრამ ეს პროცესი მუდმივად აღმავალი არ ყოფილა: მტერთა ხანგრძლივი შემოსევების გამო ბევრი სოფელი უკაცრიელდებოდა და ნასოფლარად იქცეოდა. მოსახლეობის ნაწილი მომხდურთან ბრძოლას ეწირებოდა, ნაწილი ტყვედ მიჰყვდათ, ნაწილი კი შედარებით მშვიდ ადგილებში იხიზნებოდა. საქართველოს სოფლებისათვის მე-16-მე-18 საუკუნეებში უდიდესი გამოწვევა იყო ტყვეთა სყიდვა და ლევიანობა. ყოველივეს მიუხედავად, ადამიანი იშვიათად მიატოვებდა სოფელს. წინაპართა საფლავების საკრალური ძალა, ზნეობრივი პასუხისმგებლობა, პოეტურად თუ ვიტვით, „მიწის სითბო“ თუ „მიწის ძაბილი“ უფლებას არ აძლევდა მას მოწყვეტოდა სამკვიდროს - მიწას, რომელიც სოფლისაგან განუყოფელი ფენომენი იყო. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც, ესე იგი ზნეობითადაც შემსჭვალულია. მისი სოფელი მისი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრა“ თავის სოფლისა და სხვა თვ-მოსაწონებელი სახელი არ იცის“.¹⁰

⁸ ნადარეზვილი ზ., ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2000. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/udzvelesi_socialuri_normebi2.html

⁹ ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ; 1982, გვ. 448-452.

¹⁰ გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 149.

მრავალრიცხოვანი თავდაცვითი ომებით განპირობებული მოსახლეობის რიცხოვნობის საერთო კლება და მწარმოებელი ძალის დეფიციტი ქვეყანაში უხოცობობითა ჩამოსახლების აუცილებლობას წარმოშობდა, რასაც ცალკეული მეფები დროდადრო მიმართავდნენ კიდეც.

სოფელი, როგორც წესი, მეფის, ფეოდალის ან ეკლესიის საკუთრება იყო. არაერთი სოფელი დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში შეწირული იყო საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი და მათ მასულს შეადგენდა. სამეფო ხელისუფლება უფრთხილდებოდა მიწის მუშაქს. „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“, - მეფე-პოეტის, არჩილის ეს შეგონება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მწარმოებელი ფენისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის პრინციპიც იყო და სამართლის კოდექსის ნაწილიც. რაც უფრო წელგამართული, გადახდისუნარიანი იქნებოდა საგლეხო კომლი, მით უფრო გარანტირებული იქნებოდა სახელმწიფოს შემოსავალი. შემორჩენილია მრავალი დოკუმენტური მასალა, საიდანაც მკაფიოდ ჩანს, როგორ მოითხოვენ ქართველი მეფები ქვეშეცრდომი თავადებისაგან, გულისხმიერებით მოეცყარ თავიანთ გლეხებს. გლეხთა დაცვის თემას საგანგებო ურადღება ეთმობა მე-18 საუკუნის 80-იან წლებში დაწერილ აღექსანდრე ამილახვრის პოლიტიკურ ტრაქტატში „ბრძნი აღმოსავლეთისა“. აღექსანდრე ამილახვრის შეხედულებითაც, გლეხი დაცულ უნდა იქნეს, რადგან ის ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საფუძველია.

შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე კითხვას - რამ გაგვაძლებინა, რა ჰქვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ერთ მრავალრიცხოვან ომებსა და სისხლისღრას? ასე პასუხობდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახობდეს. უშველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძოოლია ამოდენა ვაი-ვაგლაბასა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“.¹¹

ახლა მეცნიერულადაც დადასტურებულია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი წესწყობილება და აგრარული სტრუქტურა შუა საუკუნეების განმავლობაში უზრუნველყოფდა ქვეყანაში ნორმალური სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების პირობებს.¹²

სოფელმა ურთიერთგარენა იცოდა. არსებობდა ერთმანეთის დახმარების ტრადიცია - ნადი, რომელსაც მიწის სამუშაოების (ხენა, ბარვა, თოხნა), სახლის მშენებლობისა და სხვა შრომატევადი საქმის დროს იწვევდნენ. ეს იყო შრომის კომპერაციის მარტივი ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც ბარში

¹¹ ჭავჭავაძე ი., ძევლი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 151.

¹² ნადარეიშვილი გ. „ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი, აღმანახი „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, 2002 № 14.

ისე მთის სოფლებში. საქართველოს მთიელთა ცხოვრებას ძველთაგანვე ჩამოყალიბებული თემის ინსტიტუტი და ხევისბერები აწესრიგებდნენ (ხევისბერს ხევსურეთში ხუცს უწოდებდნენ, თუშეთში – დევანოზს, სვანეთში – მახვშს). საქართველოს ხელისუფლების ბოლო პერიოდის ძალისხმევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატურების ჩამოყალიბების მიმართულებით შესაძლოა გარკვეულწილად ქართული სოფლის ამ გამოცდილებასაც დაემყაროს.

მე-19 საუკუნეში საქართველომ საკუთარი სახელმწიფო ბრიობა დაკარგა და რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა. ამ გარემოებამ თავისებური კვალი დაჩნია ქართულ სოფელსაც. დაინერგა ბატონყუმობის რუსული მოდელი, რომელმაც გააღმავა კონფრონტაცია გლეხსა და მემამულეს შორის. საბატონყმო რეფორმამ და კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ დაანგრია სოფლის ტრადიციული ცხოვრება. ყმობისაგან თავდაღწეული, მაგრამ უმიწოდ დარჩენილი ათასობით გლეხი სოფელს გაეცალა და ლუკმა-პურის მიებაში ქალაქს შეეკედლა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.) აგრარული საკითხი სამართლიანად გადაწყდა, გლეხობამ მიწა მიიღო,¹³ მაგრამ მეურნეობის ფართოდ განვითარება არ დასცალდა. ბოლშევიკური ოკუპაცია და პროლეტარიატის დიქტატურა ქართველ ხალხს ახალ განსაცდელად მოვლინა. საბჭოთა რეჟიმის დასაწყისშივე განხორციელებულმა ნაციონალიზაციამ სოფელს არსებობის ძირითადი საყრდენი - მიწა გამოაცალა, რადგან იგი სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრებად გამოაცადა.¹⁴ 20-იანი წლების შემდეგ ნახევრიდან ამას დაუმატა კიდევ ერთი სოციალური ექსპერიმენტი - კოლექტივიზაცია, რომელიც გლეხობაზე უმაგალითო ძალადით ძალადით, მისთვის თავისუფლების წართმევითა და ტრადიციული იერსახის მოშლით განხორციელდა.

კოლექტივიზაცია სრულიად უცხო იყო საქართველოს სამეურნეო გამოცდილებისათვის. მეტიც, იგი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა მიწათმცვლობებლიბის ქართულ წესს (საკომლო მეცვიდრეობითი საკუთრება). ბოლშევიკთა აგრარული პოლიტიკა არა მხოლოდ ახალ სოციალურ წყობას ამკვიდრებდა სოფლად, არამედ იწვევდა ადამიანთა მენტალობის რღვევას, პიროვნების უსახურ კოლექტიურ მასაში გათქვეფას. კოლმეურნეობათა მეშვეობით გლეხობა ახალ „სახელმწიფო ყმიაბაში“ ვარდებოდა.¹⁵

ქართულ სოფელს დიდი დარტყმა მიაყენა ე. წ. განკულაკების პროცესმა, რომელიც კოლექტივიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ „კალაბრიო მტრად“ მიჩნეული და შერისხული კულაკი, ხშირ შემთხვევაში, ჩვეულებრივი გამრჯვე გლეხი იყო, რომელსაც ჰყავდა გამწევი

¹³ დაახლოებით 340 000-ზე მეტი დესტრინა მიწა გაუაწილდა გლეხურ მოსახლეობას.

¹⁴ საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დევრები მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, 1921 წ. პრილის 6, N 17.

¹⁵ ჯანელიძე თ., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 168.

პირუტყვი და ერთი ან ორი მეწველი ძროხა. ვინც უარს იტყოდა კოლექტიურ მეურნეობაში შესვლაზე, განწირული იყო: ოჯახის უფროსს ფიზიკური ლიკვიდაცია ან შორეული გადასახლება, ქონებას – ექსპროპრიაცია, კერას კი გაჩანგება ელოდა.

გლეხობა თავდაცვის სხვადასხვა ფორმას მიმართავდა. ბევრმა გლეხმა საკუთარი ხელით მოშალა მეურნეობა, გაანადგურა ან გაყიდა საქონელი, ინვენტარი და სოფლიდან აიყარა. მრავალმა საზღვარგარეთ გაქცევა და ემიგრაციაში გახიზვნა დააპირა (თურქეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობისათვის მარტ 1927 წელს 9 ათასი კაცი დააკავეს).

ძალდაცანებითმა კოლექტივიზაციამ სოფლის მცხოვრებთა მიწისაგან გაუცხოება გამოიწვია. ათეულათასობით გლეხმა სოფელი მიატოვა და ქალაქში გადაინაცვლა. იმისათვის, რომ გლეხობა ადგილზე დაემაგრებინა, ხელისუფლებამ 1932 წელს ერთიანი საპასპორტო სისტემა შემოიღო. იგი ითვალისწინებდა ეწ. ჩაქერის ინსტიტუტს, რაც ნიშნავდა პასპორტში მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მითითებას. სოფლის მცხოვრებთ არ აძლევდნენ პასპორტს, პასპორტის გარეშე კი მაშინ გადაადგილება არ შეიძლებოდა. საპასპორტო რეჟიმის დარღვევა დასჯადი იყო და როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ პაუზისგებას შეიცავდა.

როცა სახელმწიფო წავიდა გარკვეულ დათმობებზე, შეწყვიტა „განკულაკება.“ კოლმეურნეობები დროებით გაანთავისუფლა გადასახადისაგან და მიიღო გადაცემის შესახებ, გლეხობამაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და საკუთარი ბედი კოლექტიურ მეურნეობას დაუკავშირა. სოფლის მშრომელთა შემობრუნებას კოლმეურნეობებისაკენ ხელი შეუწყო შრომადლების მიხედვით ანაზღაურების დანერგვამ, კოლმეურნეთა შორის მოსავლის საჯაროდ, უშუალოდ კალოზე განაწილების პრაქტიკამ, ემტევესების (მანქანა-ტრაქტორთა სადგურების) შექმნამ, რომლებიც კოლმეურნეობებს ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურებოდნენ და სხვ. მაგრამ კოლექტივიზაციის პროცესი მაინც შეიცვლი ადმინისტრირების, რეკრესიების, ტერორის მეშვეობით მიმდინარეობდა და დიდ ტრაგედიად იქცა. კომუნისტურმა პროპაგანდამ კოლექტივიზაცია სოციალისტური მშენებლობის „უდიდეს მიღწევად“ გამოაცხადა, არადა, ადამიანური განზომილებით იგი იმდენად არაბუნებრივი მოვლენა იყო, რომ სსრ კავშირის დაშლისთანავე, თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც, კოლექტივები მოტინტალურად გაუქმდა და დავიწყებას მიეცა.

30-იანი წლების ქართული სინამდვილისათვის, კოლექტივიზაციის პარალელურად, დამახასიათებელი იყო არერთი გონიერებას მოკლებული და წარუმატებელი სამეურნეო წამოწევა. ჯერ ქვეყნის ტრადიციულ სახოფლო-სამეურნეო კულტურას – სიმინდს შეუტიეს და მის ნაცვლად რამისა და ჩაის

პლანტაციების გაშენება დაიწყეს. მერე საქართველოს ბამბის რესპუბლიკად გადაქცევა დააპირეს, მაგრამ როცა კლიმატური პირობების გამო ეს ვერ შეძლეს, აქცენტი ხორბალზე გადაიტანეს. პურულის დასათესად ბაღ-ბოსტნები, საძოვრები და სათიბებიც კი გადახნეს, მაგრამ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. სამაგიროდ, დაზარალდა მეცხოველეობა, ზიანი მიადგა მეცვნახობის, მეხილეობის დარგებს, შემცირდა პროდუქციის წარმოება და სხვა, რაც ასევე სერიოზული გამოწვევა იყო ქართული სოფლისათვის.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 20-30-იანი წლების საბოთა ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტექნიკი, ასევე ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო მუშა-ხელზე გაზრდილი მოთხოვნა სოფლებიდან მოსახლეობის ქალაქად მიგრაციის დამაჩქრებელ ფაქტორად იქცა. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა საკარისტიამო მიწების ჩამოჭრისა და კომლისათვის თითო სული საქონლის დატოვების გაუმართლებელმა პოლიტიკამ, რომლის ინიციატორი ნ. ხრუშჩოვი იყო. სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მცხოვრებთა პირად საკუთრებაზე ამ ახალმა შეტევამ საგრძნობლად გააუარესა გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა, გლეხური მეურნეობა შესამჩნევად დაქვეითდა.

ხრუშჩოვის ხსენებულმა და სხვა ვოლუნტარისტულმა ექსპერიმენტებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ქართულ სოფელს. საბედნიეროდ, 60-იანი წლების დასაწყისში კრახით დამთავრდა ეწ. სიმინდის კამპანია, რომელიც ნ. ხრუშჩოვის „ბრძნული“ რკომენდაციით, კახეთის ვაკე ადგილებში ვენახის ამომირკვას და სანაცვლოდ სიმინდის მოყვანას ითვალისწინებდა.

ხრუშჩოვის მართველობის წლებშივე დაიწყო მთის დაცარიელება, რამაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანა. ეს გაუაზრებელი და მავნე პროცესი რელიეფურად აისახა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფიაში (აკავი ბელიაშვილის „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“; მურმან ლებანიძის ლექსები, რევაზ ჯაფარიძის, აკავი ბაქრაძის პუბლიცისტიკა და სხვ. დავიმოწმებ მურმან ლებანიძის ერთ სტროფს:

„ძველი ქართული ანდაზა/ იტყვის: სოფელი დიდია! /

რამ გაადიდა, ანდა სად/?/ სოფელს ბოქლომი ჰკიდია! .

პოტტი შიშს გამოთქვამდა მიტოვებული მთის გამო, „ვაითუ ვინმეს მოწერნოს ეს სოფლები, ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს“-ო. სამწუხაროდ, დღეს ეს შიში რეალობად იქცევა: ქართველებისაგან მიტოვებულ მთის სოფლებსა და მიწა-წყალს ერთი-მეორის მიყოლებით უნდაგება უცხო პატრონი. ვითარება ზუსტად შეესაბამება ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ აკავი წერეთლის მიერ გამოხატულ გულისტკივილს; „ის ადგილ-მამული, მიწა-წყალი, რომლის გულისთვისაც ჩვენი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია მრომები N1(2)

ძველები თავს იწირავდნენ, დღეს ხელიდან გვეცლება ჩვენისავე დაუდევრობითა და ბედოვლათობით¹⁶.

მთის მცხოვრებთა ბარად ჩამოსახლების სიმწვავე ვერ გადაჭრა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს წამოწყებულმა ხმაურიანმა ღონისძიებებმა დევიზით: „მთას დაუბრუნდა მთიელი“, რომელსაც არ ჰქონია სისტემური ხასიათი და უფრო კამპანიურ იერს ატარებდა.

საბჭოთა პერიოდში იყო ასეთი კომუნისტური ლოზუნგი - „გადავაქციოთ სოფელი ქალაქად“, მაგრამ მოხდა პირიქით. სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ნაცვლად, გაძლიერდა სოფლის მცხოვრებთა მიგრაცია ქალაქებისაკენ და ოვით ქალაქების ტერიტორიების ზრდა ახლომდებარე სოფლების ხარჯზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა არსებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, შესუსტდა გარე ბაზარზე ქართული სამეცნიერო პროდუქციის გატანის შესაძლებლობა, გაცვდა ისედაც ჩამორჩენილი ტექნიკა, გაიზარდა სამომსმარებლო ფასები და იმატა უმუშევრობამ. ბოლო პერიოდში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად (სამოქალაქო დაპირისპირება, კონფლიქტები, 2008 წლის ომი) ცხოვრება კიდევ უფრო გამნელდა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სხვა ფაქტორების გამო საზღვარგარეთ გაიხიზნა თითქმის მიღიონ ნახევარი ადამიანი. მათ შორის დიდი ნაწილი შორმისუნარიანი, ახალგაზრდა ასაკის სოფლის მოსახლეობაა.

თითქმის ორი ათეული წელია სოფელი თანამედროვე ინფრასტრუქტურის გარეშე დარჩენილი. სახელმწიფოსაგან მიტოვებული გლეხკაცი მარტოა თავის პრობლემებთან. იგი მოკლებულია აუცილებელ აგროკონსულტაციებსა და სასწავლო კურსებს სოფლის მეურნეობაში მოწინვე ცოდნის შესაძლებლივ გლეხს არ ჰქონია ხელშეწყობა იაფი კრედიტით, საწავითა თუ ტექნიკით, უკირდა მოწეული ყურძნის, ხილის, ღვინის გასაღება, მოსუსავლიანობისა და სტიქიური მოვლენებისას, უკანასკნელ დრომდე ვერ იღებდა კომპესაციას და სხვ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელ საქართველოში გატარდა პრივატიზაცია და მიწის რეფორმა. სასოფლო სამეცნიერო მიწის საერთო ფართობიდან (დასახლოებით 3 მილიონი ჰექტარი), პრივატიზაცია შეეხო 25 %-ს, სახელმწიფო საკუთარებაში დარჩა 75 %, რომლიდანაც 300 000 ჰექტარი იჯარით გაიცა (2008 წლისათვის პრივატიზაციის მაჩვენებელი 32 %-მდე გაიზარდა); ჩამოყალიბდა თვითდაქირავებულ „ფერმერთა“ ნახევარმილიონიანი ახალი კლასი. ამ პროცესის ხარვეზების შედეგად გლეხებში კლავა მწვავედ დგას მცირემიწინობის პრობლემა. სოფლად მცხოვრებ 700 ათას ოჯახზე მოდის დამუშავებისათვის ვარგისი 700 ათასი

¹⁶ წერეთელი ა., თხ. ტ. XII, თბ., 1960, გვ. 329.

ჰექტარი საცარგული, ანუ ერთ ოჯახზე მხოლოდ 1 ჰექტარი მიწა (მე-19 საუკუნეში, საბატონებმო რეფორმის დროს განსაზღვრული ნადელი საშუალოდ 2-დან 3 დესტრინამდე სახნავ-სათეს მიწას მოიცავდა (1 დესტრინა უდრის 1.09 ჰექტარს); შედარებისთვის: თანამედროვე თურქეთში ერთი ფერმერი საშუალოდ 6 ჰექტარს, საფრანგეთში – 50, ხოლო ამერიკაში 170 ჰექტარ მიწას ამჟავებს). ჩვენში არსებული მიწების ფრაგმენტაცია აბრკოლებს ისედაც მცირე ტექნიკის ეფექტურ გამოყენებას. ნათესი ფართობის მოცულობა ორჯერ და მეტად შემცირდა (1990 წელს ნათესი ფართობი სახნავი მიწის 87,5 %-ს შეადგინდა, 2011 წლისათვის ეს მაჩვნებელი 35,0 %-ია; ადრე იყო დეფიციტი: სახნავი, სამოვარი და სათიბი მიწა. ახლა ეს დაყოფა აღარ არსებობს და სამოვრებზეც გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა).

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება დაქვეითდა. მოხმარებული ხორბლის 85% შემოტანილია. ასევე მაღალია იმპორტირებული ბოსტნეულისა და კარტოფილის კოეფიციენტი, რომელიც ქვეყანაში მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-ს შეადგენს, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მიწისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრის მოყვანის საშუალებას იძლევა. დაბალპროდუქტული, თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი ფერმერული მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ერთი მეოთხედი იღებს სასაქონლო სახეს, დანარჩენი კი ადგილზე მოიხსარება. არადა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 47 პროცენტი (20 წლის წინ ეს მაჩვნებელი 20 % იყო).

ცნობილია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის ასალორმინებლად უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით რამდენიმე პროექტი შემუშავდა. მათ შორის, 1992-1993 წლებში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (Tacis) პროგრამის ფარგლებში მომზადებული პროექტი ითვალისწინებდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, რომელიც ძირითადად შეფარდებითი უპირატესობის პრინციპს უნდა დაფუძნებოდა (შეფარდებითი უპირატესობა დგინდება იმის გაანგარიშებით, რამდენად ნაკლებს ხარჯავს ესა თუ ის მწარმოებელი ერთი და იგივე საქონლის წარმოებაზე). პროექტი მრავალწლიანი ნარგავების ფართობის 2-2.5-ჯერ შემცირებასა და სანაცვლოდ, ბოსტნეულის, ბალჩეულის, კარტოფილის, ეთერზეთების, მარცვლეულის, სხვა სასურსათო თუ ტექნიკური კულტურების წარმოების გაზრდაზე იყო გათვლილი.¹⁷

ამისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მხარდაჭერით შემუშავებული პროექტი, რომელიც საქართველოში შემდგომ ხანებში მოქმედებდა

¹⁷ კოლუმბიილ პ., „ზიმზიმაძე გ., შეფარდებითი უპირატესობა და საქართველოს აგრარული მეურნეობა, ქურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, # 21.

და ასევე, 2006-2007 წლებში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით დამუშავებული „სურსათისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე პერიოდისათვის“. ამ დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტულად მიჩნეულია ხილი, ზოსტნეული, თხილი, ყურძენი და სხვა სპეციფიკური კულტურები, რომლებსაც „საქართველოს დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ეროვნული მიზნების მიღწევაში არსებითი წვლილის შეტანის უდიდესი პოტენციალი გააჩნია“.¹⁸

ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი სწორედ მსგავსი არათანმიმდევრულობაც არის. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის ბალანსის შეცვლის და ამ გზით პროდუქტიულობის გაზრდის ხელოვნური მცდელობა სერიოზული რისკის შემცველია, რისი მკაფიო მაგალითიცაა ჰიბრიდული სიმინდის კამპანია საქართველოში 2011 წელს.

ტრადიციულად, სოფელი ქართული ცხოვრების ღრემი იყო, დღეისათვის კი სოფლის მეურნეობა მხოლოდ თავის გატანის, არსებობის საშუალებადაა გადაქცეული და არ იძლევა შესაძლებლობას ადამიანმა ისარგებლოს ამქვეყნიური ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა სიკეთებით. მოსახლეობის შეზრდა სოფლების მიტოვების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ეს გარემოება სულაც არ დგას უკანასკნელ ადგილზე. ამასთან, სოციალ-ეკონომიკური სიძნელეების გვერდით, ანუ მატერიალური ფაქტორის გარდა, მხედველობაშია მისალები ის გარემოებაც, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი სულიერების დეფიციტს განიცდას. ამითაც აისხება, რომ ადამიანებმა დაკარგეს პასუხისმგებლობა და სულიერი კავშირი იმ ერთობისადმი, რომელსაც ისტორიულად სოფელი წარმოადგენდა. დავითიწყეთ დიდი ბრძენვაცის, ილია ჭავჭავაძის შეგონება, რომ „ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო“, არ ვითვალისწინებთ ერის სულიერი მწყემსის, საქართველოს კათალიკის-პატრიარქის, ილია მეორის გაფრთხილებას: „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაძურებთ და გაგთბონთ თქვენ“¹⁹ და, რომ „ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულას და სხეულს“.²⁰ ჩვენ გაუსრბივართ მიწას, აღარ გვინდა ფიზიკური შრომა და ზურგს ვაქცევთ სოფელს.

აქ ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ ისიც, რომ მეელად მიწა ანუ სოფელი და სამშობლო ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებული ცნებები იყო. თავის დიდ ფუნქციას ასრულებდა ტაბარიც, როგორც ხალხის შემკრები სიმბოლო და

¹⁸ კოლუმნისტი პ. „ზიმზიბაძე გ. შეფარდებითი უპირატესობა და საქართველოს აგრარული მეურნეობა, უკრნ. ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, # 21.

¹⁹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწინდესისა და უნეტარესის ილია II-ს 1994 წლის საღლუომო კიბისტოლუ-

სულიერების მთავარი საზრდო. ადამიანებს, როგორც ლოტისა და ბუნების შვილებს, უყვარდათ მიწაც და ტაძარიც, სადაც ეზიარებოდნენ უფლის მადლს, უვლიდნენ, იცავდნენ და პატრონობდნენ მათ. ათეისტურ გარემოში ხანგრძლივმა ცხოვრებამ საზოგადოება ურწმუნო გახადა, შესუსტდა ეკლესის როლიცა და ავტორიტეტიც. ამიტომაცაა, რომ დღეს, ჩვენს თვალწინ და ჩვენივე მონაწილეობით აგებულ ტაძრებს - ლოტის სახლებს, ჩვენივე ურწმუნოების გამო, აღარა აქვთ ის სულიერი მაკორდინებელი ძალა, რაც ადრე გააჩნდათ. მოწოდების სიმაღლეზე ვერ დას სოფლის ყველა მოძღვარიც, რომელთაც თანამედროვე გამოწვევების პირობებში გაცილებით მეტი მოეთხოვებათ.

აუცილებელია შევეხო ასევე ამ პრობლემის კიდევ ერთ შემადგენელს, მის ფსიქოლოგიურ ასპექტსაც. იყო დრო, როდესაც სოფელი „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველ სიარულთან“, სიმშვიდესა და მყუდროებასთან ასოცირდებოდა, სოფელს განსაკუთრებული მიმზიდველისა და რომანტიული ხიბლი გააჩნდა. თითქმის ყოველი ადამიანი იქ თავის ფეხებს დაემებდა; მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები ცდილობდნენ სოფლად მცირე ნაკვეთი მაინც შეეძინათ, ეზოში ხის სახლი ჩაედგათ და სხვ. მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში თბილისის სწორუ საზოგადოებაში სოფლელის ცნებამ ირონიული დატვირთვა შეიძინა და სოფლელობა დაცინვის ობიექტად იქცა. მაშინდელი სლენგის ენაზე, სოფლელი „გომისა“ და „გაგრის“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო ქალაქელობა „სვეტსკობას“ ნიშნავდა. რატომდაც დაივიწყეს, რომ სახელოვან და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფლური წარმომავლობის იყო. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, თბილისში არ დაბადებულან არც ილია, არც აკაკი, არც ვაჟა და არც გალაკტიონი; სოფლებიდან იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე და აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და აკაკი კვანტალიანი; „კორენოი“ თბილისელები არ ყოფილან გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, კორნელი კველიძე და აკაკი შანიძე, ივანე ბერიტაშვილი და ილია ვეკუა; თბილისში გვიან ჩამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა დროის სახელმწიფო ლიდერები: ნოე რამიშვილი და ნოე ქორდანია, ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია, ლავრენტი ბერია და კანდიდ ჩარკვიანი, ვასილ მქავანაძე და ედუარდ შევარდნაძე. და, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ზუსტად არ ვიცი, საიდან და რატომ გაჩნდა ამგვარი დამოკიდებულება ქალაქელებისა სოფლის მცხოვრებლებისადმი. შესაძლოა, ეს ერთგვარი რეაქციაც იყო რაიონებიდან და სოფლებიდან საცხოვრებლად ხალხის თბილისში მოძალებაზე, მაგრამ მსგავსი პროცესი უფრო ადრე - 30-იან წლებში ხომ გაცილებით მასშტაბური იყო. არ არის გამორიცხული, ამ მოვლენას კავშირი ჰერინდეს რუსულ ანალოგთან. ზუსტად იმავე პერიოდში მსგავსი რამ შეინიშნებოდა მოსკოვსა და ლენინგრადში (გავიხსენოთ გერალდ ბექანოვის ფილმი „Самая обаятельная и привлекательная“ და ვალენტინ რასპუტინის მოთხოვებები).

ფაქტია, ამგვარმა რეალობამ თავისებური კომპლექსი წარმოშვა და „ქალაქელობისაკენ“ მისწოდება განაპირობა. აღნიშნული პროცესი გააძლიერა ჩვენი საზოგადოების ზღვარგადასულმა ლტოლებმ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის დასაუფლებლად და იმანაც, რომ დიპლომიან სპეციალისტთა დასაქმების ასპარეზი სოფლად შეზღუდული იყო. პროვინციებიდან უმაღლეს სასწავლებლებსა თუ ტექნიკურებში საწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობის უმრავლესობა ქალაქში რჩებოდა. ზურგშექცეულ სოფელს ხალხი აკლდებოდა და სუსტდებოდა, დედაქალაქი კი თავისი ახალი, უსახური მასივებით თავკომბალად იცვეოდა...

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 3668 სოფელი აღირიცხა. მათგან 162 მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი იყო. 152 სოფელში 1-დან 10 კაცამდე, 169-ში კი 11-დან 25-მდე სულ მოითვლებოდა. ყოველ მეოთხე სოფელში მხოლოდ 100 კაცამდე მცხოვრები იყო შემორჩენილი. ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ზოგადად, დღეისათვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესებულია.

2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით, სოფლის მცხოვრებთა ოდენობა ქვეყნის მასშტაბით 2 096,8 ათას (47, 7 %), ხოლო ქალაქისა 2 387,0 ათასს (52, 3 %) ადამიანს შეადგენდა. წინა, 1989 წლის მაჩვენებელთან შედარებით, სოფლის მკვდრთა რიცხვი 323 ათასი კაცით შემცირდა. შობადობის დონე სოფლად თითქმის ოჯერ დაბალია ქალაქთან შედარებით, მაშინ როდესაც წინათ პირუკუ იყო. უმძიმესი ვითარებაა შექმნილი საქართველოს მთასა და მთისწინეთში, სადაც წევრდემოგრაფია გვაქვს.²⁰ რაჭა-ლეჩხუმში, მთიულეთსა და ხევსურეთში აღწარმოება ფაქტობრივად შეწყვეტილია და იზრდება დაპრეზულთა რიცხვი. მაგალითად, თუ რაჭის მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომის წინ 67 ათასი კაცს შეადგენდა, ამჟამად იქ მხოლოდ 22 ათასი კაცი ცხოვრობს და მათი უმრავლესობა უფროსი ასაკის ადამიანია. კრიტიკული დემოგრაფიული სურათია გურიაში, იმერეთსა და აჭარაში. უკანასკნელ წლებში ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნება.

ტრადიციულად, ქართული სოფელი ქალაქს სურსათთან ერთად ინტელექტუალური ძალებითაც კვებავდა. ბოლო პერიოდში სოფლის როლი ერთს სულიერ ცხოვრებაში მკვეთრ დაქვეითებას განიცდის, დაიკარგა მისი ადგილი ქართულ ღირებულებათა სისტემაში. სოფელს სიყვარული მოაკლდა, სოფელმა პრესტიჟი დაკარგა. პრესტიჟულობა კი საქართველოში სულაც არ არის უკანასკნელი ფასეულობა. სოფლის მნიშვნელობა საგრძნობლად შეცირებულია ქვეყნის ცანონმიკურ ცხოვრებაშიც. 1990 წელს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 30 პროცენტი იყო, ამჟამად კი 8,3 პროცენტია.

²⁰ <http://www.ivote.ge/siakhleebi/siakhleebi/6480-1000-ze-meti-sofeli-aghar-arcebobs.html?lang=ka-GE>

თითქმის ორი ათეული წელია, საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ პრობლემათა დაძლევაში მხარში უდგას ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ევროკავშირი და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო (პოლონეთი, შვეიცარია). ეს დახმარება გამოიხატა სასურასთო უზრუნველყოფის პროგრამის მოქმედებით, ასევე ხელშეწყობით ფერმერული ორგანიზაციების შექმნაში, ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში და სხვ. პარალელურად, სოფლის დახმარების ღონისძიებანი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, ამ თუ იმ ფონდის მიერ უცხოური გრანტების ფარგლებშიც ხორციელდება. მაგალითად, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუქტი“ მუშაობს სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების მიმართულებით. ინსტიტუტის ერთ-ერთი პროექტი განხორციელდა მაღალმთანი აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში და მიზნად ისახავდა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდოლოგიით მოყვანის სწავლება-პოპულარიზაციას, ასევე, სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და სასოფლო-სამეურნეო უნარ-ჩვევების განვითარებას.²¹

საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეამ“, „რაკა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ნახევარი მილიონი ევროს ღირებულების პროექტი განახორციელა, რომელიც სათემო ინიციატივების ხელშეწყობასა და სიღარიბის შემცირებას ემსახურებოდა. დახმარება რეგიონის ხუთი ყველაზე შეჭირვებული თემის - ოყვრების, ჩსუტელის, უსახელოს, ორბელის და ხელედის 4000-მდე მცხოვრებზე გავრცელდა.²²

კავკასიური სახლი (დირექტორი ნაირა გელაშვილი) უშვებს ჟურნალს „ჩვენი სოფელი“, რომელსაც უფასოდ ურიგებნ სოფლების მოსახლეობას,²³ ასევე სოფლის ახალგზრდებისა და ზრდასრულებისათვის ხორციელდება სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები და სხვ. მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. აუცილებელია, სოფლის მნიშვნელობას ყველა აცნობიერებდეს, ხელისუფლებაც, საზოგადოებაც და მასმედიაც.

ქართული სოფელი, მის მკვიდრთა პრობლემები საქართველოს სამოციქულო კვლესის, პირადად კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მუდმივი ზრუნვის საგანია. შექმნილი კრიტიკული სიტუაციის დასაძლევად მისმა უწმინდესობამ არაერთი საგულისხმო წინადადება წამოაყენა. პატრიარქის ამგვარი ინიციატივებიდან გამოყოფდა: ბუნებასთან სიახლოვისაკენ მოწიდებას, გამწვანების ფონდის შექმნას, იდეას კვლესის საკუთრებაში არსებული მიწების მოსახლეობისათვის გადაცემისა და სპეციალური სოფლების შექმნის შესახებ,

²¹ www.civilin.org/pdf/Agro.pdf

²² გაზ. „, 24 საათი“, 2011 წ., 11 ივლის.

²³ <http://shokoladi.ge/content/kavkasiuri-saxlis-gza-tbilisidan-nukrianamde?page=5>

რომლებშიც აუცილებლად უნდა იცხოვროს ახალგაზრდობამ, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ჩამოყალიბებას, ბიოპროდუქციის წარმოებაზე მეტ აქცენტირებას, საპატრიარქოს მზადყოფნას, გახსნას სამწლიანი ლიცეუმები, სადაც ახალგაზრდები სხვადასხვა ხელობას დაეუფლებიან და ზოგად განათლებას გაიღრმავებენ და სხვ.

კარგად არის ცნობილი, უწმინდესი და უწეტარესი ილია მეორე სახელმწიფოს განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება-განვითარებას მიიჩნევს და ამ საქმეს უდიდეს ძალისხმევას ახმარს. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მის უწმინდესობას სოფლის მეურნეობის აკადემიის საპატიო აკადემიკოსს წოდება მიენიჭა.

2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტატეგია შეიმუშავა, რომელიც უკვე ამოქმედდა. მოსახლეობას უფასოდ დაუხსნეს მიწა, გამოიუყვეს სათესლე მარცვალი, მიაწოდეს შეამ-ქიმიკატები და სასუქები, იგივე პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან მომდევნო წელსაც დაფინანსდა. ამოქმედდა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტიც“ და სხვ. ხელისუფლების, კულტურისა და საზოგადოების საერთო ძალისხმევა, ვფიქრობ, შედეგს გამოიიტა და ქართული სოფელი განსაცდელს გადაუჩება.

ლიტერატურა

1. გაზ. „ივერია“, 1887 წ., # 149.
2. გაზ. „ 24 საათი“, 2011 წ., 11 ივლისი.
3. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., შეფარდებითი უპირატესობა და საქართველოს აგრარული მეურნეობა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, # 21.
4. ნადარეიშვილი გ., ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2000. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/udzvelesi_socialuri_normebi2.html
5. ფრუიძე ლ., მცირე ისტორია და თანამედროვე ვითარება (საგვარეულო მოძრაობა) <http://georoyal.ge/ii.php?MTID=5&TID=45&id=941>
6. ნადარეიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი, ალმანახი „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, 2002 № 14.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960.
8. შოთა რუსთაველი, ვეცხისტეალი, თბ., 1988.
9. წერეთელი ა., თხზ. ტ. XII, თბ., 1960.

10. ჭავჭავაძე ი., ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987.
11. საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, 1921 წ. აპრილის 6, N 17.
12. სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს 1994 წლის სააღდგომო ეპისტოლე.
13. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
14. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982.
15. ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
16. <http://www.ivote.ge/siakhleebi/siakhleebi/6480-1000-ze-meti-sofeli-aghar-ardebobs.html?lang=ka-GE>
17. www.civilin.org/pdf/Agro.pdf
18. <http://shokoladi.ge/content/kavkasiuri-saxlis-gza-tbilisidan-nukrianamde?page=5>

რომეო გალდავა
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ასოცირებული პროფესორი
romeogaldava@gmail.com

ცვლადოპერატორიანი აბსტრაქტული ევოლუციური
განტოლებისათვის პარალელური ტიპის დეკომპოზიციის
ალგორითმის ცდომილების შეფასების შესახებ

რეზიუმე. ნაშრომში განხილულია აბსტრაქტული ცვლადოპერატორიანი ერთგვაროვანი ევოლუციური განტოლებისათვის დ. გორგეზიანის გასაშუალოებული სიმუტრიული ტიპის ალგორითმი და მიღებულია ცხადი აპრიორული შეფასება, მოყვანილია შესაბამისი პირობები და დამტკიცებულია თეორემა.

Romeo Galdava
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Associate Professor

On the Estimates for Error of the Parallel Decomposition Scheme for Abstract Evolutionary Equation

Abstract. In this work are considered D. Gordeziani averaged differential decomposition schemes for approximate solution of evolution equation. Explicit a priori estimates for error of approximate solution have been obtained on the basis of semi group approximation.

ბანახის X სივრცეში განვიხილოთ კოშის აბსტრაქტული ამოცანა ცვლადოპერატორიანი ერთგვაროვანი ევოლუციური განტოლებისათვის:

$$u'(t) + A(t)u(t) = 0, \quad t \geq 0, \quad (1)$$

$$u(0) = \psi. \quad (2)$$

ვთქვათ, $A(t)$ ოპერატორი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

(a) $A(t)$ ოპერატორის განსაზღვრის არე არ არის დამოკიდებული t -ზე და ყველგან მკვრივია X -ში;

(b) ა z -თვის, რომლის ნამდვილი ნაწილი არაუარყოფითა, არსებობს რეზოლვენტა, $(zI + A(t))^{-1}$, შემოსაზღვრულია და სამართლიანია შეფასება:

$$\|(zI + A(t))^{-1}\| \leq \frac{c}{1 + |z|};$$

(g) $\forall t', t'' \geq 0$ -თვის სამართლიანია შეფასება:

$$\|(A(t') - A(t''))A^{-1}(s)\| \leq c|t' - t''|.$$

მაშინ, როგორც ცნობილია (1)-(2) ამოცანის ამონახსნი მოიცემა შემდეგი ფორმულით (იხ. [1], [2]):

$$u(t) = U(t, t_0; A)u(t_0), \quad 0 \leq t_0 \leq t, \quad (3)$$

სადაც $U(t, t_0; A)$ არის (1) განტოლების ამონხსნელი ოპერატორი, რომელსაც გააჩნია შემდეგი თვისებები:

$$U(t, t; A) = I;$$

$$U(t_2, t_1; A)U(t_1, t_0; A) = U(t_2, t_0; A), \quad 0 \leq t_0 \leq t_1 \leq t_2.$$

ჩვენს შემთხვევაში, ცხადია, (1)-(2) ამოცანის ამონახსნი იქნება:

$$u(t) = U(t, t_0; A)\varphi. \quad (4)$$

ვთქვათ, $A(t) = A_1(t) + A_2(t) + \dots + A_m(t)$, სადაც $A_1(t), A_2(t) \dots A_m(t)$, ოპერატორები, აგრეთვე, აკმაყოფილებენ იგივე პირობებს, რასაც $A(t)$.

ჩვენ ვიყენებთ (1)-(2) ამოცანის მიახლოებითი ამონხსნისათვის დ. გორდეზიანის პარალელური ტიპის გასაშუალოებულ დეკომპოზიციის სქემას (იხ. [3]). ჩვენი მიზანია, მიახლოებითი ამონაცანისათვის მივიღოთ ცხადი აპრიორული შეფასება.

შესაბამისი ტიპის სხვაობიანი სქემები განხილულია გ. მარჩუკისა და ნ. იანენკოს ნაშრომებში (იხ. [4], [5]).

(1)-(2) ამოცანის მიახლოებითი ამონხსნისათვის ვიყენებთ შემდეგ სქემას:

$$y_i \frac{du_k^{(i)}}{dt} + A_i(t)u_k^{(i)} = 0, \quad t \in [t_{k-1}, t_k] \quad (5)$$

$$(t_{k-1}) = v_{k-1}(t_{k-1}), \quad v(0) = \varphi, \quad i = 1 \dots m. \quad (6)$$

სადაც $y_i \geq 0$, $y_1 + y_2 + \dots + y_m = 1$, $k = 1, 2, \dots, t_k = k \cdot \tau$, $\tau > 0$ არის დროითი ბიჯ, ხოლო (1)-(2) ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი $[t_{k-1}, t_k]$ შუალედში განისაზღვრება შედეგი ფორმულით:

$$v_k(t) = y_1 u_k^{(1)}(t) + y_2 u_k^{(2)}(t) + \dots + y_m u_k^{(m)}(t). \quad (7)$$

ადგილი აქვს შემდეგ თეორემას.

თეორემა. ვთქვათ, $A(t) = A_1(t) + A_2(t) + \dots + A_m(t)$, სადაც $A(t)$ და $A_i(t)$, $i = 1, 2, \dots, m$ ოპერატორები აკმაყოფილებენ (5), (6) და (7) პირობებს. ამასთან, შესრულებულია შემდეგი პირობები:

$$(8) \|U(t, t_0; A_i)\| \leq e^{\omega(t-t_0)}, \quad \|U(t, t_0; A)\| \leq M e^{\omega(t-t_0)}, \quad M, \omega = \text{const} > 0;$$

(9)

$$\|A^2(s)U(t, s; A)A^{-2}(s)\| \leq c, \|A_i^2(s)U(t, s; \gamma_i^{-1}A_i^{-2})\| \leq c, c = \text{const} > 0, s \geq 0, t \geq s \geq c;$$

(10) $A^2(t)$ და $A_i^2(t), i = 1, \dots, m$ ოპერატორების განსაზღვრის არე არ არის დამკიდებული $t - \vartheta$ და $\varphi \in D(A^2)$.

მაშინ სამართლიანია შემდეგი შეფასება:

$$\|u(t_k) - v(t_k)\| \leq c e^{M(t_k - t_0)} \cdot \left[\max_{0 \leq s \leq t_k} \|A^2(s)\varphi\| + \max_{1 \leq i \leq m} (m \cdot \max_{0 \leq s \leq t_k} \|A_i^2(s)\varphi\|) \right]. \quad (8)$$

დამტკიცება (5) - (6) - დან (4) ფორმულის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$u_k^{(i)}(t) = U(t, t_{k-1}; \gamma_i^{-1}A_i(t))v_{k-1}(t_{k-1}), i = 1, \dots, m.$$

თუ $u_k^{(i)}(t)$ მნიშვნელობებს ჩავსვამთ (7)-ში, გვექნება:

$$v_k(t_k) = V(t, t_{k-1})v_{k-1}(t_{k-1}), \quad (9)$$

სადაც

$$V(t_k, t_{k-1}) = \gamma_1 u_k^{(1)}(t) + \gamma_2 u_k^{(2)}(t) + \dots + \gamma_m u_k^{(m)}(t). \quad (10)$$

ცხადია, აქედან მიიღება:

$$v_k(t_k) = L(t_k, t_0)\varphi, \quad (11)$$

სადაც

$$L(t_k, t_0) = V(t_k, t_{k-1})V(t_{k-1}, t_{k-2}) \dots V(t_1, t_0). \quad (12)$$

ცხადია, (4) და (11) ფორმულების თანახმად გვაქვს:

$$u(t_k) - v(t_k) = (U(t_k, t_0; A) - L(t_k, t_0))\varphi. \quad (13)$$

ვაინტეგროთ (1) განტოლება $[t_1, t_2]$ შუალედში და გავითვალისწინოთ (3) ფორმულა, მივიღებთ:

$$U(t_2, t_1; A)u(t_1) - u(t_1) = - \int_{t_1}^{t_2} A(s)U(s, t_1; A)u(t_1)ds.$$

აქედან გამომდინარეობს:

$$U(t_2, t_1; A) = I - \int_{t_1}^{t_2} A(s) U(s, t_1; A) ds. \quad (14)$$

ცხადია, ანალოგიურად მიიღება:

$$U(s, t_1; A) = I - \int_{t_1}^s A(s_1) U(s_1, t_1; A) ds_1.$$

თუ ამ წარმოდგენას ჩავსვამთ (14), მივიღებთ:

$$U(t_2, t_1; A) = I - \int_{t_1}^{t_2} A(s) ds + \int_{t_1}^{t_2} A(s) \int_{t_1}^s A(s_1) U(s_1, t_1; A) ds_1 ds.$$

საბოლოოდ $U(t_2, t_1; A)$ ოპერატორისათვის მივიღებთ შემდეგ გაშლას:

$$\begin{aligned} U(t_2, t_1; A) &= I - \int_{t_1}^{t_2} A(s_1) ds_1 + \int_{t_1}^{t_2} A(s_1) \int_{t_1}^{s_2} A(s_2) ds_2 ds_1 + \dots + \\ &+ (-1)^n \int_{t_1}^{t_2} A(s_1) \int_{t_1}^{s_2} A(s_2) \dots \int_{t_1}^{s_{n-1}} A(s_n) ds_n ds_{n-1} \dots ds_2 ds_1 + R_n(t_2, t_1; A), \end{aligned} \quad (15)$$

სადაც

$$R_n(t_2, t_1; A) = (-1)^n \int_{t_1}^{t_2} A(s_1) \int_{t_1}^{s_2} A(s_2) \dots \int_{t_1}^{s_{n-1}} A(s_n) U(s_n, t; A) ds_n ds_{n-1} \dots ds_2 ds_1. \quad (16)$$

გავშალოთ $V(t_i, t_{i-1})$ ოპერატორის შესაკრებები (15) ფორმულის გამოყენებით ისე, რომ ყოველი შესაკრების ნაშთითი წევრი იყოს მეორე რიგის, მივიღებთ:

$$V(t_i, t_{i-1}) = \gamma_1 U(t_i, t_{i-1}; \gamma_1^{-1} A_1(t)) + \gamma_2 U(t_i, t_{i-1}; \gamma_2^{-1} A_2(t)) + \dots + \gamma_m U(t_i, t_{i-1}; \gamma_m^{-1} A_m(t))$$

$$= \gamma_1 \left[I - \gamma_1^{-1} \int_{t_{i-1}}^{t_i} A_1(s_1) ds_1 + \gamma_1^{-1} R_1(t_i, t_{i-1}; \gamma_1^{-1} A_1) \right] +$$

$$+ \gamma_2 \left[I - \gamma_2^{-1} \int_{t_{i-1}}^{t_i} A_2(s_1) ds_1 + \gamma_2^{-1} R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_2^{-1} A_2) \right] + \dots +$$

$$+ \gamma_m \left[I - \gamma_m^{-1} \int_{t_{i-1}}^{t_i} A_m(s_1) ds_1 + \gamma_m^{-1} R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_m^{-1} A_m) \right] =$$

$$\begin{aligned}
 &= (\gamma_1 + \gamma_2 + \cdots + \gamma_m)I - \left[\int_{t_{i-1}}^{t_i} A_1(s_1)ds_1 + \int_{t_{i-1}}^{t_i} A_2(s_1)ds_1 + \cdots + \int_{t_{i-1}}^{t_i} A_m(s_1)ds_1 + R_2(t_i, t_{i-1}) = \right. \\
 &\quad \left. = I - \int_{t_{i-1}}^{t_i} A(s_1)ds_1 + R_2(t_i, t_{i-1}), \right. \tag{17}
 \end{aligned}$$

სადაც

$$R_2(t_i, t_{i-1}) = R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_1^{-1}A_1) + R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_2^{-1}A_2) + \cdots + R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_m^{-1}A_m).$$

(15)-ის თანახმად გვაქვს:

$$U(t_i, t_{i-1}; A) = I - \int_{t_{i-1}}^{t_i} A(s_1)ds_1 + R_2(t_i, t_{i-1}; A). \tag{18}$$

(16)- დან თეორემის (გ) და (გ) პირობების გათვალისწინებით მიიღება:

$$\begin{aligned}
 &\|R_2(t_i, t_{i-1}; A)\varphi\| = \left\| \left[\int_{t_{i-1}}^t A(s_1) \int_{t_{i-1}}^{s_1} A(s_2) U(t_i, s_2; A) ds_2 ds_1 \right] \varphi \right\| \leq \\
 &\leq \tau^2 \max_{s_1, s_2 \in [t_{i-1}, t_i]} \|A(s_1)A(s_2)U(t_i, s_2; A)\varphi\| \leq \\
 &\leq \tau^2 \max_{s_1, s_2 \in [t_{i-1}, t_i]} \left[\| (A(s_1) - A(s_2))A^{-1}(s_2) \| \cdot \|A^2(s_2)U(t_i, s_2; A)\varphi\| + \|A^2(s_2)U(t_i, s_2; A)\varphi\| \right] \leq \\
 &\leq c \tau^2 \max_{s_1, s_2 \in [t_{i-1}, t_i]} \|A^2(s_2)U(t_i, s_2; A)A^{-2}(s_2)\| \|A^2(s_2)\varphi\| \\
 &\leq c \tau^2 \max_{s_1, s_2 \in [t_{i-1}, t_i]} \|A^2(s_2)\varphi\|. \tag{19}
 \end{aligned}$$

ანალოგიურად მიიღება შემდეგი შეფასებები:

$$\|R_2(t_i, t_{i-1}; \gamma_j^{-1}A)\varphi\| \leq c \tau^2 \max_{s_1, s_2 \in [t_{i-1}, t_i]} \|A_j^2(s_2)\varphi\|. \tag{20}$$

სადაც $j = 1, 2, \dots, m$.

(15) და (17) ტოლობებიდან (19) და (20) შეფასებების გათვალისწინებით
მიიღება შემდეგი შეფასება:

$$\| (V(t_i, t_{i-1}) - U(t_i, t_{i-1}; A)) \varphi \| \leq c\tau^2 \left[\max_{0 \leq s \leq t_k} \| A^2(s) \varphi \| + \max_{1 \leq i \leq m} (m \cdot \max_{0 \leq s \leq t_k} \| A_j^2(s) \varphi \|) \right]. \quad (21)$$

როგორც ადრე ავღნიშნეთ, ამომხსნელი $U(t_k, t_{i-1}; A), k \geq i$, ოპერატორები
აკმაყოფილებებინ პირობას:

$$U(t_k, t_{i-1}; A) = U(t_k, t_i; A) U(t_i, t_{i-1}; A).$$

ცხადია, ანალოგიურ პირობას აკმაყოფილებს $L(t_i, t_{i-1})$ ოპერატორი:

$$L(t_k, t_{i-1}) = L(t_k, t_i) L(t_i, t_{i-1}).$$

ამ პირობების თანხმად გვაქვს:

$$U(t_k, t_0; A) - L(t_k, t_0) = \sum_{i=1}^k L(t_k, t_i) [V(t_i, t_{i-1}) - U(t_i, t_{i-1}; A)] U(t_{i-1}, t_0; A). \quad (22)$$

(13) - დან (22) წარმოდგენის, (21) შეფასებისა და თეორემის (დ) პირობის
გათვალისწინებით მიიღება (8) შეფასება.

თეორემა დამტკიცებულია.

ლიტერატურა

1. K. Iosida, Functional Analysis, Springer-Verlag, 1965.
2. Поличка А.Е., Соболевский П.Е. О методе Ротте приближенного решения задачи Коши для дифференциальных уравнений в банаховом пространстве с переменным оператором. Дифференциальные уравнения, 1976, т.12, ст. 1693-1704.

3. Гордезиани Д. Об численном решении одной проблемы термоэластичности. Институт прикладной математики им. И. Векуа Тбилисского Государственного Университета, 1979.
4. Марчук Г.И. Методы расщепления. Наука, 1988.
5. Яненко Н.Н. Метод дробных шагов решения многомерных задач математической физики. Новосибирск: Наука, 1967.
6. Kato T. The Theory of perturbations of linear operators. 1972.
7. Krein S. Linear differential equations in a Banach space. 1967.
8. გალდავა რ. ევოლუციური განტოლებისათვის ნახევრადდისკრეტული სქემების მდგრადობისა და კრებადობის გამოკვლევა ასოცირებული პოლინომებისა და ნახევარჯგუფების გამოყენებით. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 1999.

შალვა კვეზერელი
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ასისტენტი პროფესორი
schalwak@yahoo.de

მერაბი ცინგაძე
მეცნიერ მუშავი

როგორ ვიშოვოთ ფული

რეზიუმე. სტატია „როგორ ვიშოვოთ ფული“ წარმოადგენს ავტორთა ძირითადი შეხედულებების ნაკრებს, თუ რა არის ფულის და სიმდიდრის არსი, როგორია მისი მოპოვების წყაროები. საკითხი განხილულია რამდენიმე მხრიდან: წმინდა წერილებში ასახული განმარტებებით, არსებული საბაზრო მონაცემებით, ისტორიული მაგალითებით და ავტორთა მსჯელობით.

სტატიაში ასევე განხილულია კონომიკურად ძლიერი და მყარი ქვეყნის მოწყობისათვის მოსახლეობის საქმიანობების მიხედვით განაწილების ხედვა, რომლის ჩამოყალიბების საფუძვლად აღემულია ბუნებაში არსებული ოქროს კვეთის კანონზომიერება.

Shalva Kvezereli
Davit Agmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Assistant Professor

Merabi Tsintsadze
Scientist worker

How to earn money

Abstract. Article "how to earn money" presents authors' basic views about the main essence of money and wealth. the sources of gaining them. The subject is discussed in several ways: explanations in some scriptures, current market data, historical examples and authors' discussions.


The article also contains discussions about the views of how to arrange an economically strong and stable country via the population distributions according to their work, which is emerged because of the regularity of Gold intersection existing in nature.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
შორმები N1(2)

მდიდრები ყველა საზოგადოებრივ წყობას ჰქოვდა და ჰქავს. რაში გამოადგება იგი ქვეყანას, ანუ რა საჭიროა სიმდიდრე. სახარებიდან ცნობილია, რომ ამ სოფლის მპრობელი განკარგავს ყველა და ყველანაირ ნივთიერ სიმდიდრეს, რომელიც ჩანს ეშმაკის მიერ ქრისტეს გამოცდისას - ყველავერი ამ ქვეყნიური შენი იქნებაო თუ ჩემსკენ იქნები, ანუ მომემსახურებით. აქედან გამოდის, რომ სიმდიდრე იმ ადამიანებს ეძლევათ, რომელიც მას ემსახურებან. ეშმაკი დაყრდნობილია მათზე და მათი გავლენით და საშუალებებით ბატონიბს ადამიანთა დანარჩენ რაოდენობაზე, ანუ მას მართლა ჰგონია თავი სოფლის მბრძანებელი. მბრძანებლობა და მბრძანებლობის საჯეხურები საზოგადოებისა და სიმდიდრე ერთი და იგივეა. ერთი გუნაპირობებს მეორეს და პირიქით, მაგრამ ამასთანავე ყოფილა როდესაც არ ჰქონია სიმდიდრე, მაგრამ ჰქონია მბრძანებლობა და არ ჰქონია მბრძანებლობა, მაგრამ ჰქონია სიმდიდრე. ეს იგი მათი ერთად ყოფნა არ არის აუცილებელი და ამ თვისებებს ცალ-ცალკე შეუძლიათ არსებობა და სამსახური სოფლის მყყობლებისა. ამის საუკეთესო მაგალითია სოციალისტური წყობა, რომელსაც არ ჰქოვდა მდიდრები, ყველა თანაბარი იყო, მაგრამ ჰქონდა მბრძანებლობა. ბურჟუაზიულ სამყაროში კი ორივე ერთად მოქმედებდა. ადამიანის თავისუფალი არჩევანის ნება ორივე სამყაროში არსებობს, მაგრამ გარკვეულ ზღვრამდე. ადამიანს შეეძლო აერჩია ვთქვათ ინჟინერის პროფესია, სოფლის მეურნეობის და ასე შემდეგ, მაგრამ სიტყვის თავისუფლება ძალიან შეზღუდული იყო ბურჟუაზიულშიც და სოციალისტურშიც. ბურჟუაზიულ სამყაროში სიტყვის თავისუფლება უფრო ადრე „გათავისფლდა“ - იღლაპარაკე რამდენიც გინდა, ანუ ძველი ნათევამის არ იყოს „ძაღლი ყეფს ქარავანი მიდის“, „რატომ? იმიტომ რომ ბურჟუაზიულმა სამყარომ ადრევე შეძლო ადამიანთა ძირითადი რაოდენობის ნივთიერი უზრუნველყოფა, ანუ აღარ ყავდა პროლეტარიატი - ის ხალხი, რომელსაც აღარაფერი ჰქონდა დასაკარგავი. ანუ აღარ იყო ხალხის ის რაოდენობა, რომელზედაც ლაპარაკს შეეძლო მოხედინა გავლენა. უკვე ცხადი ხდება თუ, რატომ დაიშალა სოციალისტური ბანაკი. ჩვენი შეხედულებით იგი დაიშალა არა ფულის, ან ნივთიერი უზრუნველყოფის მიქმედებით, რომლებიც მაინცდამაინც არ ფასობდა, არამედ დაიშალა მბრძანებლობის განვითარებისა და ამაღლების გამო. მასასადამე სანამ მოქმედებდა საბჭო და ჰქონდა რაღაც უფლება არა უშავდა საქმეს, მაგრამ, როგორც კი გადავიდა ერთპიროვნულ მბრძანებლობაზე მაშინვე შეუდგა წყალი. ინერციით რა თქმა უნდა ყველა განაგრძობს არსებობას რაღაც დრომდე.

ქვეყანას აუცილებლად ჭირდება გლეხები, მუშაბი, მდიდრები, ღარიბები ასეა ცხოვრება და ყველას მუშაობის თავისებრებათა გათვალისწინებაა საჭირო. ქვეყნის მოსახლეობის განაწილების საუკეთესო შეფარდება ჩვენ გამოვსახეთ პირამიდაში, რომელიც აგებულია ორის კვეთაზე /იხ. თვალსაჩინოება 1/. ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია უფრო მეტად მუშასა და გლეხებზე, ისინი ქმნიან სასაქონლო მასალებს, როგორც შიდა მოხმარებისათვის. ასევე საგარეო ბაზრისათვის.

დანარჩენი არის ზედნაშენი. და ეს ყველასთვის ცნობილია, უბრალოდ ვიმეორებთ თვალსაჩინოებისათვის, რომ მარტივად განისაზღვროს ქვეყნის მოსახლეობის დაყოფადობა ცალკეულ საფეხურში არსებული ადამიანების რაოდენობა თუ, როგორ უნდა იყოს ფარდობაში მდგრადი და მტკიცე ქვეყნისათვის. როგორ გამოვიაწვარიშოთ იგი ისე, რომ რომელიმე საფეხურის ადამიანთა რაოდენობა არ იყოს გადაჭარბებული.



თვალსაჩინოება 1. საფეხურებიანი პირამიდა

ჩვენი შეხედულებით ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ოქროს კვეთის კანონზომიერება, იმიტომ, რომ ბუნებაში არსებული - მცნარე, ცხოველი თუ სხვა რამ, აგებულია ოქროს კვეთაზე, რომელიც ამ შემთხვევაში დიდი სიზუსტე არ არის საჭირო და მიახლოებით იქნება $62\% \pm 38\%$. ცხადია, რომ მთელი პირამიდის ადამიანთა რაოდენობა იქნება ქვეყნის მოსახლეობის 100%. ეს ოქროს კვეთა აჩვენებს, რომ ის რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც უშუალოდ ქმნიან საქონელს უნდა იყოს 62% / საფეხურებიან პირამიდაზე გამოსახულია ყველაზე დიდად/. მუშა და გლეხი თავისთავად გულისხმობს, რომ შრომისუნარიანია, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ასაკი, რომელიც ჩვენი შეხედულებით უნდა განისაზღვროს 20 წლიდან 50 წლამდე. როდესაც გვიცოდინება მოსახლეობის ეს რაოდენობა, ამის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს ზედნაშენი, დანარჩენი საფეხურების მომუშავე ადამიანთა რაოდენობის საუკეთესო ფარდობა.

თვით ეს საფეხურები თავისთავად გულისხმობს შიდა დანაწილებას. ასე მაგალითად: მუშათა და გლეხთა რაოდენობა უნდა დანაწილდეს შესაბამისად

დაცით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია შრომები N1(2)

მუშები 38%, გლეხი 62% შრომისუნარიანი მოსახლეობიდან ეს იქნება საუკეთესო /ანუ თოტიმალური/ შეფარდება. მუშა ამ შემთხვევაში იყოფა დაზგბდთან მომუშავე, მშენებლობაზე მომუშავე და ასე შემდეგ. სხვა დანარჩენი საფეხურების ადამიანთა რაოდენობა /ვაჭრობა, ტრანსპორტი, მედიცინა, მეცნიერება და სხვა/, უნდა იყოს მოლიანის 38%, ესე იგი მომსახურების სფერომ არ უნდა გადააჭარბოს 38 %-ს.

